

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 7

ყ ა ჩ ა ლ ო ბ ა

- ამნისტია
- დანაშაულის შეუტყობინებლობა
- სასჯელის შემცირება
- ყაჩაღობა
- ყაჩაღობა, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად
- ძარცვა
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

1. ყარალობა

განჩინება

#1835-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე),
მ. ვაჩაძე,
რ. ნადირიანი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 თებერვლის განაჩენით ზ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ არაერთგზის და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩაიდინა ყარალობა, ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 28 იანვარს ზ. თ-შვილი საგარეჯოს რაიონული სასამართლოს განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ გამოსწორდა და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ, 2005 წლის 15 იანვარს ზ. თ-შვილმა განიზრახა სხვისი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რისთვისაც იმავე დღეს, დაახლოებით 23.³⁰ საათზე, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე არსებულ სასტუმრო „მეტეხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერა მ. ჟ-ის კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-31105“ მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა ბ. მ-ია. ზ. თ-შვილმა მას უთხრა, წაეყვანა ვაზისუბნის დასახლებაში. მსჯავრდებულმა ბ. მ-იას ავტომანქანა გააჩერებინა წულუკიძის ქუჩაზე, რის შემდეგაც ჯიბიდან ამოიღო გასაშლელი დანა, რომლის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულა ეს უკანასკნელი, გადმოსულიყო მანქანიდან, თავად მიუჯდა საჭეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მ. ჟ-ის კუთვნილი, 13 500 ლარად ღირებული ავტომანქანა, რომელსაც იჯარით მართავდა ბ. მ-ია. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ზ. თ-შვილი იმავე დღეს, შემთხვევიდან დაახლოებით 30 წუთში, ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააკავეს საპატრულო პოლიციის მუშაკებმა. დაკავებისას ზ. თ-შვილი ავტომანქანით ცდილობდა მიმალვას, რა დროსაც გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შევარდა ხეებს შორის, რითიც ავტომანქანას დაუზიანა ნაწილები და დაზარალებულს მთლიანობაში მიაყენა 3480 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული დანაშაულისათვის ზ. თ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვის ვადით მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოხდით. სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 500 ლარით, ანუ ორას ორმოცდაათი მინიმალური ანაზღაურების ოდენობით. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, მას ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის - 6 წლის მოხდა დაეკისრა მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო ნაწილი - 1 წელი და 6 თვე - ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ზ. თ-შვილს სასჯელის ათვლა დაეწყო 2005 წლის 15 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ზ. რ-შვილმა. მან ითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ქმედების კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, განაჩენის შეცვლა და ზ. თ-შვილის პატიმრობიდან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 30 აგვისტოს განაჩენით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: ზ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილზე; მას სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 188-ე მუხლის

პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ლ. კ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში გადაგზავნა იმ მოტივით, რომ ყაჩაღობა, ჩვეულებრივ, დამთავრებულია ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმის დროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ან მუქარის მომენტიდან და რომ სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ზ. თ-შვილის ქმედება სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

მსჯავრდებულის ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ზ. თ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 აპრილის განჩინებით გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენით ზ. თ-შვილის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ზ. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განაჩენი შეიცვალა: ზ. თ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე. საბოლოოდ, ზ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. ზ. თ-შვილი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 ლარის ანუ ორას ორმოცდაათი მინიმალური დღიური ანაზღაურების ოდენობით; სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) ზ. თ-შვილს საბოლოოდ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით; ამასთან, განაჩენით განისაზღვრა, რომ სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გამოყენებით, ზ. თ-შვილმა ვადიანი თავისუფლების სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დანიშნული სასჯელის დანარჩენი ნაწილი - 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა არ აღსრულდეს პირობით 2 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა. დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და სსკ-ის მე-10 მუხლის იმპერატიული მოთხოვნები, რადგან საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ზ. თ-შვილის მიერ დანაშაულის ჩადენას. დაზარალებულის ჩვენებით და საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ზ. თ-შვილი იჯდა მძღოლის გვერდით და დანის გამოყენების შემთხვევაში დაზარალებული მას ვერ აიცილებდა. ამდენად ნათელია, რომ მსჯავრდებულს დანა არ გამოუყენებია.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ზ. თ-შვილის მიერ ყაჩაღობის ჩადენა და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკმარისად ჩათვალოს მოხდილი სასჯელი და გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება, რომ ზ. თ-შვილმა არაერთგზის და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ:

საქმის წინასწარი გამოძიებისას და სააპელაციო სასამართლოში დაზარალებულმა ბ. მ-იამ განმარტა, რომ ზ. თ-შვილმა მოსთხოვა, გადასულიყო ავტომანქანიდან. ამავდროულად, ჯიბიდან ამოიღო დანა და მოუქნია სახის მიმართულებით. ბ. მ-იამ დანა აიცილა, გააღო ავტომანქანის კარი და გაიქცა. გაქცეულმა დაინახა, რომ თავდამსხმელი დაჯდა საჭესთან და გაემართა ქალაქის ცენტრისკენ. დაზარალებულმა მაშინვე განაცხადა საპატრულო პოლიციაში და ითხოვა დახმარება. დაახლოებით 30 წუთში ზ. თ-შვილი დააკავეს, რა დროსაც ეს უკანასკნელი პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა. ბ. მ-იამ მიუთითა, რომ დაკავებამდე ზ. თ-შვილი ავტომანქანიტ ცდილობდა მიმალვას, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შევარდა ხეებს შორის. ამის გამო დაზიანდა 13 500 ლარად ღირებული ავტომანქანა და ზარალმა შეადგინა 3480 ლარი.

დაზარალებულის მიერ საქმის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება, მისივე თანხმობით, გამოქვეყნდა სააპელაციო პალატის სხდომაზე და ამ ჩვენების სისწორე ბ. მ-იამ დაადასტურა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას და სააპელაციო სასამართლოში საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გ. ა-მემ განმარტა, რომ შეატყობინეს ყაჩაღური თავდასხმის შესახებ, კერძოდ, გატაცებული იყო «გაზ-31» მარკის ავტომანქანა. მან და მისმა მეწყვილემ აღნიშნული ავტომანქანის შემჩნევისას მძღოლს მოუწოდეს, გაჩერებულიყო, მაგრამ იგი არ დაემორჩილა, მოუმატა სიჩქარეს, მოსახვევში ვერ დაიმორჩილა საჭე და ავტომანქანა ბორდიურზე ავარდა. მძღოლი დაკავებისას წინააღმდეგობას უწევდა პოლიციელებს, რის მიუხედავად იგი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ჩაუტარდა ჩხრეკა და ამოუღეს წითელტარიანი, დასაკეცი დანა.

ანალოგიური ჩვენება მისცა სააპელაციო სასამართლოში მოწმე დავით ბაქრაძემ. მანაც განაცხადა, რომ დაკავებულს ჰქონდა დანა, რაც ამოიღეს.

სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა ზ. თ-შვილის პირადი ჩხრეკის დამსწრე ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელმაც დაადასტურა ჩხრეკის შედეგად დანის ამოღების ფაქტი.

საგულისხმოა, რომ დაზარალებული – მომხდარი ფაქტის დღესვე დაკითხვისას, მოწმე გ. ა-მის მსგავსად მიუთითებდა, რომ თავდამსხმელს ჰქონდა წითელტარიანი დანა.

თავად მსჯავრდებულმა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ დანა ჰქონდა, მაგრამ არ გამოუყენებია.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პალატას უდავოდ მიაჩნია, რომ ზ. თ-შვილმა განახორციელა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

ამასთან, ზ. თ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და «დ» ქვეპუნქტებზე, ვინაიდან ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტები სასჯელად ითვალისწინებს 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ადრე მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ამ ქმედებისათვის სასჯელად განსაზღვრავდა 6-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, ახალმა კანონმა გაამკაცრა სასჯელი, კერძოდ, მისი ქვედა ზღვარი და სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მას უკუმაღა არ აქვს.

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ზ. თ-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებული ზ. თ-შვილი გათავისუფლდეს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ზ. თ-შვილის ქმედება ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და «დ» ქვეპუნქტებზე და სასჯელად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

დანიშნული სასჯელიდან ზ. თ-შვილმა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 1 წელი და 6 თვე ჩათვალოს პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1978-აპ-07

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ჩ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ავასა და მსჯავრდებულ ზ. ა-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ა-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენით: ზ. ა-ძე ცნობილია დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, «ბ», «დ» ქვეპუნქტებით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა« ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 1 თვე და 27 დღე და საბოლოოდ ზ. ა-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით, 1 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის ათვლა დაეწყო დღიდან დაკავებისა - 2006 წლის 22 თებერვლიდან;

ლ. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, «ბ», «დ» ქვეპუნქტებით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა« ქვეპუნქტით - 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაენიშნა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ლ. ჩ-შვილს სასჯელის ათვლა დაეწყო დღიდან დაკავებისა - 2006 წლის 30 მაისიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების - ზ. ა-ძისა და ლ. ჩ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. და ზ. ა-ძეები წარსულში გასამართლებულები იყვნენ გორის რაიონული სასამართლოს მიერ მოქალაქეებზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტებზე, რა დროსაც იტაცებდნენ ავტომანქანებს, რომლებსაც უკეთებდნენ რეალიზაციას ქ. ცხინვალში.

ა. ა-ძემ კვლავ გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

2005 წლის ზაფხულში ა. ა-ძემ ჩამოაყალიბა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი მოქალაქეთა თავისუფლების უკანონო აღკვეთის, შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმების, მათი პირადი ქონების დაუფლებისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მან აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის შემადგენლობაში გააერთიანა თავისი ძმა ზ. ა-ძე, კ. ფ-ური, ბ. ფ-ური, ე. ფ-ური, ლ. ჩ-შვილი, არასრულწლოვანი ლ. ჩ-შვილი, ქ. მ-შვილი და ცხინვალში მცხოვრები დაუდგენელი პირები „ინალა« და „ედიკა«.

წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ხსენებულ პირებს ქ. თბილისში უნდა გაეჩერებინათ შესამჩნევად გამართული და კარგ მდგომარეობაში მყოფი „მერსედისისა« და „ოპელის« მარკის ავტომანქანები - ტაქსები, რომლებიც უნდა წაეყვანათ გორის, მცხეთის და დუშეთის რაიონებში, სადაც შეიარაღებულები ყაჩაღურად თავს დაესხებოდნენ მძღოლებს, დანაშაულის გაადვილების მიზნით უკანონოდ აღუკვეთდნენ თავისუფლებას, ხოლო ავტომანქანებს გადაიყვანდნენ ქ. ცხინვალში, სადაც გამოიძიებით დაუდგენელ ვინმე „ინალას« და „ედიკას« მეშვეობით მოახდენდნენ მათ რეალიზაციას, თანხას კი ურთიერთშორის გაინაწილებდნენ. 2005 წლის 16 სექტემბერს ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე, დაახლოებით 21.00 საათზე, ე. ფ-ურმა შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის მიზნით გააჩერა ბ. ლ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა „მერსედისის« მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა თ. კ-ია. გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სთხოვა, რომ წაეყვანა დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის გადასახვევთან. ადგილზე მისვლის დროს მას შეთანხმებისამებრ ელოდნენ კ. ფ-ური, ზ. და ა. ა-ძეები. ისინი დანების მუქარით თავს დაესხნენ თ. იას, გადასვეს საჭიდან, რის შემდეგ

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს 55 ლარი, 30 ლარის ღირებულების „ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი «ტ-10», 80 ლარის ღირებულების მაჯის საათი და ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი. თ. კ-ია გადაიყვანეს ავტომანქანიდან, მობილური ტელეფონის დასამუხტი სადენით შეუკრეს ხელები, მიაბეს ხეზე და ამ გზით აღუკვეთეს თავისუფლება. ა. ა-ძემ ავტომანქანა ჩაიყვანა ცხინვალში, სადაც ვინმე „ინალას» მეშვეობით გაყიდა 700 აშშ დოლარად, თანხა კი ურთიერთშორის გაინაწილეს. 2005 წლის 2 ოქტომბერს, ქ. თბილისში, «მარჯანიშვილის» მეტროსთან, დაახლოებით 23.00 საათზე, ე. ფ-ურმა ყაჩაღური შეიარაღებული თავდასხმის მიზნით გააჩერა ავტომანქანა „მერსედისს» მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა დ. ა-ძე. გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სთხოვა დუშეთის რაიონის სოფ. ... წაყვანა, სადაც მას შეთანხმებისამებრ ელოდნენ კ. ფ-ური და ა. ა-ძე, რომლებიც ჩასხდნენ ავტომანქანაში, დანების მუქარით თავს დაესხნენ მას, გადასვეს საჭედან, რის შემდეგ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს 55 ლარი, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, მართვის უფლების მოწმობა, 150 ლარად ღირებული „სიმენსის» ფირმის მობილური ტელეფონი, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით შეუკრეს ხელები ე.წ. „სკოჩით» და ამ გზით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ა. ა-ძე დაჯდა საჭესთან, ჩაიყვანა ავტომანქანა მდინარე არაგვის პირას, სადაც დ. ა-ძე ჩამოსვეს, მასთან დარჩნენ ა. ა-ძე, კ. ფ-ური, ხოლო ე. ფ-ურმა 7000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა ჩაიყვანა გორის რაიონის სოფ. ... და შეთანხმებისამებრ გადასცა ზ. ა-ძეს, რომელმაც ცხინვალში ვინმე „ინალას» მეშვეობით ავტომანქანა გაყიდა 1200 აშშ დოლარად. აღებული თანხა ურთიერთშორის გაინაწილეს. ლ. ჩ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 15 ოქტომბერს, ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, დაახლოებით 20.30 საათზე, ლ. ჩ-შვილმა და ქ. მ-შვილმა შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის მიზნით, გააჩერეს „ოპელ-ვექტრას» მარკის ავტომანქანა ტაქსი, რომელსაც მართავდა ფ. ვ-ვი, გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სთხოვეს დუშეთის რაიონის სოფ. ... წაყვანა, კოლმეურნეობის მოედანზე შეთანხმებისამებრ ავტომანქანაში ჩასხდნენ ა. ა-ძე, ე. ფ-ური და ბ. ფ-ური. დუშეთის რაიონის სოფ. ..., დანებით და პისტოლეტის მუქარით თავს დაესხნენ მას, გადმოსვეს ავტომანქანის საჭიდან, შეიყვანეს ტყეში, რის შემდეგაც სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს 70 ლარი და 150 ლარის ღირებულების „სიმენსის» ფირმის მობილური ტელეფონი. ა. ა-ძემ და არასრულწლოვანმა ლ. ჩ-შვილმა 3500 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა ცხინვალში ვინმე „ინალას» მეშვეობით გაყიდეს 700 აშშ დოლარად, თანხა კი ურთიერთშორის გაინაწილეს. 2005 წლის 4 ნოემბერს, ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე, დაახლოებით 21.00 საათზე, ქ. მ-შვილმა და არასრულწლოვანმა ლ. ჩ-შვილმა შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის მიზნით გააჩერეს ავტომანქანა „მერსედისს» მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა გ. კ-ძე. გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სთხოვეს გორის რაიონის სოფ. ... წაყვანა, სადაც ელოდებოდნენ ა. ა-ძე გამოძიებისთვის დაუდგენელი „ინალა» და „ედიკა», გ. კ-ძე გადმოსვეს ავტომანქანიდან, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით წართვეს ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, 4300 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა კი გაიტაცეს. ა. ა-ძემ ავტომანქანა ცხინვალში ვინმე „ინალას» მეშვეობით 900 აშშ დოლარად გაყიდა, თანხა კი შეთანხმებისამებრ გაინაწილეს. 2005 წლის 10 ნოემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დაახლოებით 19.00 საათზე ლ. ჩ-შვილმა და ქ. მ-შვილმა შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის მიზნით გააჩერეს თ. მ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა „მერსედისს» მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა დ. მ-ია. გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სთხოვეს გორის რაიონის სოფ. ... წაყვანა, სადაც შეთანხმებისამებრ ელოდნენ დანებითა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ა. ა-ძე და ვინმე „ინალა». დ. მ-ია გადმოსვეს ავტომანქანიდან, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, 72 ლარი, მართვისა და პირადობის მოწმობები, 120 აშშ დოლარად ღირებული მობილური ტელეფონი, 7000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა კი გაიტაცეს. ა. ა-ძემ ავტომანქანა ცხინვალში ვინმე „ინალას» მეშვეობით გაყიდა 1200 აშშ დოლარად, თანხა კი ურთიერთშორის გაინაწილეს. აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულების - ზ. ა-ძისა და ლ. ჩ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 28 აპრილის კანონი). ზ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის კანონი) - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების

აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, რასაც დამატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 1 თვე და 27 დღე და საბოლოოდ ზ. ა-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით, 1 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; ლ. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის კანონი) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაენიშნა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ლ. ჩ-შვილს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით და სასჯელად დაენიშნა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულ ლ. ჩ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჯ-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ ლ. ჩ-შვილი გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 363-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში. კასატორი ითხოვს ლ. ჩ-შვილის დასჯას მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რასაც მსჯავრდებულის აღიარება და ინანიება. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, საქმეში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ლ. ჩ-შვილის მხრიდან დაზარალებულის მიმართ ხმამაღალ საუბარს; ლ. ჩ-შვილს არანაირი დოკუმენტი, ბეჭედი, შტამპი ან ბლანკი არ მიუსაკუთრებია.

მსჯავრდებულ ზ. ა-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. ა-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. განაჩენი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევით, კერძოდ: სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით არ არის დამტკიცებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები აშკარად შეუსაბამოა საქმეში არსებულ და სასამართლოს მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებებთან, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 573-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით, კერძოდ, დაზარალებულ გ. კ-ძის, ფ. ვ-ევის, თ. კ-იას, დ. ა-ძის, დ. ძ-იას, მოწმეების - ა. ა-ძის, ქ. მ-შვილის, ქ. ჩ-შვილის, მ. ლ-შვილის, კ. ფ-ურის, ლ. ჩ-შვილის ჩვენებებით, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით და შპს «მაგთისა» და «ჯეოსელის» ოფისებიდან ამოღებული მონაცემებით დასტურდება მსჯავრდებულთა მიერ მათზე შერაცხული დანაშაულების ჩადენა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ა-ძემ და ლ. ჩ-შვილმა ჩაიდინეს ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, მათვე ჩაიდინეს მოქალაქის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ არაერთგზის, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით. მათვე ჩაიდინეს დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ანგარებით, ასევე პირადი დოკუმენტის გატაცება.

პალატა თვლის, რომ ზემოთხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მსჯავრდებულთა ქმედებებს და მიიჩნევს, რომ მათ მიმართ შერაცხული ბრალდებები უტყუარადაა დადასტურებული და განაჩენის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

განაჩენის დადგენის დროს სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულების - ზ. ა-ძისა და ლ. ჩ-შვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებები და განუსაზღვრა მათ სამართლიანი სასჯელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას ან განაჩენში ცვლილების შეტანას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, ასევე, მესამე

მუხლის მეორე პუნქტის გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ ზ. ა-ძეს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით - უნდა გაუნახევრდეს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ზ. ა-ძეს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 23 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 1 თვე, 27 დღე და საბოლოოდ ზ. ა-ძეს მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 24 წლით, 7 თვით, 27 დღით და ჯარიმა - 2500 ლარის ოდენობით.

ამასთან, მსჯავრდებულ ლ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით - უნდა გაუნახევრდეს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ლ. ჩ-შვილს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის, ასევე ამავე კანონის მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ზ. ა-ძეს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით - გაუნახევრდეს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ზ. ა-ძეს მოსახდელად განესაზღვროს 23 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 1 თვე, 27 დღე და საბოლოოდ ზ. ა-ძეს მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 24 წლით, 7 თვით, 27 დღით და ჯარიმა - 2500 ლარის ოდენობით.

ამასთან, მსჯავრდებულ ლ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით - გაუნახევრდეს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ლ. ჩ-შვილს მოსახდელად განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყ ა ჩ ა ლ ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

#976-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, იმავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 თვის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

გ. მ-შვილს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ მან ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ჯგუფურად. მან ასევე ჩაიდინა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტების გატაცება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 18 მარტს ქ. თბილისში გ. მ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს. მათ განიზრახეს კერძო ტაქსის მძღოლის, დ. მ-ძისაგან ყაჩაღური თავდასხმის გზით გაეტაცებინათ ავტომანქანა «მერსედეს-124», რომელსაც იგი მართავდა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 18 მარტს, დაახლოებით 19.30 საათზე, თბილისში გ. მ-შვილმა დაიქირავა დ. მ-ძის ავტომანქანა «მერსედეს-124», რომელსაც დ. მ-მე მართავდა. გზაში მსვლელობისას ავტომანქანაში ჩასვა გამოძიებით დაუდგენელი ორი ბოროტმოქმედი და ტაქსის მძღოლს უთხრეს, წაეყვანა ისინი დიდი დიდმის მე-4 მ/რ-ში. აღნიშნულ ტერიტორიაზე მისვლისას, დაახლოებით 21.00 საათზე, დ. მ-ძეს გ. მ-შვილმა და გამოძიებით დაუდგენელმა მისმა ორმა თანამზრახველმა დანის მუქარით მოსთხოვეს ავტომანქანა და დოკუმენტები, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს ე.წ. «სკოჩით» შეუკრეს ხელები, აუკრეს პირი, ჯიბიდან ამოუღეს ავტომანქანის რეგისტრაციის მოწმობა, მძღოლის მოწმობა და ფულადი თანხა 20 ლარის ოდენობით. მათ დ. მ-მე ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს ავტომანქანიდან, მიატოვეს იგი შებოჭილი და გაიტაცეს მისი კუთვნილი, 4000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა «მერსედეს-124», აგრეთვე, ხსენებული დოკუმენტები.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. მ-შვილმა, რომელიც ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია. აპელანტის განმარტებით, აღნიშნული დანაშაულის ჩადენის დღეს იგი იყო ავად, იწვა სახლში და იკეთებდა გადასხმებს, რასაც მისი უზნის ექიმი - რ. კ-ელიც დაადასტურებს, ხოლო დაზარალებულის მიერ მისი ამოცნობა განაპირობა იმან, რომ ძალიან ჰგავს ამ დანაშაულის ჩამდენ პირს - გ. კ-ძეს, რომელიც, მართალია, ამხილა აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას ამ ფაქტის არანაირი რეაგირება არ მომხდარა.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2007 წლის 23 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაც მას წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორ გ. მ-შვილის საჩივრის მოტივებს მისი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ იმ ქმედების ჩადენას, რომელიც მას განაჩენით ბრალად შერაცხა. მსჯავრდებულის მიერ წამოყენებული ალიბი, აგრეთვე მისი ვერსია დანაშაულის სხვა პირის მიერ ჩადენის თაობაზე არ არის დამაჯერებელი და სარწმუნო, რადგან მოკლებულია რეალურ საფუძველს. მტკიცებულებები, რომლებითაც გ. მ-შვილი იმხილება დანაშაულის ჩადენაში, მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, ხოლო აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოების განხორციელებისას არ ყოფილა დაშვებული ისეთი საპროცესო დარღვევები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს გ. მ-შვილის ბრალულობის თაობაზე, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებას სასჯელის ნაწილში და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ საბოლოო სასჯელი განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რის გამოც გ. მ-შვილის მიმართ განაჩენით დადგენილი საბოლოო სასჯელი, რომლითაც შთანთქმულია იმავე განაჩენით მის მიმართ დანიშნული სხვა სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ, ამ კანონის

მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, აღნიშნული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 თვის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას სასჯელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვისა და 15 დღის ვადით, რომელიც შთანთქმულია იმავე განაჩენით განსაზღვრული უფრო მკაცრი სასჯელით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. მ-შვილს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 თვის ვადით და ამ ნაწილში მას სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვისა და 15 დღის ვადით, რომელიც შთანთქმულია იმავე განაჩენით დანიშნული უფრო მკაცრი სასჯელით.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით - დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1644-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. გ-ისა და მსჯავრდებულ დ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. კ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენით ე. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი-მეორე ნაწილებითა და იმავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, იმავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე შეიკრიბა დანიშნული სასჯელები, რომელსაც დაემატა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 1996 წლის განაჩენით დანიშნული მოუხდელი პირობითი სასჯელი - 2 წელი, 8 თვე და 22 დღე, რის გამოც მას განესაზღვრა 26 წლით, 2 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 13 ნოემბრიდან.

იმავე განაჩენით დ. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებითა და იმავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით - 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, იმავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 13 ნოემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, ე. კ-იას მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის, იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფს მიერ, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის; ასევე, დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცებისათვის.

დ. კ-მეს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად; თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით; დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცებისათვის.

ე. კ-იასა და დ. კ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 12 ნოემბერს ე. კ-იამ და დ. კ-მემ გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად გადაწყვიტეს, თბილისში დაექირავებინათ ტაქსი, გაეყვანათ ქალაქარეთ, თავს დასხმოდნენ მძღოლს და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ მის ავტომანქანას. დ. კ-მემ თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე გააჩერა ტაქსი, რომელსაც მართავდა მისი მფლობელი ს. მ-შვილი. მსჯავრდებულებთან შეთანხმების მიხედვით, მძღოლს დ. კ-მე უნდა წაეყვანა გარდაბნის რაიონის სოფ. . . . დათქმულ ადგილზე მისვლისას დ. კ-მემ ს. მ-შვილს შეაჩერებინა ავტომანქანა, რა დროსაც იქვე ჩასაფრებული ე. კ-ია და ძიებით დაუდგენელი პირი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი პისტოლეტის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, თავს დაესხნენ ს. მ-შვილს, ჩამოსვეს ავტომანქანიდან, შეუკრეს ხელ-ფეხი, აუკრეს პირი და მიატოვეს იქვე, მიტოვებული შენობის სარდაფში, თავად კი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მის ავტომანქანას, მობილურ ტელეფონსა და ფულს - 200 ლარის ოდენობით. მათვე გაიტაცეს მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტები: ს. მ-შვილის მართვის მოწმობა და ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა. ისინი ავტომანქანით გაემართნენ ქ. ზუგდიდის მიმართულებით. ქ. ზუგდიდის შესასვლელში ისინი დააკავეს სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ე. კ-იას დამცველმა, ადვოკატმა რ. გ-იამ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენში მსჯავრდებულების სასიკეთოდ ცვლილების შეტანას კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. კ-მის დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენში მსჯავრდებულების სასიკეთოდ ცვლილების შეტანას კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ასევე, რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. კ-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენის მსჯავრდებულების - ე. კ-იასა და დ. კ-მისათვის საურესოდ შებრუნებას, კერძოდ, ე. კ-იასათვის სასჯელის ზომად 29 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, ხოლო დ. კ-მისათვის სასჯელის ზომად 17 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განაჩენით რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. კ-შვილისა და მსჯავრდებულ ე. კ-იას დამცველის, ადვოკატ რ. გ-იას სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ დ. კ-მის დამცველის, ადვოკატ მ. კ-მის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ე. კ-ია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი - მე-2 ნაწილებითა და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებაში გამართლდა. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებითა და იმავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის, 2 თვისა და 22 დღის ვადით, ხოლო მსჯავრდებულ დ. კ-მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - ე. კ-იასა და დ. კ-მის ადვოკატებმა - რ. გ-იამ და მ. კ-მემ. ადვოკატი რ. გ-ია თავისი საჩივრით ითხოვს განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულ ე. კ-იას სასიკეთოდ კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში,

კერძოდ, მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირებასა და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას.

იმავე მოთხოვნას აყენებს თავისი საჩივრით ადვოკატი მ. კ-მე მსჯავრდებულ დ. კ-ძის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ე. კ-იას, დ. კ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილისა და ავტომანქანის დათვალიერების ოქმებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, უდავოდ დასტურდება, რომ მსჯავრდებულებმა - ე. კ-იამ და დ. კ-ძემ ნამდვილად ჩაიდინეს ყაჩაღობა და ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთა იმ მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, რაც განსაზღვრულია სააპელაციო სასამართლოს განაჩენით; მათვე ჩაიდინეს დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის წარმომადგენელთა პოზიციას იმის თაობაზე, რომ ე. კ-იასა და დ. კ-ძეს დაზარალებულ ს. მ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით არ გაუტაცებიათ, მათ მხოლოდ აღნიშნული ავტომანქანის დროებითი გამოყენების მიზანი ჰქონდათ, რადგან დანაშაულის ჩადენამდე მათ მიერ განხორციელებული წინარე მოქმედებების შინაარსი, ასევე, ავტომანქანის გატაცების შემდეგ მათი მომდევნო მოქმედებების ხასიათი, აშკარად მიუთითებს ხსენებული ავტომანქანის მათი მხრივ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობაზე, რაც განახორციელეს კიდევ.

აღსანიშნავია, რომ თვით მსჯავრდებულების ჩვენებები და წარმოდგენილი დაცვითი პოზიციები არის წინააღმდეგობრივი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის მათ მიერ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მათთვის შერაცხული ქმედებების ჩადენას.

ამავე დროს, საკასაციო პალატა, იზიარებს რა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ მსჯავრდებულთა ქმედების კვალიფიკაციას, ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ე. კ-იას მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ზომების გამკაცრებას, რადგან სახელმწიფო ბრალმძებლის სააპელაციო საჩივარი სასჯელის გამკაცრების თაობაზე შეიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის მსჯელობას და არ მიუთითებს კონკრეტულ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძვლებზე სასჯელის ნაწილში განაჩენის საუარესოდ შეცვლისათვის. თვით სააპელაციო სასამართლო ე. კ-იას მიმართ სასჯელის გამკაცრების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან მეორედ დანაშაული ჩაიდინა მის მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადის გასვლამდე. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული გარემოების გამოყენება სასჯელის დასამძიმებლად არ არის გამართლებული, რადგან მითითებული გარემოების შედეგად ე. კ-იას ისედაც მნიშვნელოვნად გაუმკაცრდა სასჯელი, ვინაიდან სწორედ ამ გარემოების გამო მის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, რომელსაც ახლავს გადიდებული სასჯელი. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ე. კ-იას მიმართ დანიშნული სასჯელის ზომები არის საკმარისად მკაცრი სასჯელის მიზნის მისაღწევად, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს ე. კ-იას სასიკეთოდ, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით - უნდა შემცირდეს თორმეტ წლამდე, ხოლო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «ე» ქვეპუნქტების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - უნდა შემცირდეს 2 წლით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ დ. კ-ძის მიმართ განსაზღვრული სასჯელის ზომებს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი დანიშნულია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს აუცილებელ ზომას სასჯელის მიზნის უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების - ე. კ-იასა და დ. კ-ძის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მათ უნდა გაუნახვერდეთ საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ამ ნაწილში მათ სასჯელად უნდა განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 3 თვის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულების - ე. კ-იასა და დ. კ-ძის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - ე. კ-იასა და დ. კ-ძის დამცველის, ადვოკატების - რ. გ-იასა და მ. კ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ე. კ-იას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და ამ ნაწილში მას სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტების საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - შეუმცირდეს 2 წლით და ამ ნაწილში სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით - გაუნახევრდეს და ამ ნაწილში სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ე. კ-იას სააპელაციო სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 25 წლის, 2 თვისა და 22 დღის ვადით - შეუმცირდეს 3 წლითა და 3 თვით, რის გამოც მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 21 წლის, 11 თვისა და 22 დღის ვადით.

მსჯავრდებულ დ. კ-ძეს აღნიშნული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით - გაუნახევრდეს და ამ ნაწილში სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით, ხოლო ამის გათვალისწინებით, იმავე განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 6 თვის ვადით - შეუმცირდეს და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 3 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ე. კ-იასა და დ. კ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1265-აპ

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენზე ა. ს-ოვისა და დ. მ-ოვის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 ნოემბრის განაჩენით: ა. ს-ოვი და დ. მ-ოვი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინეს ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 24 სექტემბერს, დილის საათებში, ნასვამმა ა. ს-ოვმა და ასევე ნასვამმა დ. მ-ოვმა განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ თბილისში, ... ქ. #20-ში მდებარე 111-ე საშუალო სკოლის დარაჯ ვ. ა-ოვს და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ აღნიშნული სკოლის ინვენტარს. იმავე დღეს, ზუსტი დრო დაუდგენელია, მათ უკანონოდ შეაღწიეს ზემოხსენებული სკოლის შენობაში, ყაჩაღურად თავს დაესხნენ სკოლის დარაჯს, რომელსაც თავის არეში ჩაართყეს საამისოდ სპეციალურად

მომარჯვებული აგურის ნატეხი და მიაყენეს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ სკოლაში არსებულ სხვადასხვა სახის, საერთო ჯამში - 115 ლარად ღირებულ ინვენტარს.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისას ა. ს-ოვმა და დ. მ-ოვმა ერთად დააზიანეს ოთხი საკლასო ოთახის საკეტი და ერთი კარი, საერთო ღირებულებით - 200 ლარი, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2005 წლის 24 სექტემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს ა. ს-ოვი და დ. მ-ოვი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ს-ოვსა და დ. მ-ოვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და „გ» ქვეპუნქტებით მიესაჯათ 7-7 წლით, ხოლო 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა; მათ საბოლოოდ განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 7-7 წლის ვადით. მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2005 წლის 24 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა. სააპელაციო საჩივრებით ა. ს-ოვმა და დ. მ-ოვმა ითხოვეს მათი ქმედების დაკვალიფიცირება ქურდობითა და გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებით, ასევე, სხვისი ქონების განზრახ დაზიანებით და მინიმალური სასჯელის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენით მსჯავრდებულების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: ა. ს-ოვსა და დ. მ-ოვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრათ 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით - 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, მათ საბოლოოდ განესაზღვრათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი - მსჯავრდებული ა. ს-ოვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ითხოვს ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შემდეგ გარემოებათა გამო:

თვითონ და დ. მ-ოვი 2005 წლის 23 სექტემბერს მთელი დღისა და ღამის გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდნენ თბილისის მე-8 გიმნაზიაში; რადგან სკოლის ფასადი დაზიანებული არ არის, ამიტომ დასაშვებად მიაჩნიათ სკოლის შენობაში დღისით შეღწევის შესაძლებლობა, რაც ალოგიკურია, ვინაიდან ორ ადგილას ერთროულად ყოფნა შეუძლებელია; დაზარალებული იძლევა ცრუ ჩვენებას, როდესაც აცხადებს, რომ მას მსჯავრდებულებთან ერთად არ დაუღევია, სპირტიანი სასმელი მან დალია სახლში და მასზე თავდასხმა მოხდა პირველ და მეორე სართულებს შორის კიბეების ბაქანზე; ის პოლიციელებმა აღმოაჩინეს ფოიეში, სადაც თავდასხმის არანაირი კვალი არ ყოფილა; აღსანიშნავია ისიც, რომ აგურის თავში ჩარტყმით მასზე დარჩებოდა ტყავის ან თმის ნაწილაკები და არა - სისხლი; ვ. ა-ოვი მისი მეზობელია; თუ დარტყმა უკნიდან განხორციელდა, მაშინ დაზარალებული ვერ დაინახავდა საგანს, რომელიც მას ჩაარტყეს; თვალბეჭე და გულმკერდში დარტყმა კი მხოლოდ წინიდან შეიძლება მომხდარიყო, ამ შემთხვევაში კი მას თავდამსხმელი უნდა დაენახა; სკოლის შენობის დატოვების შემდეგ ვ. ა-ოვი სკოლაში მარტო იმყოფებოდა; მას არ გაუჭირებოდა აგურის ნატეხის პოვნა და სროლა თავდასხმის იმიტირებისათვის, რადგან სამუშაო ადგილზე მოწყობილი ღრეობის გამო, რასაც მოჰყვა ოთხი კარის ჩამტვრევა და ზოგიერთი საგნის ქურდობა, სკოლის დირექცია მას მადლობას არ გამოუცხადებდა; მსჯავრდებული ვარაუდობს, რომ მის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება, რისი მიზეზიც არის მისი ეროვნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ ა. ს-ოვმა და დ. მ-ოვმა ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე, სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ:

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების - მ. თ-შვილისა და ზ. გ-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ ღამით შენიშნეს ორი ნასვამი პირი, რომლებსაც ფარდაში გახვეული ტელეფონის აპარატი, რვეულები და სხვადასხვა ნივთები ჰქონდათ. რვეულზე ეწერა სკოლის ნომერი, რომელიც სხვა თანამშრომლებმა გადაამოწმეს და დადგინდა, რომ სკოლის კარები იყო გატეხილი, ხოლო მისი დარაჯი - გასისხლიანებული. აღნიშნულმა პირებმა სკოლასთან და მის დარაჯთან დაკავშირებით ყველაფერი უარყვეს და მიუთითეს, რომ დარაჯს არ იცნობდნენ.

თავად მსჯავრდებულებმა სასამართლოში არ უარყვეს, რომ სკოლიდან წაიღეს ნივთები, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ერთად ქეიფისას დაზარალებულმა მათ შეურაცხყოფა მიაყენა და იგი სცემეს. ამასთან, ვ. ა-ოვისათვის აგური არ დაურტყამთ.

დაზარალებულმა ვ. ა-ოვმა დაადასტურა, რომ სკოლაში ყოფნისას, ღამით მოესმა ფანჯრის გაღების ხმა და ვიღაცამ უკნიდან აგური ჩაარტყა თავში. ამავდროულად დაარტყეს სახესა და გულის არეში. ამის გამო დაჰკარგა გონება და საავადმყოფოში გამოფხიზლდა. გაიგო, რომ სკოლა გაექურდათ. ა. ს-ოვი და დ. მ-ოვი სკოლაში ადრე არ უნახავს და მათთან იმ ღამით არ უქეიფია.

კასატორი მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით სკოლის ფოიეში, მაგიდაზე აღმოჩნდა ჭიქები სპირტიანი სასმელის ნარჩენებით და საკვები, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება დაზარალებულის ჩვენებას.

ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმში სპირტიანი სასმელის შესახებ არაფერია ნათქვამი. ოქმში მითითებულია, რომ ერთ-ერთ ოთახში, იატაკზე აღინიშნებოდა მოწითალო ლაქები, მაგიდაზე იდო «სპრაიტის» ბოთლი. იქვე აღმოჩნდა და ამოიღეს აგური მოწითალო ლაქებით. სკოლის ოთხი ოთახის კარი იყო დაზიანებული და მათ ეტყობოდათ ფეხსაცმლის კვალი. ამ ოთახებში არსებული ნივთები უწესრიგოდ იყო მიმოფანტული.

ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მტკიცება, თითქოს დაზარალებულმა მოახდინა თავდასხმის იმიტირება, ისროლა აგურის ნატეხი, რათა თავი გაემართლებინა სკოლის ინვენტარის დაზიანებისა და ქურდობისათვის.

დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ აგურზე აღმოჩნდა იმავე ჯგუფის სისხლი, რაც აქვს დაზარალებულს. სისხლი აღმოჩნდა ა. მ-ოვისაგან ამოღებულ შარვალზეც.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ვ. ა-ოვს ჰქონდა თავის ტვინის შერყევა და აღნიშნებოდა დაჟეილი ჭრილობა თხემ-კეფის მიდამოში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

ამასთან, აღნიშნული განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ს-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულები - ა. ს-ოვი და დ. მ-ოვი გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქციით) გამოყენებით სასჯელთა შთანთქმის წესზე;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ა. ს-ოვსა და დ. მ-ოვს მოსახდელად დარჩეთ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყ ა ჩ ა ლ ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

#2259-აპ

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - რ. თ-შვილის, ნ. ლ-მისა და ა. ტ-მის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. რ. თ-შვილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 24,362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე, თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე - დახმარება ყალბი დოკუმენტის დამზადებაში და ყალბი დოკუმენტის შექმნა;

2. ნ. ლ-ძე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 24,362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე - დახმარება ყალბი დოკუმენტის დამზადებაში;

3. ა. ტ-ძე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება.

რ. თ-შვილის, ნ. ლ-ძისა და ა. ტ-ძის მიერ ჩადენილი ქმედებები კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ა. ტ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძ. დაუდგენელი წარმოების ბარაზნიანი ცეცხლსასროლი იარაღი და შეინახა, რის შემდეგაც დანაშაულებრივად დაუკავშირდა ხაშურის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ნ. ლ-ძესა და რ. თ-შვილს. მათ გადაწყვიტეს, ქ. თბილისიდან ყაჩაღური გზით გაეტაცებინათ უცხოური მარკის ავტომანქანა, რომელსაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადაუყვანდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსი ეროვნების ვინმე „ალანას“.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2007 წლის 26 მარტს ა. ტ-ძე, შეთანხმებისამებრ, დარჩა სოფ. ..., ხოლო რ. თ-შვილმა და ნ. ლ-ძემ წაიღეს დანები, ჩავიდნენ თბილისში და აღმამენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 18 საათზე გააჩერეს ტაქსი, თეთრი „ბმვ-520“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ზ. ნ-ძე და სთხოვეს საჩხერის რაიონში წაყვანა. თანხმობის მიღების შემდეგ რ. თ-შვილი დაჯდა მძღოლის გვერდით, ხოლო ნ. ლ-ძე - უკანა სავარძელზე, ზ. ნ-ძეს გზის სავსაშუალოდ გადაუხადეს 100 ლარი და თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზით გაემართნენ საჩხერის რაიონისაკენ. ქარელის რაიონის დაბა აგარასთან ნ. ლ-ძემ მობილური ტელეფონით დაურეკა ა. ტ-ძეს და უთხრა, რომ რამდენიმე წუთში იქნებოდნენ სოფ. ... და დახვედროდა. ა. ტ-ძემ, თავის მხრივ, სახლიდან წაიღო მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და მათ დახვდა სოფ. ... გადასახვევთან. რ. თ-შვილის მითითებით ზ. ნ-ძემ გააჩერა მანქანა, ა. ტ-ძე მოთავსდა მანქანის უკანა სავარძელზე და გზა გააგრძელეს. დაახლოებით 21 საათზე სოფ. ... გადასახვევთან მისულებმა მძღოლს მოსთხოვეს მანქანის გაჩერება, რის შემდეგაც ა. ტ-ძე - ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო ნ. ლ-ძე და რ. თ-შვილი - თანაქონი დანებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ავტომანქანის მისაკუთრების მიზნით, თავს დაესხნენ ზ. ნ-ძეს, გადასვეს უკანა სავარძელზე, ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის გამოყენების მუქარით, წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელები და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, რის შემდეგაც ნ. ლ-ძე მიუჯდა საჭეს და წავიდნენ სოფ. ... მიმართულებით. ხიდზე გადასვლიდან დაახლოებით 100 მეტრის გავლის შემდეგ მათ გააჩერეს ავტომანქანა, ზ. ნ-ძე გადაიყვანეს, წებოვანი ლენტით შეუკრეს ფეხები, იქვე მდგარ ხეზე მიაბეს, რითიც მოუსპეს გადაადგილების საშუალება და ავტომანქანიდან შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ავტომანქანა ბოროტმოქმედებმა იმავე ღამეს გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ოსი ეროვნების, ძიებით დაუდგენელ ვინმე „ალანას“ მიჰყიდეს 3500 აშშ დოლარად.

ზ. ნ-ძის თავისუფლების აღკვეთა გაგრძელდა დაახლოებით 10 წუთს, რის შემდეგაც მან შეძლო განთავისუფლება და გამოცხადდა ხაშურის შს რაიგანყოფილებაში.

აღნიშნული ქმედებით რ. თ-შვილმა, ნ. ლ-ძემ და ა. ტ-ძემ ზ. ნ-ძეს სულ მიაყენეს 6000 ლარის მატერიალური ზიანი.

ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, რ. თ-შვილმა და ნ. ლ-ძემ გადაწყვიტეს, შეემ.თ ყალბი დოკუმენტი - საქართველოს პასპორტი და უკანონოდ გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი დაუკავშირდნენ ქ. თბილისში მცხოვრებ ზ. ბ-ძეს და შეთანხმდნენ, რომ ყალბი დოკუმენტების დამზადების საფასურად გადაუხდიდნენ 400 აშშ დოლარს. 2007 წლის 28 მარტს ისინი მივიდნენ ზ. ბ-ძესთან სახლში და ყალბი დოკუმენტის დამზადებაში ხელის შეწყობის მიზნით მიუტანეს ზ. ტ-ძისა და ზ. ტ-ძის სახელზე გაცემული პასპორტები, თავიანთი ფოტოსურათები და წინასწარ გადაუხადეს 200 აშშ დოლარი. ზ. ბ-ძემ პასპორტებს ააძრო დამცავი ცელოფნები და მათში არსებული სურათების ნაცვლად ჩააწება ნ. ლ-ძისა და რ. თ-შვილის სურათები, რითიც დაამზადა ყალბი დოკუმენტები. მან 2007 წლის 29 მარტს დაურეკა რ. თ-შვილს და უთხრა, რომ დოკუმენტები მზად იყო და მისულოცნენ მათ წასაღებად.

2007 წლის 6 აპრილს რ. თ-შვილი მივიდა ზ. ბ-ძესთან და შეიძინა მითითებული ყალბი პასპორტი. იგი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს, ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს რ. თ-შვილის ფოტოსურათიანი, ზ. ტ-ძის სახელზე გაცემული პასპორტი.

აღნიშნული ქმედებისათვის საბოლოოდ განესაზღვრათ: რ. თ-შვილს - 19 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ნ. ლ-ძეს - 17 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ა. ტ-ძეს - 19 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულებს დამატებით სასჯელად განესაზღვრათ ჯარიმა, თითოეულს - 7 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; მათ სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2007 წლის 6 აპრილიდან.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და მსჯავრდებულ ზ. ბ-ძეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და ზ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მას ეკმარა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდილი სასჯელი - 5 თვე და 20 დღე და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან, ხოლო დარჩენილი 2 წელი, 6 თვე და 10 დღე - ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - ნ. ლ-ძისა და რ. თ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ა. ჩ-ძემ და ბ. გ-ძემ, აგრეთვე - მსჯავრდებულმა ა. ტ-ძემ. ადვოკატებმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება, ხოლო მსჯავრდებულმა ა. ტ-ძემ - გამართლება ან მაქსიმალურად ლმობიერი სასჯელის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით ადვოკატების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო მსჯავრდებულ ა. ტ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა:

ა. ტ-ძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში; მას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მიესაჯა 16 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით; ნ. ლ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 17 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო რ. თ-შვილს - 19 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულები - რ. თ-შვილი, ნ. ლ-ძე და ა. ტ-ძე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ თავს არ ცნობენ დამნაშავეებად, ითხოვენ თავიანთი საქმის განხილვასა და სასჯელისაგან განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, მოწმეების - ვ. ტ-ძის, ზ. ტ-ძის, ზ. ტ-ძის, მსჯავრდებულ ზ. ბ-ძის ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ ა. ტ-ძემ, ნ. ლ-ძემ და რ. თ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით, ჯგუფურად ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო აღკვეთა; მათვე მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და მუქარით, ჯგუფურად გაიტაცეს სატრანსპორტო საშუალება. გარდა ამისა, ნ. ლ-ძე და რ. თ-შვილი დაეხმარნენ სხვა პირს ყალბი დოკუმენტის დამზადებაში.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ზ. ნ-მემ დამაჯერებლად ამხილა სამივე მსჯავრდებული და მიუთითა, რომ თავდასხმისას ა. ტ-მე იარაღს ურტყამდა თავში, ყელზე მიადეს დანა, წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელები, ხეზე მიაბეს ტყეში და გასტაცეს ავტომანქანა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას ზ. ნ-მემ ამოიცნო ა. ტ-მე, ნ. ლ-მე და რ. თ-შვილი, როგორც თავდასხმის მონაწილენი.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვ...წინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში რ. თ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან დადგენილია, რომ ყალბი დოკუმენტი დამზადდა ნ. ლ-მის და რ. თ-შვილის ინიციატივითა და მათივე აქტიური მოქმედებით, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულნი არიან სსკ-ის 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამ ყალბი დოკუმენტის შექმნისათვის რ. თ-შვილის ქმედების დამატებით სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირება არასწორია. შესაბამისად, რ. თ-შვილს უნდა შეუმცირდეს დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულებს - ნ. ლ-მესა და რ. თ-შვილს უნდა გაუნახვერდეთ სსკ-ის 24, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - ნ. ლ-მის, რ. თ-შვილისა და ა. ტ-მის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულებს - ნ. ლ-მესა და რ. თ-შვილს გაუნახვერდეთ სსკ-ის 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები და ამ მუხლით განესაზღვროთ 9-9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ნ. ლ-მეს გაუნახვერდეს სსკ-ის 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით და განესაზღვროს ჯარიმა 1 500 ლარის ოდენობით;

განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში რ. თ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ა. ტ-მის მსჯავრდების ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ნ. ლ-მეს განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; რ. თ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1596აპ

25 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ზ. მემიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. თ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 მაისის განაჩენით ს. თ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი პირის მიმართ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; მანვე ჩაიდინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება; მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 1 სექტემბერს ს. თ-შვილმა სხვა პირებთან ერთად განიზრახა, ყაჩაღური თავდასხმის გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს, დაახლოებით 18.³⁰ საათზე, ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომზე, სადაც შენიშნეს ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“, რომლის საჭესთან (საჭე მანქანას მარჯვენა მხარეს აქვს) იჯდა მფლობელი თ. ა-ოვი, მის გვერდით კი - მისი საცოლე ე. თ-ჩი. ს. თ-შვილი თანამზრახველებთან ერთად მანქანასთან მივიდა მარჯვენა მხრიდან და დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულა თ. ა-ოვი და ე. თ-ჩი, გადასულიყვნენ უკანა სავარძელზე, რითიც, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მათ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. თვითონ ს. თ-შვილი მოთავსდა ავტომანქანის უკანა სავარძელზე, ე. თ-ჩისა და თ. ა-ოვის შორის და იარაღის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობის მუქარით აიძულებდა მათ, ჩუმად ყოფილიყვნენ და წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ერთ-ერთი თავდამსხმელი, ს. თ-შვილის დავალებით, დაჯდა საჭესთან, ხოლო მეორე - მის გვერდით, რის შემდეგაც მათ, ასევე ს. თ-შვილის მითითებით, წებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით“ დაზარალებულებს შეუკრეს ხელები და, ილია ჭავჭავაძის გამზირისა და სანაპიროს გავლით, წაიყვანეს სოფ. ბოროტმოქმედებმა ისინი შეიყვანეს ერთ-ერთ ქოხში, სადაც ს. თ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით თ. ა-ოვისა და ე. თ-ჩის გასტაცა 1900 ლარის ღირებულების ოქროულობა, 750 ლარად და 240 აშშ დოლარად ღირებული ორი მობილური ტელეფონი, 200 ლარად ღირებული „რეიბანის“ ფირმის სათვალე, ფული - 120 ლარი, ავტომანქანის გასაღები და თ. ა-ოვის პირადობის, ავტომანქანის დამადასტურებელი მოწმობები და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტები. აღნიშნულის შემდეგ ს. თ-შვილმა იარაღი გადასცა თავის თანმხლებ ერთ-ერთ პირს და თვითონ, თ. ა-ოვის კუთვნილი, 15000 ლარად ღირებული „მიცუბიში პაჯეროთი“ წავიდა გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო თ. ა-ოვი და ე. თ-ჩი სხვა თავდამსხმელების მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა ხის ფაცხაში და დაუბარა, რომ წინააღმდეგობის გაწევისა და გაქცევის მცდელობის შემთხვევაში ესროლათ მათთვის. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარითა და ძალადობით, რაც გამოიხატა თავდამსხმელთა მხრიდან თ. ა-ოვისათვის მუცლის არეში ფეხებით ცემაში, დაზარალებულებს უკანონოდ ჰქონდათ აღკვეთილი თავისუფლება ხის ფაცხაში მიყვანიდან დაახლოებით 4 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც მათ ისარგებლეს ბოროტმოქმედთა უყურადღებობით, გაიქცნენ და მომხდარის შესახებ შეატყობინეს პოლიციას.

ს. თ-შვილისა და მისი თანამზრახველების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულებს, მორალურის გარდა, მიაღდათ დიდი ოდენობით, სულ - 17970 ლარისა და 240 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი.

ს. თ-შვილი დააკავეს 2006 წლის 17 სექტემბერს.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. თ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ს. თ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 17 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ჯ-ძემ და მსჯავრდებულმა ს. თ-შვილმა.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ს. თ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით 24 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო მსჯავრდებულმა ს. თ-შვილმა - სსკ-ის 143-ე, 236-ე და 363-ე მუხლებით წარდგენილ

ბრალდებაში გამართლება, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი - სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ს. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით - 10 წლით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა», „გ«, „ე« ქვეპუნქტებით - 7 წლით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ს. თ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

კასატორები - მსჯავრდებული ს. თ-შვილი და ადვოკატი ვ. ა-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამ შემთხვევაში კი საქმის მასალებით ს. თ-შვილის ბრალეულობა კანონით დადგენილი წესით არ დასტურდება; ს. თ-შვილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, ასევე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები ვერ იქნება ბრალდების საფუძველი, მით უფრო, რომ მას კანონსაწინააღმდეგო არაფერი აღმოაჩნდა; რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებს, ეს მოწმეები ის პოლიციელები არიან, რომლებმაც დააკავეს ს. თ-შვილი და მათ მხოლოდ მისი დაკავების დადასტურება შეუძლიათ და არა - ბრალეულობის; რჩება მხოლოდ დაზარალებულების ჩვენებები, რომლებითაც დასტურდება მათი დაყარება და არა ის, რომ დანაშაული ს. თ-შვილმა ჩაიდინა; ასეც რომ იყოს, მხოლოდ ამ მტკიცებულებით დაუშვებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

კასატორთა აზრით, საინტერესოა დანაშაულის კვალიფიკაცია; ყაჩაღობა მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას; თავისუფლების უკანონო აღკვეთას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ ბოროტმოქმედთა მიზანი იქნებოდა სხვისი გაქურდვა, გამარცხა ან დაყარა, დაზარალებულები წარმოადგენდნენ დაბრკოლებას და მათ აღუკვეთეს თავისუფლება ძალადობით; მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ყაჩაღობა მთელი შემადგენლობით, მით უფრო, რომ მას შემდეგ, რაც თავდამსხმელები დაეუფლნენ დაზარალებულების ქონებას, ანუ მიაღწიეს მიზანს, მიატოვეს ისინი და ამით მისცეს მათ გაქცევის შესაძლებლობა; ყაჩაღობისას აუცილებელია, როგორმე შეიზღუდოს მსხვერპლი, რაც იარაღის გამოყენებით ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყაჩაღობაც არ იქნება; აქედან გამომდინარე, ს. თ-შვილი უნდა გამართლდეს სსკ-ის 143-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

რაც შეეხება ბრალდებას სსკ-ის 363-ე მუხლით, კასატორთა განმარტებით, თ. ა-ოვმა დაკარგა პირადობის, მართვისა და პოლიციელის პირადობის მოწმობები და სავიზიტო ბარათი; თ. ა-ოვი იმ დროისათვის დათხოვილი იყო შს ორგანოებიდან და მას უფლება არ ჰქონდა, ესარგებლა თანამშრომლის მოწმობით, ამიტომ ამ დოკუმენტის, ასევე - სავიზიტო ბარათის მნიშვნელობაზე საუბარი გამორიცხულია; რაც შეეხება პირადობისა და მართვის მოწმობებს, მათი არსებობა დასტურდება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებით; ეს დოკუმენტები ამოღებული არ ყოფილა; ლოგიკური მსჯელობით, თ. ა-ოვს უნდა ჰქონოდა ეს დოკუმენტები, მაგრამ ლოგიკური მსჯელობა მტკიცებულებად ვერ გამოდგება; საქმის მასალებით ასევე არ იკვეთება ამ დოკუმენტების დაუფლების განზრახვა; ამიტომ ს. თ-შვილი ამ ნაწილშიც უნდა გამართლდეს; საქმის მასალებში არ მოიპოვება არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ზარალის რეალურ ოდენობას; სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებას; ასევე არ იკვეთება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი, რადგან თ. ა-ოვი და ე. თ-ჩი მხოლოდ შემთხვევითი მსხვერპლნი იყვნენ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და ს. თ-შვილის გამართლებას ან მის უდანაშაულოდ ცნობას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, 143-ე და 363-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით - მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ე. თ-ჩიმ და თ. ა-ოვმა სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო სწორედ ს. თ-შვილი, რომლის სახე კარგად დაამახსოვრდათ. დაზარალებულებს წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელ-ფეხი, მიიყვანეს სოფ. . . ., სადაც მიტოვებულ ქოხში ამყოფეს დაახლოებით 4 საათი. ამის შემდეგ დაზარალებულებმა მოახერხეს გაქცევა. თ. ა-ოვი სთხოვდა ბოროტმოქმედებს, რომ საბუთები მაინც დაებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ. თ. ა-ოვის განცხადებით, მას მიადგა 16 000 ლარის ოდენობის ზიანი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა წებოვანი ლენტი. წინასწარი გამოძიებისას ორივე დაზარალებულმა ამოიციწო ს. თ-შვილი და კატეგორიულად მიუთითეს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი სწორედ იგი იყო.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და უტყუარადაა დადასტურებული, რომ ს. თ-შვილი ჯგუფურად და დიდი ოდენობით ნივთის დასაუფლებლად,

ყაჩაღურად თავს დაესხა ე. თ-ჩისა და თ. ა-ოვს, რომლებსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით, ჯგუფურად აღუკვეთეს თავისუფლება, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით. მანვე გაიტაცა პირადობის დამადასტურებელი და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი.

ამასთან, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმძებელმა მოითხოვა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით განსასჯელისათვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. სსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით მსჯავრდებულისათვის დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 9 წელზე მეტი ვადით.

გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, ვინაიდან ამ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულ ს. თ-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. თ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ს. თ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი;

ს. თ-შვილს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «გ» და «ე» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ს. თ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ს. თ-შვილს განესაზღვროს 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2266-აპ

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ხ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განაჩენით რ. ხ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ზ» და „თ» ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა ყაჩაღობა; ასევე - მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება; ასევე - ჯგუფურად თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ხ-იანმა დაუდგენელ ორ პირთან ერთად განიზრახა, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავს დასხმოდა რომელიმე ტაქსის მძღოლს და დაუფლებოდა ავტომანქანას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რ. ხ-იანი 2005 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 20 საათზე, მივიდა ქ. თბილისში, „დინამოს» სტადიონთან მდგარ, „ოპელ-ვექტრას» მარკის ტაქსთან და მის მძღოლს - თ. ჩ-შვილს სთხოვა, წაეყვანა გარდაბნის რაიონის სოფ. ... დასახლებაში, რაზეც მძღოლი დასთანხმდა. თ. ჩ-შვილმა ავტომანქანაში, რ. ხ-იანის მითითებით, ასევე ჩასვა მისი თანამზრახველი, ძიებით დაუდგენელი ორი პირი. გზაში, გარდაბნის რაიონის ... დასახლების ტერიტორიაზე ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ თ. ჩ-შვილს და დანის გამოყენების მუქარით, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით გასტაცეს ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა», ფული - 32 ლარი და ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი. ამის შემდეგ მათ დაზარალებულს ალუკვეთეს თავისუფლად გადაადგილების უფლება, ხელბეშკურული და თვალახვეული შეიყვანეს ერთ-ერთ შენობაში და რამდენიმე საათის განმავლობაში არ მისცეს გადაადგილების საშუალება, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ხ-იანს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 21 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-იამ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება, რ. ხ-იანის გამართლება და პატიმრობიდან განთავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - ადვოკატი მ. ქ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი რ. ხ-იანის მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო დაზარალებულისა და მოწმე მ. გ-ის ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს; სასამართლო გამოძიების დროს დაზარალებულმა დამაჯერებლად და ლოგიკურად ვერ ჩამოაყალიბა თავისი ჩვენება, ვერ უპასუხა დაცვის მხარის კითხვებს, მისი ჩვენება მიმართული იყო იმისკენ, რომ რ. ხ-იანისათვის ბრალი დაემძიმებინა; საქართველოს სსსკ-ის 347-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით ჩატარდა რ. ხ-იანის ამოცნობა ფოტოსურათით, რადგან ამოსაცნობი პირები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან; წინასწარი გამოძიება ჩატარდა ცალმხრივად და არაობიექტურად; არავითარი ზომები არ მიიღეს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; რატომღაც დღემდე არ იძებნება გატაცებული ავტომანქანა, რაც ბადებს ეჭვს.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატის აზრით, სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 539-ე მუხლის მოთხოვნები; განაჩენით რ. ხ-იანის დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობა მტკიცებულებებს შორის; სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება; სასამართლომ განაჩენის დასაბუთებისას გამოიყენა დაუშვებელი მტკიცებულებები, რითიც ასევე დაირღვა სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. ქ-ია ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და რ. ხ-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები სათანადოდაა გაანალიზებული და შეფასებული, უდავოდ დადგენილია, რომ რ. ხ-იანმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, მათ შორის, დაზარალებულ თ. ჩ-შვილისა და მოწმე მ. გ-ის ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოცნობის (მათ შორის - პირის ამოსაცნობად წარდგენის) ოქმები.

პალატა აღნიშნავს, რომ მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ხ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ რ. ხ-იანს გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ რ. ხ-იანს განესაზღვროს 11 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1922-აპ

12 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ო-შვილის, მსჯავრდებულების - ს. ა-იანისა და თ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენზე ს. ა-იანის, თ. მ-იანის, კ. ბ-შვილისა და თ. ტ-ევის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ს. ა-იანი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ყაჩაღობა ჯგუფურად და პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

2. თ. მ-იანი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 353-ე

მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად და არაერთგზის; ასევე - პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

3. თ. ტ-ევი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად; ასევე - პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

4. კ. ბ-შვილი საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ერთი ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო მეორის - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება; ასევე - ყაჩაღობა ჯგუფურად და პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ს. ა-იანის, კ. ბ-შვილის, თ. ტ-ევისა და თ. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 1.³⁰ საათზე, კ. ბ-შვილი მართავდა თავის კუთვნილ ავტომანქანა „ბმვ-ს» და მოძრაობდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ქ. თბილისის მერიიდან მეტროს სადგურ „რუსთაველის» მიმართულებით, გადაჭარბებული, დაახლოებით 80 კმ/სთ-ში სიჩქარით. #1 საშუალო სკოლის მოპირდაპირე მხარეზე მსვლელობისას, სავალი ნაწილის მესამე ზოლში მან დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც: „ზოლიდან ზოლში გადასვლის ... წინ... მანევრი უნდა იყოს უსაფრთხო, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შეექმნათ დაბრკოლება».

უგულებელყო რა მოძრაობის უსაფრთხოების წესების ზ/აღნიშნული პუნქტის მოთხოვნები, კ. ბ-შვილმა, გადაჭარბებული სიჩქარით მსვლელობისას, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, გადაკვეთა ორმაგი ღერძულა ხაზი, გადავიდა საწინააღმდეგო მხარეს და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით, საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით მოძრავ ავტომობილ „ვაზ-2104-ს», რომელსაც მართავდა ლ. კ-ია, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ხოლო ავტომობილ „ბმვ-ს» მგზავრმა ნ. ა-მემ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება.

2006 წლის 17 მაისს ს. ა-იანი დაუკავშირდა სამ პირს, რის შემდეგაც ოთხივემ გადაწყვიტა, დანაშაულებრივი გზით ეშოვათ ფული. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ს. ა-იანი, გ. ა-იანი და ორი დაუდგენელი პირი, შეიარაღებულები ცეცხლსასროლი იარაღებით, მივიდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე ინდემქარმე „ნ. თ-შვილის» კუთვნილ მინიმარკეტში, სადაც, პისტოლეტისა და გადაჭრილი თოფის მუქარით, ნ. თ-შვილსა და მინიმარკეტში მომუშავე ა. ს-მეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით გასტაცეს 265 ლარის «მონო» და „ლაი-ლაი» ბარათები, ფული - 7 ლარი, სხვადასხვა დასახელების სიგარეტი, პროდუქტი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2006 წლის 20 აგვისტოს, დაახლოებით 21 საათზე, ს. ა-იანი, თ. მ-იანი და გამოძიებით დაუდგენელი პირი იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ დაინახეს, რომ მათთვის უცნობ პირს - ხ. ხ-შვილს ჰქონდა „მოტოროლას» ფირმის მობილური ტელეფონი და განზრახეს მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ს. ა-იანი და თ. მ-იანი მივიდნენ იქვე მდგომ ხ. ხ-შვილთან. თ. მ-იანმა, ვითომდა ტელეფონზე დარეკვის მიზნით, გამოართვა მას მობილური ტელეფონი და მოსაჩვენებლად დაიწყო ტელეფონზე ლაპარაკი, ხოლო ს. ა-იანმა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ხ. ხ-შვილს გაუბა საუბარი და გადაიტანა მისი ყურადღება. ამ დროს თ. მ-იანმა ისარგებლა შემთხვევით, თაღლითურად დაეუფლა ხ. ხ-შვილის კუთვნილ, 240 ლარად ღირებულ „მოტოროლას» ფირმის მობილურ ტელეფონს და მიიმალა. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ტელეფონის დაბრუნების იმედით ხ. ხ-შვილმა ს. ა-იანთან ერთად დაუწყო ძებნა თ. მ-იანს. ამ დროს მასთან მივიდა გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომელიც, ასევე წინასწარი შეთანხმების თანახმად, შეეცადა ს. ა-იანის გარიდებას ხ. ხ-შვილისაგან, რისი საშუალებაც ამ უკანასკნელმა არ მისცა და ერთად განაგრძეს თ. მ-იანის ძებნა. რამდენიმე ხანში მათ იგი ნახეს ბარათაშვილის ხიდთან მდებარე ქორწინების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა მას მობილური ტელეფონი არ აღმოაჩნდა, რაც იმით ახსნა, რომ ვითომ ტელეფონი უცნობმა პირებმა წაართვეს. ს. ა-იანი დაჰპირდა ხ. ხ-შვილს, რომ აუცილებლად დაუბრუნებდა თავის ტელეფონის აპარატს და ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

2006 წლის 23 აგვისტოს, დაახლოებით 11.³⁰ საათზე, ს. ა-იანი იმყოფებოდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ დროს მან დაინახა იქვე გაჩერებული თ. მ-ძის კუთვნილი ავტომანქანა „ბმვ». დააფიქსირა, რომ თ. მ-მე და მისი მეგობარი - ს. ს-უა გადასულები იყვნენ ავტომანქანიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ხოლო ღია ავტომანქანაში

დარჩენილი იყო ხელჩანთა და განიზრახა მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მივიდა ავტომანქანასთან ახლოს, წინა, მარჯვენა კარის მხრიდან, სადაც ჩაწეული იყო მინა ისე, რომ თ. მ-მე და ს. ს-უა მას ხედავდნენ, მართლსაწინააღმდეგოდ, აშკარად დაეუფლა სავარძელზე დადებულ, თ. მ-მის კუთვნილ ხელჩანთას, რომელშიც იდო სხვადასხვა ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 985 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 27 აგვისტოს, დაახლოებით 24.²⁰ საათზე, ს. ა-იანი, თ. მ-იანი, კ. ბ-შვილი და თ. ტ-ევი იყვნენ ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაინახეს ფეხით მიმავალი, მათთვის უცნობი პირი - ჯ. გ-ავა და განიზრახეს ძალადობის მუქარით მისი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ გააჩერეს ჯ. გ-ავა და სთხოვეს ტელეფონზე დარეკვა. ამ უკანასკნელმა ს. ა-იანს მიაწოდა „სიმენსის« ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი. ამ დროს იქვე მყოფმა თ. მ-იანმა მას დასათვალისწინებლად გამოართა „ოპინელის« ფირმის დასაკეცი ჯიბის დანა, რომელიც ჯ. გ-ავას ეჭირა. როდესაც ამ უკანასკნელმა მოითხოვა ტელეფონის უკან დაბრუნება, ბოროტმოქმედებმა, მობილური ტელეფონი უკან რომ არ დაებრუნებინათ, ჯ. გ-ავას აღნიშნული დანით დაუწყეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, რა დროსაც მისაკუთრეს „სიმენსის« ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი, ღირებული 100 ლარად და „ოპინელის« ფირმის დასაკეცი ჯიბის დანა, ღირებული 35 ლარად. იმავედროულად თავდამსხმელებმა დაზარალებულს დაუწყეს ცემა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით კ. ბ-შვილმა ჯ. გ-ავას ყელიდან ჩამოგლიჯა 400 ლარად ღირებული ოქროს ჯაჭვი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს. ჯ. გ-ავამ მოახერხა თავდამსხმელებისაგან თავის დაღწევა და მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინა პოლიციას.

იმავე დღეს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, 1.⁴⁸ საათზე, ... მიმდებარე ტერიტორიაზე, ... ქუჩაზე, დაზარალებულ ჯ. გ-ავას მითითებით დააკავეს თ. მ-იანი, ს. ა-იანი, თ. ტ-ევი და კ. ბ-შვილი. მათ დასაკავებლად მითითებულ ადგილზე მივიდნენ ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლები - გ. შ-შვილი, ზ. ო-მე და ზ. ო-შვილი. პოლიციის თანამშრომლებმა წარუდგინეს მათ თავიანთი თავი, სიტყვიერად განუმარტეს დაკავების საფუძველი, უფლებები და მოსთხოვეს დამორჩილება. ამის მიუხედავად ბოროტმოქმედებმა განიზრახეს წინააღმდეგობის გაწევა და მიმალვა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას, მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, დანის მუქარითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადნენ მიმალვას, რა დროსაც ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელ გ. შ-შვილს შემოახიეს პერანგი. წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიციელებმა კანონშესაბამისად შეძლეს ეჭვიმტანილობა დაკავება.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ა-იანს საბოლოოდ განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, თ. მ-იანს - 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, თ. ტ-ევს - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, კ. ბ-შვილს - 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 27 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. გ-შვილმა, მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ლ. კ-მემ და მ. ო-შვილმა. პროკურორმა გ. გ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა თ. მ-იანისა და კ. ბ-შვილის მიმართ განაჩენის გაუქმება, თ. მ-იანისათვის საბოლოოდ 23 წლით, ხოლო კ. ბ-შვილისათვის - 17 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

მსჯავრდებულების - ს. ა-იანის, თ. ტ-ევისა და თ. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-მე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და სამივე მსჯავრდებულის გამართლებას. მსჯავრდებულ კ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ო-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა კ. ბ-შვილის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით - თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად 2000 ლარის ჯარიმის დაკისრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ კ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ო-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი კ. ბ-შვილის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში უკანონო და დაუსაბუთებელია, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ ჯ. გ-ავაზე ყაჩაღური თავდასხმა რომ არ მომხდარა, დასტურდება თვით დაზარალებულის ჩვენებით, რადგან მსჯავრდებულებს არ ჰქონიათ იარაღი, რომლითაც ისინი შეძლებდნენ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის განხორციელებას; ყაჩაღობა რომ არ მომხდარა, იმითაც დასტურდება, რომ ჯ. გ-ავას წასვლის შემდეგ კ. ბ-შვილი და მასთან მყოფი პირები არ დამალულან; ისინი დააკავეს რამდენიმე წუთში, ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მათ ჯ.

გ-ავას ნივთები არ აღმოსჩენიათ; განაჩენი პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის ნაწილში ეფუძნება თავად დაზარალებულებისა და მოწმეების ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს; პოლიციის არც ერთი თანამშრომელი არ უთითებს კ. ბ-შვილზე, რომ მან პოლიციის რომელიმე მუშაკს შემოახია პერანგი ან დანით გაუწია წინააღმდეგობა.

რაც შეეხება კ. ბ-შვილის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, მისთვის განსაზღვრული სასჯელი შეუსაბამოა დანაშაულის სიმძიმესა და ქმედების ხასიათთან; კ. ბ-შვილმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, დაზარალებულებს თვითონ აღმოუჩინა პირველადი დახმარება; აანაზღაურა მათთვის მიყენებული ზარალი (მათ შორის - მკურნალობის ხარჯებიც) და დაზარალებულებს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ; აღნიშნული მუხლის სანქცია სასჯელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმასაც.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ადვოკატი მ. ო-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას, კ. ბ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას, ხოლო 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული სასჯელის ჯარიმით შეცვლას.

მსჯავრდებულების - ს. ა-იანისა და თ. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, საქმის მასალები, ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო სხდომაზე შეკრებილი მტკიცებულებები და განაჩენში მითითებული დასკვნები არ შეესაბამება ერთმანეთს, ამიტომ განაჩენი უნდა გაუქმდეს და თ. მ-იანისა და ს. ა-იანის მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოება საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე; განაჩენი ემყარება მხოლოდ ეჭვსა და ვარაუდს, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ; მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენა ვერ დადასტურდა ვერც დაზარალებულებისა და ვერც - მოწმეების ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებით; სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ს. ა-იანი ინდემწარმე „ნ. თ-შვილის“ მინიმარკეტის დაყაჩაღების დროს იმყოფებოდა საზღვარგარეთ, რაზეც სასამართლოს წარედგინა ს. ა-იანის საზღვარგარეთის პასპორტი საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის სათანადო ჩანაწერით, რაც მხედველობაში არ იქნა მიღებული.

ადვოკატ ლ. კ-მის მოსაზრებით, მსჯავრდებულებს არც სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაუდენიათ, მით უმეტეს - არც არავითარი წინასწარი შეთანხმება ჰქონიათ; ასევე არასწორი კვალიფიკაცია აქვთ მსჯავრდებულებს წარდგენილი, რამდენადაც ისინი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ცალ-ცალკე მუხლებით არიან დასჯილნი; სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (იმ დროს მოქმედი რედაქცია), არაერთგზის ჩადენილი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას; ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში; იმ შემთხვევაში, თუ არაერთგზისი დანაშაული მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზის დანაშაულისათვის; აქედან გამომდინარე, ს. ა-იანი და თ. მ-იანი ცალ-ცალკე - სსკ-ის 179-ე, 180-ე, 178-ე მუხლებით არ უნდა დასჯილიყვნენ, მით უმეტეს, ს. ა-იანს ორჯერ ჰქონდა წარდგენილი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და ორივეთი დაისაჯა; სასამართლომ ამ შემთხვევაში არასწორად გამოიყენა კანონი, რამაც გამოიწვია მკაცრი სასჯელები.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ადვოკატი ლ. კ-მე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ს. ა-იანისა და თ. მ-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა ჯ. გ-ავამ სასამართლოს განუმარტა, რომ ღამით სამსახურიდან ბრუნდებოდა, დახვდა ოთხი პირი და სთხოვეს მობილური ტელეფონის გადაცემა. ს. ა-იანმა ისარგებლა მისი მობილური ტელეფონით, მაგრამ არ დაუბრუნა იმ მოტივით, რომ ზარს ელოდებოდა. ჯ. გ-ავას ხელთ ჰქონდა დანა, რომელიც ასევე გადასცა ერთ-ერთი პირს. ამის შემდეგ იგი ჩაიყვანეს ბაღში, სადაც დაიწყეს საუბარი და იმან, ვისაც დანა გადასცა, მოსთხოვა ოქროს მეწკვი, რომელიც ყელზე ეკეთა. საპასუხოდ ჯ. გ-ავამ მოითხოვა თავისი ნივთების დაბრუნება, რა დროსაც გახსნეს დანა და მეწკვი ძალით წაართვეს, კერძოდ, მოუქნიეს დანა, თ. მ-იანმა მუშტი დაარტყა, ხოლო კ. ბ-შვილმა - თავი და შეხსნა მეწკვი. დაზარალებულმა განაცხადა, რომ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობდა ოთხივე მსჯავრდებული, რომლებიც მისი მითითებით დააკავეს.

პოლიციელმა გ. შ-შვილმა განაცხადა, რომ ჯ. გ-ავას მითითებით დააკავეს ოთხი პირი, რომლებმაც გაუწიეს წინააღმდეგობა და დაუზიანა პერანგი. ერთ-ერთს ჰქონდა დანა, რომელსაც იქნევდა და ეს საგანი ძალით წაართვა.

პოლიციელების - ზ. ო-ძისა და კ. ფ-ძის ჩვენებებითაც ირკვევა, რომ მათ გაუწიეს წინააღმდეგობა, რა დროსაც ერთ-ერთს დანა ეკავა.

მოწმე ო. ო-ანის განმარტებით, შემთხვევის ადგილზე იყო გაწევ-გამოწევა, ერთ-ერთ პოლიციელს მისური ჰქონდა შემოხეული.

დაცვის პოლიციის თანამშრომელმა ელვარდ მათიაშვილმა მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილზე გავიდა ოპერატიული ჯგუფი და დაეხმარა იქ მყოფ პოლიციელებს ოთხი პირის დაკავებაში.

დაზარალებულებმა - ა. ს-ძემ და ნ. თ-შვილმა სასამართლო სხდომაზე დამაჯერებლად ამხილეს ს. ა-იანი და კატეგორიულად განაცხადეს, რომ ეს უკანასკნელი იყო მათზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე.

მოწმე ს. ს-უამ განმარტა, რომ სწორედ ს. ა-იანმა გაიტაცა ჩანთა ავტომანქანიდან და გაიქცა.

დაზარალებულმა ხ. ხ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ მობილური ტელეფონი გამოართვა თ. მ-იანმა და ს. ა-იანთან ერთად მიიძალა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით, ზემოაღნიშნულ და სხვა პირთა ჩვენებებით უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

პალატა აღნიშნავს, რომ ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება 2007 წლის 4 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილების ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონში შეტანილი ამ ცვლილების ამოქმედების შემდეგ (საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი, მუხლი მე-2).

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან ს. ა-იანის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და, შესაბამისად, ს. ა-იანს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

პალატა განმარტავს, რომ ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავდა ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი არ გულისხმობს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულისათვის პირის ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს ერთი მუხლით და მას უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი.

მსჯავრდებულ კ. ბ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩათვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკავების დრო - 2005 წლის 15 თებერვლიდან 17 თებერვლამდე - 2 დღე.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებული კ. ბ-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - კ. ბ-შვილის, ს. ა-იანისა და თ. მ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ო-შვილისა და ლ. კ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს: გასაჩივრებული განაჩენიდან ს. ა-იანის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, კ. ბ-შვილი გათავისუფლდეს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ს. ა-იანს საბოლოოდ განესაზღვროს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა;

კ. ბ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

კ. ბ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკავების დრო - 2005 წლის 15 თებერვლიდან 2005 წლის 17 თებერვლამდე - 2 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2006-აპ

12 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე რ. ტ-ძისა და ვ. ჯ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით რ. ტ-ძე და ვ. ჯ-ძე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინეს ჯგუფურად ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე, მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება და პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

რ. ტ-ძისა და ვ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ რ. ტ-ძეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მიღებისათვის დაადო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 75 ლარის ოდენობით. აღნიშნულის მიუხედავად, მან 2006 წლის 21 მარტს უკანონოდ შეიძინა, შეინახა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. იგი იმავე დღეს, 20 საათზე, დააკავეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა ქ. თბილისში, „ელიავას» ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე და გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც, ექსპერტიზის #977\24 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ბუპრენორფინის» შემცველი ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

მანვე 2006 წლის 31 ოქტომბერს კვლავ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. იგი იმავე დღეს, 12.²⁰ საათზე, დააკავეს თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #17-თან და გადაიყვანეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც, ექსპერტიზის #536416\24 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ბუპრენორფინის» შემცველი ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

2006 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ვ. ჯ-ძეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მიღებისათვის დაადო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. აღნიშნულის მიუხედავად, ვ. ჯ-ძე 2006 წლის 29 ნოემბერს ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა. იგი იმავე დღეს შეამოწმეს შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც, გამოკვლევის #533 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ბუპრენორფინის», „ტეტროპიდროკანაბინოლისა» (მარიხუანა) და ოპიუმის ჯგუფის შემცველი ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი.

2006 წლის 29 ნოემბერს ვ. ჯ-ძე და რ. ტ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე, ქ. თბილისში, ... ქ. #20-თან მათ შენიშნეს თავიანთი მეგობარი გ. დ-ლი, რომელიც იჯდა მამის - გ. დ-ლის სახელზე რეგისტრირებულ, „ბმვ-318» მარკის ავტომანქანაში. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი ჩასხდნენ მანქანაში, რომელსაც მართავდა გ. დ-ლი, რ. ტ-ძე - უკანა სავარძელში, ხოლო ვ. ჯ-ძე - წინ, მძღოლის გვერდით. რ. ტ-ძემ - დანის გამოყენებით განხორციელებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ხოლო ვ. ჯ-ძემ - სიტყვიერი მუქარით, გ. დ-ლს მოსთხოვეს ავტომანქანის გადაცემა და აიძულეს, გადასულიყო მანქანიდან; ამავე დროს მას წაართვეს ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, რის შემდეგაც გატაცებული ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითიც გ. დ-ლს მიაყენეს 9 ათასი ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ტ-მესა და ვ. ჯ-მეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით განესაზღვრათ 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მათ საბოლოოდ განესაზღვრათ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 29 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ვ. ჯ-მემ და მსჯავრდებულ რ. ტ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჰ. ბ-შვილმა.

მსჯავრდებულმა ვ. ჯ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მისთვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდების ამორიცხვა, ხოლო ადვოკატმა ჰ. ბ-შვილმა - განაჩენის გაუქმება რ. ტ-მისათვის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს მსჯავრდებულებმა და მათმა ადვოკატებმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა და ითხოვეს სასჯელების შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული რ. ტ-მე საკასაციო საჩივრით აღიარებს და გულწრფელად ინანიებს დანაშაულს; აღნიშნავს, რომ პირველადაა სამართალში; ჰყავს ასაკოვანი მშობლები და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ რ. ტ-მემ და ვ. ჯ-მემ ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის დაზარალებულ გ. დ-ლის, მოწმეების - ნ. მ-მის, კ. ხ-რის, მ. წ-ურის, ნ. ბ-შვილის, ზ. მ-შვილის, თავად მსჯავრდებულთა მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებები და ამოღების ოქმი.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

მსჯავრდებულების პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით მათთვის დანიშნული სასჯელები ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და, შესაბამისად, აშკარად უსამართლოდ, ამ სასჯელების შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულებს უნდა გაუნახვერდეთ სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. ტ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულებს - ვ. ჯ-მესა და რ. ტ-მეს გაუნახვერდეთ სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელები - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროთ 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

რ. ტ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; ვ. ჯ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#811-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ლ-ძის, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-ძისა და მსჯავრდებულ ა. ს-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქარელის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ივნისის განაჩენით გ. ბ-ძე და ა. ს-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა ჯგუფურად, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის მუქარით, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 22 თებერვალს ა. ს-შვილი, გ. ბ-ძე და ვ. თ-შვილი მივიდნენ ქ. გორში მდებარე შპს „...“. მათ იცოდნენ, რომ საწყობში ინახებოდა ხელის მინიტრაქტორი. შეაღწიეს რა საცავში, გ. ბ-ძე და ა. ს-შვილი ყაჩაღურად თავს დაესხნენ საწარმოს დარაჯ ვ. თ-ძეს, უკანონოდ აღუკვეთეს მას თავისუფლება, გამოიტანეს ტრაქტორი გარეთ, სადაც ელოდებოდათ ვ. თ-შვილი, რომელმაც გ. ბ-ძის მიერ ნათხოვარ ავტომანქანას მოხსნა სავარძლები, მასში მოათავსეს ტრაქტორი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. შემთხვევის ადგილზე დატოვებული ხელფეხშეკრული დარაჯი ვ. თ-ძე გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ბ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ა. ს-შვილს - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; ვ. თ-შვილსა და პროკურორს შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე გამოსაცდელი ვადით; მის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალა შიდა ქართლის პროზაციის ბიუროს. ა. ს-შვილს, გ. ბ-ძესა და ვ. თ-შვილს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 15 000 ლარის გადახდა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2005 წლის 23 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - გ. ბ-ძისა და ა. ს-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. დ-შვილმა, მ. გ-ავამ და თ. თ-შვილმა.

მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. დ-შვილმა და მ. გ-ავამ ითხოვეს რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად, ხოლო მსჯავრდებულ ა. ს-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. თ-შვილმა ითხოვა განაჩენის გაუქმება და ა. ს-შვილის გამართლება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ადვოკატმა, მსჯავრდებულის თანხმობით, დააზუსტა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა გ. ბ-ძის გამართლება სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო ბრალდების დანარჩენ ნაწილში - სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ა. ს-შვილსა და გ. ბ-ძეს მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდნენ; მათი ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამაჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე და საბოლოოდ განესაზღვრა: გ. ბ-ძეს - 9 წლით, ხოლო ა. ს-შვილს - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ორივე მსჯავრდებულის მიმართ როგორც კვალიფიკაციის, ისე - სასჯელის ნაწილში არასწორი და ლმობიერია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ არ გაიზიარა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ჩვენება, რომ მისი მეუღლე გულით დაავადებული არ ყოფილა და არასოდეს მიუშართავს ექიმისათვის; პალატამ უპირობოდ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა და არ შეაფასა სხვა უტყუარ მტკიცებულებებთან ერთად; ასევე არ გაითვალისწინა გარდაცვლილის მდგომარეობა, რომელსაც გატეხილი ჰქონდა ცხვირის ძგიდე, აკრული ჰქონდა პირი და ეგდო პირქვე; სასამართლომ არ გაითვალისწინა ვ. თ-შვილის ჩვენება, რომ მან, ადამიანის ხრიალის გაგების შემდეგ, გააღო კარი და დაინახა ხელფეხშეკრული, დაბლა მწოლიარე დარაჯი, რომელიც ხრიალებდა და შველას ითხოვდა, ხოლო ა. ს-შვილი და გ. ბ-ძე თავზე ადგნენ; საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე რამდენიმეგან აღმოჩნდა ვ. თ-ძის სისხლი საკმარის დიდი რაოდენობით; ექსპერტმა კატეგორიულად ვერ გამორიცხა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულთა ქმედებას შეიძლება დაეჭვებინა ვ. თ-ძის სიკვდილი, თუმცა კატეგორიულად გამორიცხა მიზეზობრივი კავშირი მათ დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; ყოველივე კი ცალსახად ადასტურებს ექსპერტის არაობიექტურობას, არაკეთილსინდისიერებასა და დაინტერესებას; საქართველოს სსსკ-ის 374-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ექსპერტიზის დასკვნა ცალსახად სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის; პალატას უნდა შეეფასებინა, შეესაბამებოდა თუ არა დასკვნა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

პროკურორი ასევე აღნიშნავს, რომ პალატამ, თუმცა სრულიად გამორიცხა მიზეზობრივი კავშირის არსებობა, სამოქალაქო სარჩელი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ც. თ-ძის სასარგებლოდ მანინგ დააკისრა მსჯავრდებულებს; სადავო არ არის, რომ ვ. თ-ძის სიკვდილი არ გამოუწვევია მიყენებულ დაზიანებებს; ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა განზრახი მკვლელობა და არა - სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტი; სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების მოტივი, მიზანი, მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, დამდგარი მიმე შედეგი და ქმედების სიმძიმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი მ. ლ-ძე ითხოვს თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. გ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი გ. ბ-ძის მიმართ უნდა შეიცვალოს კვალიფიკაციის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

დარაჯ ვ. თ-ძის სიკვდილი დადგა მის მიმართ განხორციელებული ქმედებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო; მისთვის მიყენებული დაზიანებები თავისთავად დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს მიეკუთვნება; გ. ბ-ძე და მისი თანამზრახველები არ იყვნენ შეიარაღებულები რაიმენაირი იარაღითა და საშუალებით, რაც მოგვემდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარის რეალურ სურათს; ამ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 178-ე მუხლით - ძარცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ნ. გ-ძე ითხოვს განაჩენის შეცვლას, გ. ბ-ძის ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 178-ე მუხლზე და სასჯელის შემსუბუქებას.

კასატორი - მსჯავრდებული ა. ს-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი მის მიმართ არის უკანონო, იგი უნდა გაუქმდეს და დადგეს გამამართლებელი განაჩენი, შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ს-შვილისათვის წარდგენილი ყველა ბრალდება უკანონოა და ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული; საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, გარდა ვ. თ-შვილის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებისა; ა. ს-შვილს არ ჩაუდენია არანაირი დანაშაული, ის არ ყოფილა 2005 წლის 22 თებერვალს გ. ბ-ძესა და ვ. თ-შვილთან ერთად შპს „...« ტერიტორიაზე, ის მეზობლის ბიჭებთან ერთად წასული იყო ბაკურიანში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ა. ს-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის მსჯავრდებულების - ვ. თ-შვილისა და გ. ბ-ძის, მოწმე ი. ბ-შვილის ჩვენებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. ბ-ძემ და ა. ს-შვილმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

უსაფუძვლოა გ. ბ-მის ადვოკატის მითითება, რომ არ მომხდარა სივცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, აწ გარდაცვლილ ვ. თ-ძეს სხეულზე აღენიშნებოდა მრავალი დაზიანება, მათ შორის, გულ-მკერდის დახურული, ბლავგი ტრავმა, ნეკნის მოტეხილობა, ცხვირის ძვლების მოტეხილობა.

პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივს იმის თაობაზე, რომ ვერ დადგინდა მიზეზობრივი კავშირი მსჯავრდებულთა ქმედებასა და ვ. თ-ძის სიკვდილს შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი იყო, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

მსჯავრდებულებისათვის დანიშნული სასჯელები ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მსუბუქად და აშკარად უსამართლოდ და მათი დამძიმების მოტივით გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მსჯავრდებულთათვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. ვ. თ-ძე სამოქალაქო მოსარჩელედ ცნეს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა მიუხედავად, განსასჯელები სამოქალაქო მოპასუხეებად არ უცვნიათ. შესაბამისად, მათ ისე დაეკისრათ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება და ამის გამო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ლ-ძის, მსჯავრდებულ გ. ბ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-ძისა და მსჯავრდებულ ა. ს-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის განაჩენი გაუქმდეს მსჯავრდებულებისათვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#952-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. ა-იასა და ზ. ფ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ე. კ-ძისა და ლ. მ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. გ. ა-ია საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, «დ» ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და »ბ» ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში და საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 17 თებერვლიდან;

2. ზ. ფ-მე ამავვე კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა»ქვეპუნქტით და მისეაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ზ. ფ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 19 თებერვლიდან. მსჯავრდებულებს დაზარალებულების სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ თანხის გადახდა.

გ. ა-იასა და ზ. ფ-მის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 7 ოქტომბერს, დაახლოებით 19 საათზე გ. ა-ია და დაუდგენელი პირი შევიდნენ ქ. ბათუმში, ო. მ-მის სასურსათო მაღაზიაში, სადაც ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ამგვარის მუქარით, აშკარად დაეუფლნენ 300 ლარს და მობილური ტელეფონის 450 ლარის ოდენობის საკრედიტო ბარათებს, რის შემდეგ მიიმალნენ.

2006 წლის 13 თებერვალს, დაახლოებით 23 საათზე გ. ა-ია და ზ. ფ-მე, დაუდგენელ პირთან ერთად ჩასხდნენ ტაქსიში, რომელსაც მართავდა ტ. დ-მე. ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე მათ მძღოლს გააჩერებინეს ა. მანქანა, პისტოლეტის გამოყენებით ტ. დ-მე გადაიყვანეს მანქანიდან და მოსთხოვეს ფული. დაზარალებულმა წინააღმდეგობა გაუწია ბოროტმოქმედებს და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ დაეუფლნენ 70 ლარს, 300 აშშ დოლარად ღირებულ მობილურ ტელეფონს და მიიმალნენ.

მეორე დღეს, დაახლოებით 1 საათზე გ. ა-ია დაუდგენელ პირებთან ერთად ჩაჯდა ტაქსიში, რომელსაც ლ. ხ-ხი მართავდა. ამ უკანასკნელსაც პისტოლეტის გამოყენებით გასტაცეს 150 ლარი, 150 აშშ დოლარად ღირებული მობილური ტელეფონი და მიიმალნენ.

2006 წლის 14 თებერვალს, დაახლოებით 21.³⁰ საათზე გ. ა-ია დაუდგენელ პირთან ერთად შევიდა ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში, სადაც პისტოლეტის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით ლ. მ-მეს გასტაცეს 300 ლარი და მობილური ტელეფონის საკრედიტო ბარათები.

იმავე დღეს, დაახლოებით 22 საათზე გ. ა-ია დაუდგენელ პირთან ერთად, პისტოლეტის გამოყენებით ყაჩაღურად თავს დაესხა სასურსათო მაღაზიაში მომუშავე შ. ო-ოვას. მათ გაიტაცეს 40 ლარი, 100 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და 12 ლარად ღირებული თამბაქოს ნაწარმი, რის შემდეგ მიიმალნენ.

იმავე წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 21 საათზე გ. ა-ია და დაუდგენელი პირები ჩასხდნენ ს. ს-შვილის მართვის ქვეშ მყოფ ტაქსიში და მძღოლს დანის გამოყენების მუქარით გასტაცეს ოქროს ბეჭედი, 56 ლარი და 100 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულების ადვოკატებმა და მოითხოვეს გ. ა-იასა და ზ. ფ-მის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ზ. ფ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის ამჟამად მოქმედი რედაქციის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. ა-იას ადვოკატი საჩივარში მითითებს, რომ სააპელაციო პალატის განაჩენი უკანონოა, რადგან ეყრდნობა არა მტკიცებულებათა ერთობლიობას, არამედ მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებებს. ეს ჩვენებები არ არის თანმიმდევრული და მათი უმეტესობა განსხვავდება საქმის წინასწარი გამოძიების დროს მიცემული განმარტებებისაგან. ლ. მ-მე მიუთითებს, რომ თავდამსხმელები მისი მაღაზიიდან გავიდნენ 21 საათსა და 30 წუთზე და ასეთ ვითარებაში, გაუგებარია, ამავდროულად როგორ მიიღო მონაწილეობა გ. ა-იამ შ. ო-ოვაზე განხორციელებულ თავდასხმაში. დაუჯერებელია, რომ ო. მ-მემ, ახლომხედველობის მიუხედავად, შეძლო გ. ა-იას ამოცნობა. დაზარალებულმა ტ. დ-მემ რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება, რის გამოც პასუხისგებაშიც მისცეს, მაგრამ მისი ჩვენება უსაფუძვლოდ გაიზიარა სასამართლომ. გ. ა-ია თავად გაჰყვა პოლიციელებს, რადგან დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. სასამართლომ დაკითხა პირები, რომელთა ჩვენებებითაც დგინდება, რომ გ. ა-ია ვერ ჩაიდენდა მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გ. ა-იას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

ამასვე მოითხოვს ზ. ფ-მის მიმართ ადვოკატი ლ. მ-მეც იმ მოტივით, რომ ზ. ფ-მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო მხოლოდ ტ. დ-მის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, რომლებიც დაუშვებელი მტკიცებულებაა. ტ. დ-მემ სასამართლოში შეცვალა ჩვენება პროკურატურის მხრიდან ზეწოლის შედეგად. საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა ტ. დ-მემ სასამართლოში კატეგორიულად განაცხადა, რომ მასზე მომხდარი თავდასხმის მონაწილეები იყვნენ გ. ა-ია და ზ. ფ-მე, რომელსაც იარაღი ეჭირა. დაზარალებულმა

განმარტა, რომ ქუჩაში დაინახა ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელიც მისივე მითითებით დააკავეს და იგი ზ. ფ-მ აღმოჩნდა. მასთან მიდიოდნენ ამ უკანასკნელის მშობლები და სთხოვდნენ ჩვენების შეცვლას.

მოწმებმა - გ. ტ-შვილმა, ა. ბ-მემ და გ. მ-მემ სასამართლოს განუმარტეს, რომ ზ. ფ-მ დააკავეს ტ. დ-მის მითითებით.

დაზარალებულმა ო. მ-მემ განმარტა, რომ თავს დაესხა ორი პირი. ერთმა თავი მოუგრიხა, ხოლო მეორემ აიღო ფული და მობილური ტელეფონის საკრედიტო ბარათები. ერთ-ერთი თავდამსხმელი მასთან ახლოს მივიდა და დაინახა მისი სახე. ეს პირი შემდეგ ამოიციო კიდეც და იგი გ. ა-ია აღმოჩნდა. ო. მ-მემ კატეგორიულად მიუთითა, რომ გ. ა-ია იყო ერთ-ერთი თავდამსხმელი.

გ. ა-ია დამაჯერებლად ამხილა დაზარალებულმა ლ. ხ-ზმა და მიუთითა, რომ სწორედ მან მიაბჯინა იარაღი. ლ. ხ-ზმა მსჯავრდებული წინასწარი გამოძიების დროსაც ამოიციო.

დაზარალებულმა ს. ს-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ თავს დაესხა სამი პირი. მათგან ერთ-ერთმა - გ. ა-იამ დანა მიაღო.

გ. ა-ია სასამართლოში ამხილეს დაზარალებულებმა - შ. ო-ოვამ და ლ. მ-მემ.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლოს ხდომალზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. ა-იამ და ზ. ფ-მემ ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებათა და მსჯავრდებულთა პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით გ. ა-იასა და ზ. ფ-მეს დანიშნული აქვთ სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება. ამდენად, სააპელაციო პალატის განაჩენი სამართლიანიცაა.

იმის მიუხედავად, რომ ზ. ფ-მის ქმედება შესაბამისობაში მოვიდა დღეს მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კანონთან, გ. ა-ია ცნობილია დამნაშავედ ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით. ამდენად, მისი ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მსჯავრდებულთათვის დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილია მხოლოდ ო. მ-მე, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა მიუხედავად, განსასჯელები სამოქალაქო მოპასუხეებად არ უცვნიათ. შესაბამისად, გ. ა-იასა და ზ. ფ-მეს ისე დაეკისრათ დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება, რაც დაუშვებელია.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულებს, წარადგინონ სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - გ. ა-იასა და ზ. ფ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ე. პ-მისა და ლ. მ-მის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 მარტის განაჩენი გაუქმდეს მსჯავრდებულებისათვის დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის გადახდის დაკისრების ნაწილში;

გ. ა-იას ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1036-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზევირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დ. ჭ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევითა და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება; ასევე, გამოძალვა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ჭ-ძე 2003 წლის 22 დეკემბერს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ა. ქ-ძეს და დაუდგენელ სამ ბოროტმოქმედს, რომლებმაც მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით თავს დასხმოდნენ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის მე-10 შესახვევის #11-ში მცხოვრებ ე. მ-ძის ოჯახს, რათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ ამ უკანასკნელისა და მისი ოჯახის წევრების ფულსა და ნივთებს, ასევე გაეტაცებინათ მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს, დაახლოებით 1.³⁰ საათზე, დ. ჭ-ძემ და ა. ქ-ძემ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, პისტოლეტით, ხელყუმბართა და დანით აღჭურვილ სამ თანამზრახველ პირთან ერთად, უკანონოდ შეაღწიეს ბინაში, სადაც, ე. მ-ძის გარდა, იმყოფებოდნენ მისი მეუღლე - მ. ჯ-იანი, შვილები - ჟ. და გ. მ-ძეები.

თავდასხმელებმა მ. ჯ-იანი ნივთების მოსაძებნად გამოიყენეს, ხოლო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ე., ჟ. და გ. მ-ძეები ერთად მოათავსეს სახლის საძინებელ ოთახში არსებულ საწოლზე, რა დროსაც ა. ქ-ძე გავიდა სამზარეულო ოთახში და იმ იმედით, რომ ვერ შეამჩნევდნენ, სახიდან აიხსნა ნიღაბი, რაც შენიშნეს ე. მ-ძემ და მისმა შვილებმა. განახორციელეს რა ყაჩაღური თავდასხმა, დ. ჭ-ძემ და მისმა თანამზრახველებმა გაიტაცეს მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი - ე. მ-ძის სახელზე გაცემული ავტომობილის მართვის მოწმობა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს მ-ძეების კუთვნილი ქონება და ფულადი თანხა, სულ - 8626 ლარად და 30 თეთრად ღირებული მატერიალური ფასეულობა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2004 წლის 7 თებერვალს გაიჩხრიკა დ. ჭ-ძის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც ამოიღეს ე. მ-ძის სახლიდან ყაჩაღობის დროს გატაცებული „ტაიგერის» ფირმის ელექტროგენერატორი.

2005 წლის 15 აგვისტოს დ. ჭ-ძემ და დაუდგენელმა ორმა პირმა გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა და ყაჩაღური თავდასხმის გზით, ბინაში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ დიდი ოდენობით სხვისი ნივთი.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ იმავე დღეს, პისტოლეტებითა და ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნებით აღჭურვილებმა, თავდასხმის ობიექტად შეარჩიეს ქ. ქუთაისში, ... ქ. #21-ში მცხოვრებ მ. ც-ძის ოჯახი. დაახლოებით 3 საათზე დ. ჭ-ძემ და დაუდგენელმა ორმა პირმა ნიღბებით, სახლის პირველ სართულზე მდებარე ფანჯრის დამცავი გისოსების გადაჭრის გზით, უკანონოდ შეაღწიეს აღნიშნულ სახლში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით მ. ც-ძისაგან ყაჩაღურად გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი ნივთები, ფული და 8000 ლარად ღირებული „ფოლცვაგენ-ვენტოს» მოდელის ავტომანქანა და ამ მანქანის ტექნიკური პასპორტი, სულ - 13 767 ლარად ღირებული მატერიალური ფასეულობა, რის შემდეგაც დ. ჭ-ძემ თანამზრახველებთან ერთად ავტომანქანა გადაძალა დ. მ-იანის ავტოფარეხში.

განახორციელა რა ყაჩაღური თავდასხმა და მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება, დ. ჭ-ძე თანამზრახველ პირებთან ერთად გატაცებული „სონი-ჯ» მოდელის მობილური ტელეფონის საშუალებით

უკავშირდებოდა მ. ც-ძეს და ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მისი გატაცებული ავტომანქანის განადგურების მუქარით სძალავდნენ 2 000 აშშ დოლარს, რაზედაც ეს უკანასკნელი არ დასთანხმდა და იმავე დღეს განცხადებით მიმართა იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს.

2005 წლის 2 სექტემბერს გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გაიჩხრიკა ქ. ქუთაისში, ... ქ. #21-ში მდებარე დ. მ-იანის საცხოვრებელი სახლი, რის შედეგადაც ავტოფარებიდან ამოღებულ იქნა დ. ჭ-ძის მიერ ყაჩაღური გზით გატაცებული მ. ც-ძის კუთვნილი „ვოლკვაგენ-ვენტოს» მოდელის ავტომანქანა და ტყავის ქარქაშიანი დანა.

დ. ჭ-ძემ გამოძიებით დაუდგინებლად გარემოებებში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი - 7,62 მმ კალიბრიანი „ტტ-ს» პისტოლეტი და საბრძოლო მასალა - იმავე სისტემისა და კალიბრის 8 ცალი ვაზნა, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის მე-6 შესახვევი, #4-ში მცხოვრები დეიდაშვილის - ი. შ-ძის საცხოვრებელ სახლში.

2005 წლის 18 სექტემბერს ქ. ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების მუშაკებმა გაჩხრიკეს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, სადაც დააკავეს დ. ჭ-ძე, ხოლო ჩხრეკის შედეგად აღნიშნული სახლის შესასვლელ ოთახში მდებარე საწოლის ზეწრის ქვემოდან ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ჭ-ძეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და „გ» ქვეპუნქტებით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 18 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ჭ-ძემ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის მინიმუმის შეფარდება, ხოლო ბრალდების დანარჩენ ნაწილში - გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: დ. ჭ-ძეს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ჭ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება; სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის მასალები და აშკარად ტენდენციური და მიკერძოებული განაჩენი დაადგინა; განაჩენს საფუძვლად დაედო მსჯავრდებულის ბინაში აღმოჩენილი გენერატორი, რომელიც დ. ჭ-ძემ მეუღლესთან ერთად შეიძინა ბაზრობაზე თავის პასპორტთან ერთად; გენერატორის პასპორტი ასევე წარადგინა დაზარალებულმა ე. მ-ძემ; გენერატორს პასპორტი რომ არ ჰქონოდა, მსჯავრდებული დაეჭვდებოდა და აღარ იყიდდა; რაც შეეხება განაჩენს საფუძვლად დადებულ მეორე მტკიცებულებას, ეს იყო სიმბარათი, რომელიც დ. ჭ-ძის მეუღლემ შეიძინა ბავშვთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე პიროვნებისაგან, რომელიც „მაგთის» ოფისიდან ყიდულობდა და წყვილნომრიან ბარათებს 5 ლარით მეტ ფასში ყიდდა; ამ პირს თავად დაზარალებულმა ე. მ-ძემ მიაგნო; შეიძლება, ეს სიმბარათი, სანამ მსჯავრდებულის მეუღლე შეიძენდა, მანამდე დებულებით ე. მ-ძის ქალიშვილის მობილურ ტელეფონში; ყაჩაღობის ჩადენის მომენტში დ. ჭ-ძე დაჭრილი იყო ფეხში და ყვარჯნით დადიოდა; დაზარალებულმა კი არ დაადასტურა, რომ ყაჩაღებს შორის რომელიმე კოჭლობდა ან ყვარჯენი ეჭირა; დაზარალებულები მისი მეზობლები არიან და ნიღბითაც კი ადვილად ამოიცნობდნენ.

მსჯავრდებულის აზრით, მ. ც-ძის საცხოვრებელი სახლის დაყაჩაღება იყო დადგმული სპექტაკლი, რადგან დ. მ-იანი, ვის ავტოფარებშიც აღმოაჩინეს ავტომანქანა, თავად არის ყაჩაღი; მსჯავრდებულს მასთან არანაირი მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონია; ამ მოწმემ სასამართლოს იმდენი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მისცა, რომ ცხადი იყო, ის ცრუობდა; მისი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს დაზარალებულის კუთვნილი დანა; სასამართლომ ისიც კი არ დაიჯერა, რომ თავად დ. ჭ-ძემ არ იცის ავტომანქანის მართვა; დ. მ-იანს კი ისე დაუჯერეს, რომ დანაშაულის დაფარვისთვისაც კი არ მისცეს პასუხისგებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას დოკუმენტის გატაცების, ყაჩაღობისა და გამოძალავის ნაწილში, მით უფრო, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და ჰყავს მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და ინვალიდი დედა, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან. მსჯავრდებული აღიარებს იარაღის შენახვისა და ტარების ფაქტს და ითხოვს ამ ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა მ. ც-მემ განმარტა, რომ ყაჩაღურად თავს დაესხა სამი ნიღბიანი პირი, რომელთაგან ერთს ჰქონდა ავტომატი, ხოლო სხვებს - პისტოლეტები. სხვა ნივთებთან ერთად გასტაცეს 8 000 ლარად ღირებული ავტომანქანა. ბოროტმოქმედები პერიოდულად უკავშირდებოდნენ და ავტომანქანის სანაცვლოდ სთხოვდნენ 2 000 აშშ დოლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში - ემუქრებოდნენ მისი განადგურებით.

ბინიდან, სადაც დააკავეს დ. ჭ-მე, ამოღებულ იქნა «ტტ-ს» სისტემის პისტოლეტი და ვაზნები.

დადგენილია, რომ მ. ც-მის ავტომანქანა ამოიღეს დ. მ-იანის სახლიდან. ამ უკანასკნელმა სასამართლოს განუმარტა, რომ მანქანა მიუყვანა დ. ჭ-მემ და სთხოვა, რამდენიმე დღით ავტოფარეზში გაეჩრებინა. მანვე მიუთითა, რომ მოგვიანებით, დ. ჭ-მის გარდა, ავტომანქანით არავინ დაინტერესებულა.

დაზარალებულმა ე. მ-მემ განმარტა, რომ თავდასხმის შედეგად, სხვა ნივთებთან ერთად, გასტაცეს ელექტროგენერატორი და მობილური ტელეფონის აპარატი «სიმენს-ც55». მოგვიანებით მან ამოიღო გატაცებული გენერატორი, ხოლო ხსენებულ მობილურ ტელეფონში აღმოჩნდა დ. ჭ-მის სიმბარათი. მას დ. ჭ-მის სახელით ეუბნებოდნენ, რომ მისცემდნენ ფულს და ნივთებს, მაგრამ უარი თქვა.

საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით დასტურდება, რომ ე. მ-მემ ამოიღო დ. ჭ-მის სახლიდან ამოღებული ელექტროგენერატორი. ის გარემოება, რომ გატაცებულ მობილურ ტელეფონში აღმოჩნდა დ. ჭ-მის სიმბარათი, დასტურდება შპს «მაგთიკომიდან» ამოღებული ინფორმაციით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და ანალიზით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ დ. ჭ-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

ამასთან, მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებათა, ასევე - მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, დ. ჭ-მეს დანიშნული აქვს სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი. ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მძიმე, ხოლო ნაწილობრივ შეიკრიბა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთათვის სასჯელები, მსჯავრდებულისათვის საბოლოოდ დანიშნული სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განაჩენი შეიცვალოს: დ. ჭ-მის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, დ. ჭ-მეს გაუნახევრდეს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და დ. ჭ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#861-აპ

19 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის განაჩენზე ზ. კ-შვილის, ზ. კ-შვილის, დ. ვ-ძის, ი. ქ-ოვისა და გ. მ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 სექტემბრის განაჩენით:

1. ზ. კ-შვილი გამართლდა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა;

2. ზ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა;

3. დ. ვ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა;

4. ი. ქ-ოვი გამართლდა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამავე კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის, ასევე - ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა;

5. გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 3 ივნისს, დაახლოებით 2 საათზე, ქ. გორში, „ჭალის დასახლებაში“, ზ. კ-შვილმა დაუდგენელი საგნის თავში ჩარტყმით ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა ქ. გორში, ... ქ. #181\20-ში მცხოვრებ ა. გ-შვილს, რომელიც მიღებული ტრავმების შედეგად 2004 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა ქ. გორის საავადმყოფოში.

დ. ვ-ძე 1994 წლის 8 დეკემბერს გაასამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმ დროს მოქმედი სსკ-ის 91-ე, 152-ე და 243-ე მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. ქ-ოვი 2003 წლის 11 ივნისს გაასამართლა გორის რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» და «დ» ქვეპუნქტებით მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, ამავე გამოსაცდელი ვადით.

2004 წლის 4 ნოემბერს ზ. კ-შვილმა, ი. ქ-ოვმა და დ. ვ-ძემ დაუდგენელ პირებთან ერთად მოილაპარაკეს და განიზრახეს, ჯგუფურად მოეხდინათ ყაჩაღური თავდასხმა თელავის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ პ. ზ-შვილის საცხოვრებელ ბინაზე, მისი კუთვნილი ქონების დაუფლებისა და ამ გზით ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი, დაახლოებით 20 საათზე, დაუდგენელი ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულები, ნაქსოვი ქუდებისაგან დამზადებული ნიღბებით, მივიდნენ პ. ზ-შვილის ბინასთან. ნახევარი საათის თვალთვ-ს შემდეგ მათ შეაღწიეს ბინაში, კერძოდ, იმ ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ: პ. ზ-შვილი, მისი მეუღლე - ვ. ნ-ძე და მათი სტუმარი - ა. მ-ძე. შესვლისთანავე თავდამსხმელებმა როგორც სიტყვიერად, ისე - ცეცხლსასროლი იარაღების დემონსტრირებით გამოხატეს დაზარალებულების მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, თუკი ისინი არ დაემორჩილებოდნენ ბოროტმოქმედთა მოთხოვნებს. მათ ხელ-ფეხი შეუკრეს პ. ზ-შვილსა და ა. მ-ძეს, ხოლო ვ. ნ-ძეს მოსთხოვეს ფულისა და ძვირფასი ნივთების მათთვის გადაცემა, თან დაზარალებულებს ემუქრებოდნენ

დახოცვით. პ. ზ-შვილმა თავდამსხმელებს გადასცა 400 აშშ დოლარი და 500 ლარი, რაც მას იმ მომენტისათვის თან ჰქონდა. თავდამსხმელები კვლავ ითხოვდნენ თანხას და დაუწყეს პ. ზ-შვილს ცემა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ მას მეტი ფული არ ჰქონდა, მოძებნეს ნივთები და გაიტაცეს. ამ ქმედებით დაზარალებულებს მიადგათ 400 აშშ დოლარისა და 4932 ლარის მატერიალური ზიანი.

2005 წლის 31 იანვარს ზ. პ-შვილმა გ. მ-შვილსა და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული და თავს დაესხა გურჯაანის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ შ. დ-შვილის საცხოვრებელ ბინას. დაახლოებით 19.³⁰ საათზე, ზ. პ-შვილი კუთვნილი «ვაზ-2109» მარკის ავტომანქანით თანამზრახველებთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები, მივიდა სახლთან, თვითონ დარჩა მანქანაში და გაჩერდა დაზარალებულის ბინის მახლობლად, რათა ყაჩაღური თავდასხმის მოწინააღმდეგეები დროულად წაეყვანა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო გ. მ-შვილი და სხვა პირები მივიდნენ ეზოსთან, დაინახეს შ. დ-შვილის მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც მიადეს ცეცხლსასროლი იარაღი და მისი თანხლებით შევიდნენ საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე, სადაც იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. ბოროტმოქმედებმა დაზარალებულების მიმართ გამოხატეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა და ასეთის გამოყენების მუქარა, იმუქრებოდნენ მათი დახოცვით და ითხოვდნენ ფულსა და ძვირფასეულობას. მათ შ. დ-შვილის ოჯახიდან გაიტაცეს 400 აშშ დოლარი და სხვადასხვა დასახელების ნივთები. თავდამსხმელებს ბინიდან გასვლის შემდეგ, შეთანხმებისამებრ, ქუჩაში ავტომანქანით დახვდა ზ. პ-შვილი და ისინი ერთად მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. ამ თავდასხმით შ. დ-შვილს სულ მიადგა 2247 ლარის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. კ-შვილს განესაზღვრა 4 წლით, ზ. პ-შვილს - 9 წლით, დ. ვ-ძესა და გ. მ-შვილს - 6-6 წლით, ხოლო ი. ქ-ოვს - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; გაუქმდა 2003 წლის 11 ივნისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი, ძირითად სასჯელს მოუხდელი სასჯელიდან დაემატა 1 წელი და ი. ქ-ოვს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. კ-შვილს სასჯელის ათვლა დაეწყო 2005 წლის 30 აგვისტოდან, ზ. პ-შვილს - 2005 წლის 1 თებერვლიდან, დ. ვ-ძეს - 2005 წლის 12 თებერვლიდან, ი. ქ-ოვს - 2005 წლის 18 თებერვლიდან, ხოლო გ. მ-შვილს - 2005 წლის 6 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ი. ქ-ოვმა, აგრეთვე - გ. მ-შვილის, დ. ვ-ძისა და ზ. კ-შვილის ადვოკატებმა - ზ. რ-შვილმა და თ. ყ-შვილმა.

მსჯავრდებულმა ი. ქ-ოვმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა გამართლება, ადვოკატებმა - ზ. რ-შვილმა და თ. ყ-შვილმა კი განაჩენის გაუქმება, მსჯავრდებულების - დ. ვ-ძის, გ. მ-შვილისა და ზ. კ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულების - ზ. პ-შვილის, დ. ვ-ძის, ი. ქ-ოვისა და გ. მ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტზე; დ. ვ-ძეს სასჯელის ათვლა დაეწყო 2005 წლის 22 თებერვლიდან; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლ.დ.

კასატორი - მსჯავრდებულ ზ. კ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ყ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, იგი უნდა გაუქმდეს და ზ. კ-შვილის მიმართ საქმე შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმეები - ლ. უ-შვილი და მ. გ-შვილი თავდაპირველ ჩვენებებში უთითებდნენ, რომ ა. გ-შვილი ისე გარდაიცვალა, არავისი ვინაობა არ დაუსახელებია; შემდგომ ჩვენებებში მათ ახსენეს რამდენიმე გვარი, რომლებიც, თითქოსდა, აწ გარდაცვლილმა დაასახელა, კერძოდ: დ. ლ-ური, ი. თ-ძე, ი. ქ-ოვი, ვინმე გ. და ზ. კ-შვილი; წინასწარი გამოძიების პროცესშივე გაირკვა, რომ დ. ლ-ური და ი. თ-ძე შემთხვევის დროს სხვაგან იმყოფებოდნენ, ხოლო ი. ქ-ოვი თელავის რაიონულმა სასამართლომ ამ ბრალდებაში გაამართლა; ე.ი. ა. გ-შვილი ვერ დასახელებდა ამ პირებს; მაშასადამე, ზ. კ-შვილიც ვერ იქნებოდა დასახელებული; თუ ა. გ-შვილმა მართლაც დაასახელა ზემოაღნიშნული პირები, მისი დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე, ამ აზრის გაზიარება შეუძლებელია, რადგან გამორიცხულია იმ სამი პირის მონაწილეობა, რაც თავისთავად გამორიცხავს ზ. კ-შვილის მონაწილეობასაც; დამაჯერებლობასა მოკლებული მოწმე მ. გ-შვილის ჩვენება, რომ თითქოს მან შემთხვევის ადგილზე დაინახა ზ. კ-შვილი, რადგან სააპელაციო პალატის სხდომაზე სასამართლომ გამოიკვლია ახალი მტკიცებულება - დაიკითხნენ მოწმეები - ც. მ-შვილი და თ. ვ-შვილი, რომლებიც მ. გ-შვილთან ერთად ეძებდნენ მის შვილს და განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე არავინ ყოფილა; სააპელაციო პალატა „წინააღმდეგობაში ვარდება«, როდესაც მიაჩნია, რომ მ. გ-შვილის ჩვენების ერთი ნაწილი, სანდოობის თვალსაზრისით, ეჭვს იწვევს, ხოლო მეორე ნაწილი კი (შვილის მიერ სხვა პირებთან ერთად ზ. კ-შვილის დასახელება) - სარწმუნოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. ყ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ ზ. კ-შვილს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. უ-შვილი და მოწმე მ. გ-შვილი თავიანთ ჩვენებებში დამაჯერებლად მიუთითებენ, რომ გარდაცვალებამდე ა. გ-შვილმა დაასახელა მის ცემაში მონაწილე ერთ-ერთი პირის - ზ. კ-შვილის ვინაობა.

პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებულ პირთა ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება, რომ ზ. კ-შვილი ჩაიდინა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

ის გარემოება, რომ მ. გ-შვილი თავიდანვე მიუთითებდა ზ. კ-შვილზე, როგორც მისი შვილის ცემაში მონაწილე პირზე, დასტურდება მოწმე ნ. ქ-შვილის სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებითაც. ნ. ქ-შვილი დაჰპირდა კიდევ მ. გ-შვილს, რომ დასახელებულ პირებს ნახავდა. იგი შეხვდა ზ. კ-შვილს და უთხრა, რომ დაზარალებულს მატერიალური დახმარება ესაჭიროებოდა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზ. კ-შვილი ფაქტობრივად დააკავეს 2005 წლის 29 აგვისტოს, რის შესახებ ნათლადაა მითითებული დაკავების ოქმში და მას ამ დღიდან უნდა დაეწყო სასჯელის მოხდა.

პალატა აღნიშნავს, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შეამოწმა რა საქმე სრული მოცულობით, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია ზ. კ-შვილის, დ. ვ-ძის, ი. ქ-ოვისა და გ. მ-შვილის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის განაჩენი შეიცვალოს: ზ. კ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 29 აგვისტოდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყ ა ჩ ა ლ ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

#2130-აპ 22 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. რ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 აგვისტოს განაჩენით მ. რ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით, ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი.

თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე, სხვისი ნივთის განადგურება ცეცხლის წაკიდებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. რ-მე 1994 წლის 12 მაისს გასამართლა გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის (1961 წლის რედაქცია) 238-ე მუხლის IV ნაწილით, 243-ე მუხლის III ნაწილითა და 203-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, სასჯელთა ერთობლიობით, მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. რ-მემ სასჯელი მოიხადა 2000 წლის 4 ივნისს. მიუხედავად იმისა, რომ მას ჩადენილი ჰქონდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაინც არ დაადგა გამოსწორების გზას და განიზრახა, არაერთგზის კვლავ ჩაედინა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ:

მ. რ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა დაუდგენელ ოთხ პირს და მათ ჯგუფურად განიზრახეს, სოფ. ... მცხოვრებ ლ. ს-შვილის ოჯახზე განეხორციელებინათ ყაჩაღური თავდასხმა, დიდი ოდენობით ქონების დაუფლების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. რ-მე და მისი თანამზრახველები 2005 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 21 საათზე, მივიდნენ გურჯაანის რაიონის სოფ. ..., სახეზე აფარებული ნიღბებით უკანონოდ შეაღწიეს ლ. ს-შვილის სახლში, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ: ლ. ს-შვილი, დედამისი - ლ. ს-შვილი, შვილი - მ. შ-შვილი და სიმე - კ. ბ-შვილი, რომელიც აღნიშნულ ოჯახში სტუმრად იყო მისული „ბმვ-525» მარკის ავტომობილით. მ. რ-მემ და მისმა თანამზრახველებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ლ. ს-შვილს მოსთხოვეს, მათთვის გადაეცა ფული - 40 ათასი ლარის ოდენობით და ძვირფასეულობა. მას შემდეგ, რაც მან უარი განუცხადა ბოროტმოქმედებს თანხის გადაცემაზე, რადგან არ ჰქონდა, თავდამსხმელებმა სცემეს და მიაყენეს ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, სისხლჩაქცევა ორივე თვალბუდეში, სახის მიდამოს დაჟეჟილობა და სისხლჩაქცევა თხემ-კეფის არეში. ეს დაზიანებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა. ბოროტმოქმედებმა ასევე სცემეს კ. ბ-შვილსა და ლ. ს-შვილს. მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს მათ მიერ მოთხოვნილი თანხის მიღება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლნენ: მ. შ-შვილის კუთვნილ, 140 დოლარად და 250 ლარად ღირებულ ორ ოქროს ბეჭედს, ლ. ს-შვილის კუთვნილ, 500 ლარად ღირებულ ბრილიანტისთვლიან ბეჭედს, 300 ლარად ღირებულ ქალის სუნამო „ჯადორს», „სიმენსის» მოდელის, 20 ლარად ღირებულ მობილურ ტელეფონს და ოთხ ლარს, კ. ბ-შვილის კუთვნილ, 20 ლარად ღირებულ, „ერიქსონის» მოდელის მობილურ ტელეფონს და ფულს - ოთხი ლარის ოდენობით. ლ. ს-შვილს, კ. ბ-შვილსა და ლ. ს-შვილს შეუკრეს ხელ-ფეხი, ხოლო მ. შ-შვილი ჩაკეტეს სამზარეულო ოთახში. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს საცხოვრებელი სახლის ეზოში გაჩერებული, კ. ბ-შვილის 5 ათას აშშ დოლარად ღირებული „ბმვ-525» მარკის ავტომანქანა და მიიმალნენ. კ. ბ-შვილის კუთვნილი ავტომობილი იმავე დღეს მ. რ-მემ და მისმა თანამზრახველებმა, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, დაწვეს სოფ. ... მიმდებარე ტერიტორიაზე, რითიც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს დაზარალებულს.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. რ-მეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მ. რ-მეს საბოლოოდ განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 22 ნოემბრიდან. მასვე დაეკისრა ლ. ს-შვილის სასარგებლოდ - 802 ლარის, ხოლო მ. შ-შვილის სასარგებლოდ - 250 ლარისა და 140 აშშ დოლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. რ-მემ. მან ითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მ. რ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული მ. რ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, ეყრდნობა გამოძიების მიერ შექმნილ ვერსიებსა და ვარაუდებს, რომლებიც სასამართლომ გაიზიარა, როგორც მტკიცებულება; დაზარალებულებისა და მოწმეების - შ. ბ-შვილის, ი. ბ-შვილის, გ. ზ-შვილის, დ. მ-შვილისა და ი. ჭ-შვილის ჩვენებები არ გამოდგება მტკიცებულებად, რადგან მოწმეები არ არიან დანაშაულის თვითმხილველნი, ხოლო დაზარალებულები უჩვენებენ, რომ თავდამსხმელები იყვნენ ნიღბებით, ჰქონდათ იმერული კილო და მათი ამოცნობა არ შეუძლიათ; რაც შეეხება ცოლ-ქმრის - ე. რ-მისა და კ. ზ-შვილის ჩვენებებს, რომელთა მიხედვითაც მ. რ-მე მიცემულია პასუხისგებაში, ისინი მიცემული აქვთ კ. ზ-შვილის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, რადგან ის თვითონ იყო დაკავებული ლ. ს-შვილის ოჯახზე თავდასხმისათვის და მას აღმოაჩნდა დაზარალებულის კუთვნილი ტელეფონი; არც ერთი დამნაშავე უცხო ქალის თანდასწრებით არ მოყვება დანაშაულის ჩადენის დეტალებს და არც გატაცებულ ნივთებს დაარიგებს საჯაროდ; აღსანიშნავია, რომ ე. რ-მისა და კ. ზ-შვილის ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება,

მაგრამ განაჩენში ეს, რატომღაც, შეფასებული არ არის; კ. ზ-შვილის დაკითხვა სასამართლოში ვერ მოხერხდა, რადგან ის წასული იყო საზღვარგარეთ, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი პოლიციის მიერ გამოყენებული იყო ადრე ნასამართლევი მ. რ-ძის დასაჭერად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული მ. რ-ძე ითხოვს სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალების ობიექტურად განხილვას, განაჩენის გაუქმებას, გამართლებასა და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულების - ლ. ს-შვილის, მ. შ-შვილისა და კ. ბ-შვილის, მოწმეების - გ. ზ-შვილის, კ. ზ-შვილისა და ე. რ-ძის ჩვენებებით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ მ. რ-ძემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, საქმეში არსებული მასალები სააპელაციო პალატამ სათანადოდ გამოიკვლია და სწორად შეაფასა, წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით მ. რ-ძეს დანიშნული აქვს სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება, რომელიც უნდა შეიცვალოს მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. რ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. რ-ძეს გაუნახევრდეს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და მ. რ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1605-აპ

25 მარტი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ბ. კ-შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა და ტარება;

მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებისათვის;

მანვე ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ბ. კ-შვილი 1996 წლის 19 მარტს გაასამართლა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სსკ-ის 25¹ მუხლის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეეცვალა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით და მიმაგრებულ იქნა ხონის #3 კომენდატურაზე.

ბ. კ-შვილი 1998 წლის 21 აპრილს გაასამართლა თელავის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 150-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 212-ე მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 2 თვის ვადით, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით.

მიუხედავად ამისა, ბ. კ-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

ბ. კ-შვილმა 2006 წლის 14 ივნისს განიზრახა ყაჩაღურად დასხმოდა თავს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში მცხოვრებ ა. მ-შვილის ოჯახს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა მათი მოძრავი ნივთები. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 14 ივნისს ბ. კ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირებს და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულნი დაახლოებით 1 საათზე, თანამზრახველებთან ერთად მივიდნენ ა. მ-შვილის საცხოვრებელ ბინასთან, ფეხის დარტყმით შეამტვრიეს შესასვლელი კარი და უკანონოდ შეაღწიეს ბინაში, სადაც ამ დროს ეძინა ა. მ-შვილის მეუღლეს ე. მ-შვილს. აღნიშნული შემდეგ ბ. კ-შვილმა და მასთან ერთად მყოფმა გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოსთხოვეს ე. მ-შვილს გადაეცა მათთვის ფული და ძვირფასეულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მოკვლით. დაზარალებულმა ე. მ-შვილმა თავდამსხმელებს გადასცა 230 ლარი და 180 ლარად ღირებული ოქროს საყურეები.

აღნიშნული ქმედებით ბ. კ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად დაზარალებულ ა. მ-შვილსა და ე. მ-შვილს მიაყენა ქონებრივი ზიანი 410 ლარის ოდენობით.

ბ. კ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა 5,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, რომელსაც იგი ასევე უკანონოდ ინახავდა თავისი საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში არსებულ წიგნების კარადაში, რომელიც შს სამინისტროს გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა ამოიღეს 2006 წლის 21 ივნისს მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრევის შედეგად.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განაჩენით ბ. კ-შვილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. კ-შვილმა. აპელანტმა მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდებოდა მისი უდანაშაულობა და უსაფუძვლოდ დასდო მას მსჯავრი მოცემული დანაშაულის ჩადენაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენით გურჯაანის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. კ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. კ-ავამ, რომელმაც მოითხოვა ბ. კ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, ჩხრევის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, ბ. კ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი მსჯავრდებულ ბ. კ-შვილის სასიკეთოდ, კერძოდ:

როგორც საქმის მასალებით დგინდება, ბ. კ-შვილი პირველად გასამართლებულ იქნა 1996 წელს, იმ დროს მოქმედი სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. კ-შვილს პირველი ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, ხოლო გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისას. ამდენად, პალატა თვლის, რომ ბ. კ-შვილს არასწორად აქვს მსჯავრი შერაცხული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და აღნიშნულ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ცვლილება უნდა შევიდეს ბ. კ-შვილის მიმართ დანიშნულ სასჯელშიც, კერძოდ: მას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილს «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად უნდა დაემატოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ბ. კ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ« ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ ბ. კ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით.

ბ. კ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილს «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით სასჯელის ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად

განჩინება

#481-აპ-08

26 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ე. გ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენზე მსჯავრდებულ რ. ფ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ფ-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტების, იმავე კოდექსის მე-18 მუხლისა და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის, აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: ქურდობის ნაწილში - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ყაჩაღობის ნაწილში - თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნის, შენახვისა და ტარების ნაწილში - თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მას მთლიანად სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 28 წლისა და 10 ვადით. მასვე იმავე განაჩენით დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულია ასევე ა. ხ-მე ანალოგიური ბრალდებით, რომელსაც შეეფარებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, აგრეთვე, დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 14500 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, რ. ფ-მეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; სადგომში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ყაჩაღობის ჩადენის მომზადებისათვის; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნის, შენახვისა და ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ფ-მემ, რომელიც იყო ნასამართლობის მქონე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, თავის მეგობარ ა. ხ-მესთან ერთად, რომელიც ასევე იყო ნასამართლობის მქონე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, 2006 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე, ჩაიდინა ქურდობა. მათ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მორგებული გასაღების, ე.წ. «ატმიჩკის» გამოყენებით გააღეს დაბა ხელვაჩაურში, ... ქ. #40, ბინა #43-ში მცხოვრებ გ. თ-მის ბინის შესასვლელი კარი, უკანონოდ შეაღწიეს ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ შესასვლელ ოთახში შენახულ ერთ ელექტროდუმელს, ღირებულს 100 ლარად, ორ წყვილ სპორტულ ფეხსაცმელს, თითოს - ღირებულს 50 ლარად, მისაღებ ოთახში შენახულ «გოლდსტარის» ფირმის ფერად ტელევიზორს თავისი დისტანციური მართვის პულტით, ღირებულს 1450 ლარად, გერმანული წარმოების «დვდ» ფლეიერს, ღირებულს 150 აშშ დოლარად და ფულს - 200 აშშ დოლარს, ასევე, საძინებელ ოთახში შენახულ ქალის ტყავის ქურთუკს, ღირებულს 240 ლარად, პარფიუმერიის კომპლექტს, ღირებულს 180 ლარად. ისინი სულ დაეუფლნენ 2890 ლარად ღირებულ ქონებას, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი. ქურდობის გზით მითვისებული ნივთები მსჯავრდებულებმა გამოიტანეს გ. თ-მის ბინიდან და მათი ნაწილი - ორი წყვილი სპორტული ფეხსაცმელი, ფერადი ტელევიზორი - «გოლდსტარი» და «დვდ» ფლეიერი შეინახეს თავის საცხოვრებელ სახლში, დაბა ხელვაჩაურში, ხოლო დანარჩენი ნივთები, ჩალაგებული დიდი ზომის ხელჩანთაში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეინახეს ხელვაჩაურში, ტროლეიბუსების ფარების სიახლოვეს მდებარე, მიტოვებულ მშენებარე ნაგებობაში. «გოლდსტარის» ფირმის ტელევიზორი რ. ფ-მემ მეორე დღეს 130 ლარად მიჰყიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ რ. ტ-მეს, რომლისგანაც იგი ამოღებულ იქნა 2007 წლის 20 იანვარს განხორციელებული, გადაუდებელ შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

რ. ფ-მემ 2007 წლის 19 იანვარს, პირთა ჯგუფთან ერთად ყაჩაღური თავდასხმისათვის მომზადებისას, თავისივე თანამზრახველ ა. ხ-მისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა გასროლისათვის ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი - 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტი - «ბერეტა» 312177 და გამოყენებისათვის ვარგისი საბრძოლო მასალა, ამავე პისტოლეტისათვის განკუთვნილი, უცხოური წარმოების, ქარხნული წესით დამზადებული 9 მმ კალიბრიანი ერთი ვაზნა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. ისინი 2007 წლის 20 იანვარს, მისივე მითითებით, ამოღებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. სარფში, ცენტრიდან 700 მეტრის მოშორებით, სოფლის სამანქანე გზის მიმდებარე ტერიტორიიდან. ამასთან ერთად, რ. ფ-მემ არაერთგზის ჩაიდინა ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა, კერძოდ, 2004 წლის აპრილ-მაისში მან წინასწარი გამოძიებით დაუდგენელ ადგილას და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ასაფეთქებელი მოწყობილობა - ქარხნული წესით დამზადებული, «ფ-1» ტიპის დამცავი მოწყობილობა, ქარხნული წესით დამზადებული, «ფ-1» ტიპის დამცავი მოქმედების ხელყუმბარა, ვარგისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში, მისაღებ ოთახში არსებულ ტახტში, რაც 2007 წლის 20 იანვარს ამოღებულ იქნა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

გარდა აღნიშნულისა, რ. ფ-მემ და ა. ხ-მემ, არაერთგზის, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ორგანიზებულ ჯგუფთან - გამოძიებით დაუდგენელ ვინმე მ.-სთან და ნ.-სთან ერთად დაიწყეს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... მცხოვრები მოქალაქის - ა. ქ-მის საცხოვრებელ სახლზე ყაჩაღური თავდასხმის მიზნით ამ სახლში შესაღწევად მომზადება -

დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა, რისთვისაც ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის - გამოძიებით დაუდგენელი ვინმე ნ.-ს დახმარებით, რომლისთვისაც ცნობილი იყო ა. ქ-ძის საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარის საკეტის ტიპი, მათ ქ. ბათუმის ერთ-ერთ ბაზრობაზე შეიძინეს და შეისწავლეს იდენტური ტიპის საკეტი. ამის შემდეგ რ. ფ-მემ რკინის სახაზავისაგან დაამზადა ამ ტიპის საკეტის გაღებისათვის ვარგისი ე.წ. «ატმიჩკა». ერთდროულად, ორგანიზებული ჯგუფის წევრმა და ორგანიზატორმა ა. ხ-მემ 2007 წლის 17 იანვარს რ. ფ-ძის საცხოვრებელ სახლში, ჯგუფის შეიარაღების მიზნით, მიიტანა ორი იარაღი, საიდანაც «ბერეტას» სისტემის პისტოლეტი ერთი ვაზნით დაიტოვა თვითონ, ხოლო გერმანული წარმოების გაზის პისტოლეტი სამი ვაზნით გადასცა ორგანიზებული ჯგუფის წევრ მირზას. მათვე 2007 წლის 17 და 18 იანვარს, დამის საათებში, დაზვერეს და შეისწავლეს ა. ქ-ძის საცხოვრებელი სახლი, ეზო და მიმდებარე ტერიტორია, რის შემდეგაც 2007 წლის 19 იანვარს, ორგანიზებული ჯგუფის ლიდერმა ა. ხ-მემ რ. ფ-ძის ბინაში, გააცნო მათ ა. ქ-ძის სახლზე ყაჩაღური თავდასხმის საბოლოო გეგმა, რომლის თანახმად, მან ყაჩაღობის ჩადენის დროს ჯგუფის წევრებს აუკრძალა მობილური ტელეფონით სარგებლობა და თითოეულ წევრს გაუნაწილა როლები, კერძოდ: რ. ფ-ძეს დაევალა ე.წ. «ატმიჩკის» გამოყენებით ა. ქ-ძის საცხოვრებელი სახლის კარის გახსნა, რის შემდეგაც, გეგმის თანახმად, იარაღმომარჯვებული ა. ხ-მე და მირზა შეაღწევდნენ სახლში და მოახდენდნენ ყაჩაღურ თავდასხმას. ჯგუფის მეოთხე წევრს - ნ.-ს კი დაევალა ტაქსის გამოძახება, რისთვისაც მოილაპარაკეს, რომ მას დატოვებდნენ სამანქანე გზაზე, 40-50 მეტრის მოშორებით, საიდანაც კარგად ჩანდა ა. ქ-ძის საცხოვრებელი სახლი. საგანგებო მინიშნების - შუქის რამდენჯერმე ჩაქრობა-ნათების შემდეგ, რასაც იგი ფანჯარაში დაინახავდა, მობილური ტელეფონით გამოიძახებდა ტაქსის და დაელოდებოდა მათ იქ მისვლას, სახლს კი ისინი დატოვებდნენ მაშინ, როცა შენიშნავდნენ ნ.-სთან გაჩერებული ტაქსის მამუქებს. ამის შემდეგ ორგანიზებული ჯგუფის წევრები მივიდნენ სოფ. . . ., სადაც ფეხით ავიდნენ ა. ქ-ძის საცხოვრებელ სახლთან და შეუდგნენ წინასწარ დასახული გეგმის განხორციელებას, მაგრამ, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანეს, რადგან სახლში მყოფებმა გაიგეს ხმაური, მიანათეს მათ ფანარი და შესძახეს, თუ ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ, რის გამოც თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ რ. ფ-ძის დამცველმა, ადვოკატმა მ. დ-მემ, რომელიც თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში შესაბამისი ცვლილების შეტანით რ. ფ-ძისათვის სასჯელის შემსუბუქებას, რასაც ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო წარმოების დაწყების მომენტიდან იგი (რ. ფ-მე) გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; ითანამშრომლა გამოძიებასთან; დაასახელა დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირები, რითაც ხელი შეუწყო საქმეზე სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას; ამასთან, მას გართულებული ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. აპელანტის აზრით, რ. ფ-ძეს შეფარდებული აქვს უსამართლო სასჯელი, როგორც მეტისმეტად მკაცრი და ითხოვდა მის შემცირებას მატერიალური კანონის სანქციის მინიმუმამდე, აგრეთვე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო ღონისძიების გამოყენებით მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლას.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც აპელანტი მხარის დაზუსტებული მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიტანა შემდეგი ცვლილებები:

რ. ფ-ძეს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლისა და 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდებები და ამორიცხა ისინი განაჩენიდან შესაბამის სასჯელთან ერთად, ვინაიდან მიიჩნია, რომ რ. ფ-ძეს აღნიშნული ქმედებები არ ჩაუდენია. გასაჩივრებული განაჩენიდან ამორიცხა ასევე მითითება რ. ფ-ძის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით მსჯავრდების თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ბრალდება არის ზედმეტად შერაცხული.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენი გააუქმა იმ ნაწილში, რომლითაც რ. ფ-ძეს შეეფარდა დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით, ხოლო დაზარალებულ გ. თ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 ლარის გადახდა, ვინაიდან მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით.

ამავე დროს, სააპელაციო სასამართლომ განაჩენით რ. ფ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის მე-18 მუხლისა და 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და 236-ე მუხლის პირველი - მეორე ნაწილების საფუძველზე და მიესაჯა: სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; ამავე კოდექსის მე-18 მუხლისა და 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით; სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე, 42-ე მუხლების

გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და რ. ფ-ძეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ე. გ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. პროკურორი ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და რ. ფ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ახალი განხილვისათვის. კასატორი თავისი მოთხოვნის საფუძველად უთითებს შემდეგ მოტივებზე: სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არის დაუსაბუთებელი და არ ეფუძნება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობას; სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მოუხსნა რ. ფ-ძეს საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლისა და 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება მის მიერ ყაჩაღობის ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად ჩადენის თაობაზე, რადგან საქმეში არსებული მასალა უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას; სააპელაციო სასამართლომ რ. ფ-ძეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე არასწორად შეუფარდა ერთი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რადგან აღნიშნული ნაწილები ერთმანეთს არ მოიცავს, ისინი სხვადასხვა დანაშაულს ეხება და ამიტომ სასჯელებიც ცალ-ცალკე უნდა დანიშნულიყო თითოეული მათგანის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. ფ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატა, რომელიც იზიარებს კასატორის მოსაზრებებს, რომელთა საფუძველზე იგი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ რ. ფ-ძეს ყაჩაღობის მომზადება არ ჩაუდენია - როგორც ორგანიზებული ჯგუფის წევრს. სააპელაციო სასამართლოს ასეთი დასკვნა გამოაქვს იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ჯგუფს, რომლის წევრები იყვნენ რ. ფ-ძე და სხვა პირები, არ გააჩნია კანონით განსაზღვრული ორგანიზებული ჯგუფისათვის აუცილებელი დამახასიათებელი სტრუქტურული ფორმის სავალდებულო ნიშანი.

ორგანიზებული ჯგუფისათვის საჭირო ნიშანთა ერთობლიობა განსაზღვრულია საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნა მოკლებულია დასაბუთებულობასა და საფუძვლიანობას, არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად რომელი სტრუქტურული ნიშანი არ გააჩნდა რ. ფ-ძის დანაშაულებრივ ჯგუფს, მაშინ, როდესაც საქმის მასალებითა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილია: 1. რ. ფ-ძე და ა. ხ-ძე, როგორც მყარი ჯგუფი, მოქმედებდნენ დროის განსაზღვრულ პერიოდში, რაც იმით დასტურდება, რომ ყაჩაღობის მომზადებამდე მათ ერთად მოამზადეს და განახორციელეს ქურდობა დაზარალებულ გ. თ-ძის საცხოვრებელ ბინაში უკანონო შეღწევის გზით, რა დროსაც მათ, წინასწარი მოლაპარაკების შესაბამისად, განაწილებული ჰქონდათ თავიანთი ფუნქციები. მათვე ყაჩაღობის მომზადებამდე ერთად ჩაიდინეს სხვა დანაშაულიც, დაკავშირებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-გასაღებასთან; 2. ზემოაღნიშნულ ჯგუფს რომ სტრუქტურული ფორმა გააჩნდა, დასტურდება იმით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილია მრავალი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება, დაკავშირებული რ. ფ-ძისა და ჯგუფის სხვა წევრების საქმიანობასა და მოქმედებასთან, მათ შორის როლებისა და ფუნქციების განაწილებასთან, დანაშაულის განსახორციელებლად დეტალური გეგმის შედგენასა და დავალებების მიცემასთან, გეგმის რეალიზაციის მიზნით სპეციალური საშუალებების მომზადებასთან და ა.შ. (იხილეთ ამ განჩინების აღწერილობითი ნაწილი), რომლებიც მთლიანად შეესაბამება დანაშაულთა ორგანიზებული ჯგუფის სტრუქტურული სისტემის არსებობისათვის საჭირო კანონით განსაზღვრულ მოთხოვნას, ხოლო აღნიშნული ნიშნების არსებობა არ უარუყვია სააპელაციო სასამართლოს კონკრეტული დასაბუთების საფუძველზე.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ ყაჩაღობის მომზადების ნაწილში რ. ფ-ძის ქმედების დაკვალიფიცირებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, ე.ო. დაუშვა სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება (საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი და 561-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი).

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ რ. ფ-ძის მიმართ განაჩენის დადგენისას არასწორად დანიშნა სასჯელი, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე მსჯავრდებულს დაუნიშნა ერთი სასჯელი, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში სახეზე იყო დანაშაულთა რეალური ერთობლიობა (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული არ მოიცავს იმავე მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებულ დანაშაულს), ვინაიდან ისინი სხვადასხვა ქმედებას წარმოადგენდა, ხოლო, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას ისინი იკრიბება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულმა დარღვევებმა, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ რ. ფ-მის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას, გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი ვერ იქნება მიჩნეული კანონიერად.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენი რ. ფ-მის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას როგორც სასამართლო გამოძიება, ისე მისი შედეგების შეფასება უნდა მოხდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რა დროსაც ზუსტად უნდა იქნეს გამოყენებული მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები, მათი შინაარსის სწორი განმარტებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების მართებული კვალიფიკაციის მეშვეობით. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მსჯავრდებულ რ. ფ-მის მიმართ კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ე. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენი რ. ფ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1681-აპ

7 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მენიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ზ. დ-შვილის და ი. დ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - თ. მ-ის და გ. ჯ-მის, ამბროლაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. შ-მისა და დაზარალებულ ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის განაჩენით:

1. ი. დ-შვილი გამართლდა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით 12 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით - 8 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. დ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 2 ოქტომბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა დაკავების დრო - 7 დღე;

2. ზ. დ-შვილი გამართლდა სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით 8 წლით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით - 5 წლით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. დ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 18 წლით

თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მიესაჯა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. დ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 14 სექტემბრიდან; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და ორივე მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 10-10 ათასი ლარის გადახდა.

ი. და ზ. დ-შვილების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. დ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და თავის სახლში ინახავდა ავტომატის 15 ვაზნას მჭიდით. ზ. დ-შვილმა ასევე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა გლუვლულიანი სანადირო თოფი, გადაჭრა ლულები და დაამზადა ე.წ. «აბრეხი», რომელსაც ატარებდა.

ი. დ-შვილმა და ზ. დ-შვილმა განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ამბროლაურის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ა. ჭ-ძის ოჯახს. ამისათვის ისინი შეიარაღდნენ ზ. დ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაზარალებული გადაჭრილი თოფით და 2006 წლის 5 სექტემბერს, დაახლოებით 3 საათზე, სახეზე ნიღაბფარებული შეიჭრნენ ა. ჭ-ძის სახლში. მანამდე ისინი დაუკავშირდნენ სხვა პირს, რომელიც დაყენეს სახლის ეზოს ჭიშკართან, რათა საფრთხის შემთხვევაში ეცნობებინა. თავდამსხმელებმა ა. ჭ-ძეს გადაუგრიხეს ხელები და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოსთხოვეს ფული და ძვირფასი ნივთები. ხმაურზე გამოეღვიძათ ა. ჭ-ძის მეუღლეს - ნ. გ-შვილს და შვილებს - ე. და გ. ჭ-ძეებს, რომლებმაც დაიწყეს ყვირილი და საშველად მოუხმეს მეზობლებს. ზ. დ-შვილმა წებოვანი ლენტით აუკრა პირი ე. ჭ-ძეს, ხოლო ნ. გ-შვილს ხელი გაართვა სახეში. ბოროტმოქმედები მიხვდნენ, რომ ა. ჭ-ძემ ისინი იცნო. ამ უკანასკნელს ი. დ-შვილმა ბლაგვი საგანი ჩაართვა თავში და მიაყენა მძიმე დაზიანება. ბოროტმოქმედები მიიმალნენ, ხოლო ა. ჭ-ძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გარდა აღნიშნულისა, ზ. დ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 5,3 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა», რომელსაც ინახავდა და ატარებდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულთა ადვოკატებმა და პროკურორმა ზ. შ-ძემ.

ადვოკატებმა მოითხოვეს ზ. დ-შვილისა და ი. დ-შვილის გამართლება, ხოლო პროკურორმა - მსჯავრდებულთა დამნაშავედ ცნობა მათთვის წარდგენილ ბრალდებებში და, შესაბამისად, ზ. დ-შვილისათვის 34 წლით, ხოლო ი. დ-შვილისათვის 27 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენით საჩივრებით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ზ. დ-შვილის ადვოკატი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან ორივე ინსტანციის სასამართლომ ჯეროვნად და სამართლებრივად ვერ შეაფასა სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები, კერძოდ: სასამართლომ არ შეაფასა მოწმეების: ზ. დ-შვილის, გ. დ-შვილის და მ. ფ-ძის ჩვენებები, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ზ. დ-შვილი მათთან ერთად იყო და იგი ვერ იქნებოდა შემთხვევის ადგილზე; სასამართლო გამოძიება ცალმხრივი და არაობიექტურია, რადგან სასამართლომ არ დაკითხა მნიშვნელოვანი მოწმეები; სააპელაციო პალატამ უკანონოდ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა დაქტილობარათების და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ; დაუშვებელია არასრულწლოვანი დაზარალებულის - გ. ჭ-ძის ჩვენების გაზიარება; სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ზ. დ-შვილის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება, როდესაც მან განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიებისას აღიარებითი ჩვენებები განაპირობა სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებულმა ფსიქიკურმა და ფიზიკურმა ზეწოლამ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმის გამოყენება არ იყო სამართლებრივად გამართლებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ზ. დ-შვილის გამართლებას.

მსჯავრდებულ ი. დ-შვილის ადვოკატი გ. ჯ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სისხლის სამართლის საქმე აგებულია დაზარალებულთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე, რომლებსაც არ უნდა დაყრდნობოდა სასამართლო; საქმის წინასწარი გამოძიებისას არასრულწლოვანი დაზარალებული ე. ჭ-ძე არ დაკითხა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით; გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად უდევს სასამართლო-მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც მსჯავრდებულის სასარგებლოდ მეტყველებს; საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ი. დ-შვილის მონაწილეობას დანაშაულში; არ დადგინდა დანაშაულის მოტივი, რადგან თავდამსხმელებს არ მოუთხოვიათ და წაუღიათ ფული და ძვირფასეულობა.

პროკურორი საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ორივე მსჯავრდებულის მათთვის წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნობის და სასჯელთა დამძიმების მოტივით საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულთა ერთობლივი ქმედება წარმოადგენდა დამდგარი შედეგის - ა. ჭ-ძის სიკვდილის აუცილებელ პირობას, რომლის გარეშეც ეს შედეგი არ დადგებოდა; როდესაც ი. დ-შვილი ბლაგვი საგნით მძიმე დაზიანებებს აყენებდა ა. ჭ-ძეს, ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებს ზ. დ-შვილმა არ მისცა დახმარების აღმოჩენის

შესაძლებლობა, რაც ნათლად მიუთითებს ორივე მსჯავრდებულისათვის წარდგენილი ბრალდების დასაბუთებულობაზე.

დაზარალებული ნ. გ-შვილი საკასაციო საჩვირით მოითხოვს გასაჩვირებული განაჩენის გაუქმებას და ორივე მსჯავრდებულის წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის დამძიმების მიზნით ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ ზ. დ-შვილისა და ი. დ-შვილის ერთობლივი ქმედება წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის აუცილებელ პირობას; ის გარემოება, რომ ზ. დ-შვილმა ნ. გ-შვილსა და მის შვილებს აღუკვეთა შესაძლებლობა, მიხმარებოდნენ ა. ჭ-ძეს, მიუთითებს მკვლელობის ერთიან განზრახვაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩვირების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩვირებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა ნ. გ-შვილმა ორივე ინსტანციის სასამართლოში დამაჯერებლად ამხილა ზ. დ-შვილი და ი. დ-შვილი. მან განმარტა, რომ თავდასხმისას ა. ჭ-ძე მისაღებ ოთახში, ტახტზე იწვა. მასთან ჩამუხლული იყო ი. დ-შვილი, რომელსაც გადაჭრილი თოფი ეჭირა. ზ. დ-შვილი იდგა ბუხართან. ე. ჭ-ძე ყვიროდა - მამა არ მომიკლათო და მას ზ. დ-შვილი წებოვან ლენტს აკრავდა. ა. ჭ-ძე სისხლით იყო მოსვრილი. ამ დროს ი. დ-შვილი წამოდგა და ყვიროდა - ჩქარა გავიქცეთ, გვიცხოვენო. ამავდროულად მან მაგიდიდან აიღო რაღაც საგანი, რომელიც ნ. გ-შვილი ჩაართვა თავში და სამზარეულოს მხრიდან გაიქცა. ზ. დ-შვილმაც თავი ანება ე. ჭ-ძეს და მიიმალა.

ანალოგიური ჩვენება მისცა ე. ჭ-ძემ. მან აღნიშნა, რომ როდესაც ოთახში შუქი აანთო, მამამისი ტახტზე იყო წამოქცეული და გასისხლიანებული თვალებით უყურებდა. მასთან იდგა ი. დ-შვილი. ე. ჭ-ძე ყვიროდა - მამა არ მომიკლათო და მას ზ. დ-შვილი წებოვან ლენტს აკრავდა, ეუბნებოდა - ნუ ყვირიხარო. ი. დ-შვილმა დაიმახა - ჩქარა გავიქცეთ, გვიცხოვენო. ი.-მ მაგიდიდან რაღაც საგანი აიღო და ნ. გ-შვილს ჩაართვა, შემდეგ გაიქცა და მას ზ.-ც მიჰყვა.

მოწმე მაყვალა რეზიაშვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ გ. ჭ-ძის მასწავლებელია და ესწრებოდა მის დაკითხვას. გ. ჭ-ძე გამჭრიახი და საღი გონების ბავშვია. დაკითხვისას მან აღნიშნა, რომ თავდამსხმელთაგან იცნო ი. დ-შვილი.

მოწმე მ. ჭ-ძის ჩვენებით ირკვევა, რომ პოლიციელებმა შემთხვევის ადგილზე მიიყვანეს ზ. დ-შვილი. ეს უკანასკნელი მიუთითებდა, სად იწვა ა. ჭ-ძე, რომელთანაც ი. დ-შვილი გაჩერდა, თვითონ კი სამზარეულოში გავიდა და ფულს ეძებდა. ზ. დ-შვილმა მიუთითა ტბაზე, სადაც ჩააგდო გადაჭრილი თოფი. მ. ჭ-ძის განცხადებით, საგამოძიებო მოქმედებას ესწრებოდა ადვოკატიც და ექვმიტანილზე რაიმე ზემოქმედება არ მომხდარა.

ანალოგიური ჩვენება მისცა მოწმე დ. ო-შვილმა.

2006 წლის 5 სექტემბრის ოქმისა და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ე.წ. «სკოჩზე» აღმოჩენილი ხელის თითის კვალი დატოვებულია ზ. დ-შვილის მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით.

უსაფუძვლოა ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩვირის მოტივი, რომ ზ. დ-შვილისაგან თითის კვალის ნიმუში აიღეს დამცველის მონაწილეობის გარეშე.

ნიმუშის აღების შესახებ დადგენილებას გაეცნო ზ. დ-შვილი და მისი ადვოკატი შ. ს-ძე, ეს უკანასკნელი ესწრებოდა ნიმუშის აღებას და თავის დაცვის ქვეშ მყოფთან ერთად ხელი მოაწერა ოქმს.

მომხდარი ფაქტის დღესვე პოლიციელებმა დამსწრეთა მონაწილეობით გაჩხრიკეს ი. დ-შვილის საცხოვრებელი სახლი, რა დროსაც ამ უკანასკნელის საძინებელი ოთახიდან ამოიღეს ლურჯი სპორტული შარვალი მოთეთრო კანტით და მოწითალო ლაქებით. ასევე ამოღებულ იქნა ავტომატის მჭიდში მოთავსებული 15 ვაზნა. საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელი მოაწერეს დამსწრეებმა. აღნიშნული ვაზნები ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და წარმოადგენს საბრძოლო მასალას. სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ა. ჭ-ძის სისხლი მიეკუთვნება AB II, ხოლო ი. დ-შვილის სისხლი - AB I ჯგუფს. ი. დ-შვილის შარვალზე აღმოჩნდა ადამიანის AB II ჯგუფის სისხლი.

დადგენილია, რომ ზ. დ-შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მწვანე მცენარეული მასა არის ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა», წონით 5.3 გრამი. ჩხრეკის ოქმს გაეცნო ზ. დ-შვილი და მას ხელი მოაწერა, შენიშვნა არავის გამოუთქვამს.

საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება უდავოდ ადასტურებს, რომ ი. დ-შვილმა ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე, განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა. ზ. დ-შვილმა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა და ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობა.

პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის საკასაციო საჩვირის მოტივებს და აღნიშნავს, რომ მათზე სათანადოდ იმსჯელა ორივე ინსტანციის სასამართლომ და სწორად შეაფასა საქმეში არსებული მასალები. დაზარალებულთა ჩვენებებით დადგენილია, რომ აწ გარდაცვლილ ა. ჭ-ძესთან შეხება

ჰქონდა მხოლოდ ი. დ-შვილს, რომელსაც გადაჭრილი თოფი ეკავა. მის შარვალზე აღმოჩნდა იმავე ჯგუფის სისხლი, რაც ჰქონდა ა. ჭ-ძეს.

სახელმწიფო ბრალმდებელი თავად აღნიშნავს, რომ ა. ჭ-ძეს დაზიანებები მიაყენა ი. დ-შვილმა, ხოლო ზ. დ-შვილის როლი იმაში გამოიხატა, რომ გააკავა ოჯახის სხვა წევრები და არ მისცა დახმარების შესაძლებლობა.

პროკურორის საჩივრის აღნიშნული მოტივი ეწინააღმდეგება დაზარალებულთა ჩვენებებს, საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ზ. დ-შვილი წებოვან ლენტს აკრავდა ე. ჭ-ძეს იმ მიზნით, რომ მას არ ეყვირა.

ამრიგად დადასტურებულია, რომ ა. ჭ-ძეს დაზიანებები მიაყენა მხოლოდ ი. დ-შვილმა. რაიმე მტკიცებულება, რაც მიანიშნებდა თავდამსხმელთა საერთო გაზრახვაზე მკვლელობასთან დაკავშირებით, საქმეში არ მოიპოვება.

ამავე მოტივებით და იმის გამოც, რომ დაზარალებულს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, პალატა ვერ დააკმაყოფილებს დაზარალებულ ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნა ამოღებული გადაჭრილი თოფი, რომელზეც მიუთითებენ დანაშაულის თვითმხილველები, შესაბამისად, არ გარკვეულა მისი ვარგისიანობის საკითხი და არც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალი იკვეთება. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი ზ. დ-შვილის სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან არ არსებობს არცერთი უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ზ. დ-შვილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დამზადებასა და ტარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს ზ. დ-შვილის სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, შეუმსუბუქდეს სასჯელი.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - ზ. დ-შვილის და ი. დ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - თ. მ-ის და გ. ჯ-მის, პროკურორ ზ. შ-მისა და დაზარალებულ ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენიდან ი. დ-შვილისა და ზ. დ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი;

გასაჩივრებული განაჩენიდან ზ. დ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ზ. დ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ზ. დ-შვილს საბოლოოდ მიესაჯოს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2195-აპ

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ს-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით:

გ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ჯ. ზ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით;

რ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შევიდა დაზუსტება, კერძოდ, მსჯავრდებულ ჯ. ზ-უას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 18 დეკემბრის 23 საათსა და 55 წუთიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების - გ. ს-ძის, ჯ. ზ-უასა და რ. კ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ზ-უა დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამომიებით დაუდგენელ სამ პირს და განიზრახა ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით 19.30 საათზე, გამომიებით დაუდგენელმა ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, გააჩერა „მერსედესის» მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოქალაქე ო. ხ-ელი და სთხოვა მას გლდანის მასივში, კერძოდ, გმირ კურსანტა ქუჩაზე მდებარე პოლიციის აკადემიასთან წაყვანა, რის შემდეგაც ჩაჯდა მანქანის სალონში, მძღოლის გვერდზე არსებულ სავარძელში. ქერჩის ქუჩაზე მდებარე პოლიციის აკადემიის ეზოში მან გააჩერებინა ო. ხ-ელს ა/მანქანა, აქ მათ დახვდა ჯ. ზ-უა კიდევ ორ ბოროტმოქმედთან ერთად, რომლებმაც წინასწარი შეთანხმებისამებრ, იარაღების დემონსტრირებით, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის - მოკვლის მუქარით ო. ხ-ელი ძალით გადაიყვანეს მანქანიდან. ჯ. ზ-უამ თანამზრახველებთან ერთად გააგრძელა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა და დაზარალებულ მოქალაქეს იქვე მდებარე შენობის ნანგრევების ერთ-ერთ ოთახში, სადაც მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, „სკოჩით» გაუკრეს ხელები, აუხვიეს თვალები და ქურთუკის ჯიბიდან ამოაცალეს ა/მანქანის ტექნიკური პასპორტი, მართვის მოწმობა, თანხა 70 ლარის ოდენობით და „ნოკიას» ფირმის მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც ჯ. ზ-უას თანამზრახველი სამი ბოროტმოქმედი ო. ხ-ელის კუთვნილი „მერსედესის» მარკის ა/მანქანით გაემგზავრა გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო იგი დარჩა ო. ხ-ელთან მის დასაშინებლად.

იმისათვის, რათა დაზარალებულს არ განეცხადებინა მომხდარი დანაშაულის შესახებ, მას ჯ. ზ-უამ თავის არეში რამდენჯერმე ჩაართვა თანაქონი იარაღის ტარი, პერიოდულად კი დამნაშავე პირები ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრებოდნენ. დაახლოებით 4 საათის შემდეგ, რაც ჯ. ზ-უასათვის ცნობილი გახდა, რომ გატაცებული ა/მანქანა «მერსედესის» მიყვანილი იყო დანიშნულების ადგილზე, ო. ხ-ელი ხელბეჭკრული დატოვა შენობის ნანგრევებში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2006 წლის 18 დეკემბერს ჯ. ზ-უამ კვლავ განიზრახა რა ჩაედინა დანაშაული, იგი დაუკავშირდა გ. ს-ძესა და რ. კ-შვილს მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ სხვისი მოძრავი ნივთი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის« მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ გააჩერეს ა/მანქანა „ფორდ-სიერას« მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა მ. გ-ძე და მოსთხოვეს გლდანის მასივში წაყვანა. შეთანხმდნენ რა თანხაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს გავლით გაემართნენ გლდანის მასივის მიმართულებით. პოლიციის აკადემიასთან ავტომანქანის მგზავრებმა მძღოლს მოსთხოვეს, შესულიყო აკადემიის შესახვევში. მიუახლოვდნენ რა გმირ კურსანტთა ქუჩაზე მდებარე პოლიციის აკადემიის შენობას, ჯ. ზ-უამ ამოიღო თავის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, ქარხნული წესით დამზადებული „გოლდ-სტარ-2002-ის« მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც იგი ასევე უკანონოდ ატარებდა, დაადო მ. გ-ძეს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოსთხოვა ფული. ავტომანქანის მძღოლს ფული მოსთხოვეს რ. კ-შვილმა და გ. ს-ძემაც, თან სამივე მათგანმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულის შემდეგ ა/მანქანის საჭესთან დაჯდა ჯ. ზ-უა და შევიდნენ აკადემიის ეზოში, სადაც ამ უკანასკნელმა ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა ხეს, რითაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ა/მანქანა. აღნიშნული ქმედებით ჯ. ზ-უამ დაზარალებულ მ. გ-ძეს მიაყენა 760 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ისინი გადმოვიდნენ დაზიანებული ა/მანქანიდან, მ. გ-ძე დააწვინეს მიწაზე და კვლავ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც რ. კ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ მისი საკუთრა ამ უკანასკნელის კუთვნილი ფულადი თანხა - 35 ლარის ოდენობით, ხოლო ჯ. ზ-უამ - „სამსუნგის« ფირმის მობილური ტელეფონი. მ. გ-ძის მიმართ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა თავდამსხმელების მხრიდან გრძელდებოდა დაახლოებით 3-5 წუთის განმავლობაში, რაც აღკვეთილ იქნა შემთხვევის ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ, რ. კ-შვილი დაკავებულ იქნა ადგილზევე, ხოლო ჯ. ზ-უა და გ. ს-ძე ცდილობდნენ შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, რაც ვერ მოახერხეს, ვინაიდან ისინიც მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ იქნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. ს-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ს-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, გ. ს-ძეს უსაფუძვლოდ დაედო მსჯავრი დანაშაულის ჩადენაში; მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია; სასამართლოში საქმის განხილვისას არ შემოწმებულა გ. ს-ძის დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები; საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ გ. ს-ძე ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილეა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, გ. ს-ძეს უსაფუძვლოდ დაედო მსჯავრი დანაშაულის ჩადენაში.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ გ. ს-ძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. განაჩენით გ. ს-ძის მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია დაზარალებულ მ. გ-ძის ჩვენებით, მოწმეების - ი. რ-იას, პ. მ-ძის, პ. ს-იას, ი. ყ-ურის ჩვენებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება და მას განუსაზღვრა სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით გადამოწმდა მსჯავრდებულების - ჯ. ზ-უასა და რ. კ-შვილის მიმართაც, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი მათ მიმართ როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში არის დასაბუთებული.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. ზ-უას მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონი, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - ჯარიმის 1000 ლარის ოდენობით - მოხდისგან იმის

გათვალისწინებით, რომ იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ იმ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებულია როგორც ძირითადი სასჯელი; მასვე აღნიშნული კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მსჯავრდებულ ჯ. ზ-უას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 21 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ჯ. ზ-უა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - ჯარიმის 1000 ლარის ოდენობით - მოხდისაგან, იმის გათვალისწინებით, რომ ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ჯ. ზ-უას საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ჯ. ზ-უას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 21 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე, მსჯავრდებულების - გ. ს-ძისა და რ. კ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელები დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1959-აპ

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - შ. გ-იანისა და ს. გ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - რ. დ-ძისა და ვ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განაჩენით შ. გ-იანი და ს. გ-იანი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 10 აგვისტოს ს. გ-იანი დაუკავშირდა შ. გ-იანს და განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ... გამზირზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურს „ნუკოლის«. ამისათვის ისინი შეიარაღდნენ ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალით, 2005 წლის 10 აგვისტოს, დაახლოებით 18.15 საათზე, მივიდნენ ბენზინგასამართ სადგურ „ნუკოლთან«, შევიდნენ ოპერატორ გ. გ-ის სამუშაო ოთახში და ცეცხლსასროლი იარაღების დემონსტრირებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მას გასტაცეს თანხა 210 ლარის ოდენობით და შეეცადნენ შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, მაგრამ იქვე, ავტოსამრეცხაოზე მომუშავე ბ. ძ-შვილის მითითებით, რომელიც შეესწრო ყაჩაღობის ფაქტს, ს. გ-იანი და შ. გ-იანი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული დანაშაულისათვის შ. გ-იანსა და ს. გ-იანს საბოლოოდ მიესაჯათ თითოეულს - 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოთ 2005 წლის 10 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. დ-ძემ. მან სააპელაციო საჩივრებით ითხოვა გამამატყუნებელი განაჩენის გაუქმება და ორივე მსჯავრდებულის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებულების ინტერესების დამცველი ადვოკატები - რ. დ-ძე და ვ. ქ-ძე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ ს. გ-იანი და შ. გ-იანი ერთმანეთს არ იცნობდნენ; მათი დაკავება მოხდა სხვადასხვა დროსა და ადგილზე; გ. გ-ძემ ისინი ამოიცნო პოლიციაში, როდესაც ბორკილდადებულები იქ მიიყვანეს; ცოლ-ქმარმა ბ-შვილებმა საერთოდ უარყვეს შემთხვევის ადგილზე ჩატარებულ დათვალიერებაში თავიანთი მონაწილეობის ფაქტი; სასამართლო პროცესზე მათ მიერ მიცემული ჩვენებები არ შეესაბამება ოქმში დაფიქსირებულ ჩვენებებს; ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე ტელეფონით შეტყობინების დრო წინ უსწრებს ეჭვმიტანილთა დაკავებას; შემთხვევის ადგილად მიჩნეული ... დასახლება, მე-4 მ/რ-ნი, მე-4 კორპუსი „ნუკოლის« ბენზინგასამართი სადგურიდან 7-8 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს; დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მაგრამ მოსამართლემ უარყო შუამდგომლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატები - რ. დ-ძე და ვ. ქ-ძე ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულების გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა გია გ-ძემ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დამაჯერებლად ამხილა შ. გ-იანი და ს. გ-იანი. მან კატეგორულად განმარტა, რომ სწორედ აღნიშნულმა პირებმა ყაჩაღურად გასტაცეს ფული, რა დროსაც ს. გ-იანს ხელთ ჰქონდა «ნაგანი», ხოლო შ. გ-იანის იარაღი «მაკაროვს» მიაღმგავსა.

მოწმე ტ. ბ-შვილმა განმარტა, რომ უცნობი პირები ბინაში შემვებას ითხოვდნენ. პოლიციელები ყვიროდნენ, რომ კარი არ გაეღოთ, რის შემდეგ რამდენიმე პირი დააკავეს.

მოწმე ბ. ძ-შვილმა განაცხადა, რომ დაზარალებულის მითითებით დაედევნენ ბოროტმოქმედებს, რა დროსაც შეუერთდნენ პოლიციელებიც და დააკავეს სწორედ ის პირები, რომლებიც ყაჩაღურად თავს დაესხნენ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს.

მოწმეების - ლ. ა-შვილის, დ. მ-ელისა და რ. ჯ-ძის ჩვენებებით ირკვევა, რომ თავდამსხმელებს დაედევნენ დაცვის პოლიციის თანამშრომლები და ისინი დააკავეს დაზარალებულ გ. გ-ძისა და მოწმე ბ. ძ-შვილის მითითებით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, რაც ჩატარდა დამსწრეთა მონაწილეობით, პოლიციელებმა სადარბაზოში აღმოაჩინეს და ამოიღეს 210 ლარი, «ნაგანის» სისტემის იარაღი და 16 ვაჭნა. სწორედ ამ სადარბაზოსთან დააკავეს ს. გ-იანი და შ. გ-იანი.

აღნიშნული იარაღი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. 16 ვაჭნა განკუთვნილია «ნაგანის» სისტემის რევოლვერებისათვის და წარმოადგენს საბრძოლო მასალას.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეშია საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომელთა საფუძველზე უდავოდ დადგენილია, რომ ს. გ-იანმა და შ. გ-იანმა ჯგუფურად ჩაიდინეს ყაჩაღობა. ასევე ეჭვს არ იწვევს, რომ ს. გ-იანმა ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ამოღებულია მხოლოდ «ნაგანის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრალდებო დასკვნით ს. გ-იანს სწორად ამ იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარებისათვის ედებოდა ბრალი. რაც შეეხება შ. გ-იანს, მას ბრალი დაედო იმაში, რომ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დაუდგენელი სისტემის პისტოლეტი საბრძოლო ვაჭნებით, რომლებსაც ინახავდა და ატარებდა. იარაღი, რომლის

მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებისათვის მსჯავრდებულია შ. გ-იანი, ვერ იქნა ამოღებული, შესაბამისად, არ გარკვეულა მისი ვარგისიანობის საკითხი და არც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალი იკვეთება. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი შ. გ-იანის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან არ არსებობს არცერთი უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შ. გ-იანის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს შ. გ-იანის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ს. გ-იანისა და შ. გ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - რ. დ-ძისა და ვ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენიდან შ. გ-იანის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში შ. გ-იანის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

შ. გ-იანს საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, ს. გ-იანის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2016-აპ

22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. გ-ძისა და ვ. ლ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: გ. გ-ძე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა, კულტივირება; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა;

ვ. ლ-ძე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ასევე, ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი

მომრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად და არაერთგზის.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 22 ივნისს ვ. ლ-ძემ გ. გ-ძესთან ერთად გადაწყვიტა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ხაშურის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ა. ც-შვილის სახლის ეზოში გაჩერებულ ავტომანქანა „ვაზ-2107-ს», რომელიც ვ. მ-შვილს ეკუთვნოდა. იმავე დამეს, დაახლოებით 4 საათზე, ორივემ ერთად უკანონოდ შეაღწია ა. ც-შვილის სახლის ეზოში, საიდანაც გამოაგორეს ავტომანქანა, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლნენ და გაემართნენ სოფ. ... მიმართულებით. მოძრაობისას ავტომანქანა ჩაუვარდათ ორმოში. ორმოდან ამოყვანაში დახმარების სათხოვნელად მივიდნენ გ. გ-ძის თანაკლასელ ლ. გ-შვილთან, რომელიც მშობლებთან ერთად მიეხმარა ავტომანქანის ამოყვანაში, რის შემდეგაც ვ. ლ-ძე, გ. გ-ძე და ლ. გ-შვილი ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ სოფელ ... მიმართულებით, მოხვდნენ ტყის გაუვალ მასივში, გზა ვერ განაგრძეს, ამიტომ ავტომობილი მიატოვეს და მიიძალნენ. ავტომანქანა 2006 წლის 22 ივნისს აღმოაჩინეს და ამოიღეს მითითებული ადგილიდან.

აღნიშნული ქმედებით გ. გ-ძემ და ვ. ლ-ძემ დაზარალებულ ვ. მ-შვილს მიაყენეს 4 ათასი ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2006 წლის 13 ოქტომბერს ვ. ლ-ძე, იმყოფებოდა რა მიმაღვაში, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ პირს და შეთანხმდნენ, თბილისიდან, დიდუბის ავტოსადგურიდან, ხაშურის რაიონის მიმართულებით წაეყვანათ რომელიმე ტაქსი და გზაში მძღოლს თავს დასხმოდნენ. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ შეიძინეს წებოვანი ლენტის, ვ. ლ-ძემ წაიღო დანა და დაახლოებით 11 საათზე მივიდნენ დიდუბის ავტოსადგურში ავტომანქანა „ოპელ-ვექტრასთან», რომელიც ეკუთვნოდა ტ. ხ-შვილს. მათ მძღოლს სთხოვეს დაბა სურამში წაყვანა და მგზავრობის საფასურად შესთავაზეს 60 ლარი. შეთანხმების შემდეგ ძიებით დაუდგენელი პირი მოთავსდა მძღოლის გვერდით, ხოლო ვ. ლ-ძე - უკანა სავარძელში. დაბა სურამში ჩასვლის შემდეგ მათ მძღოლს სთხოვეს, წასულიყო სოფელ ... გზით და დაახლოებით 2 კმ-ის გავლის შემდეგ ყაჩაღურად თავს დაესხნენ ტ. ხ-შვილს. ვ. ლ-ძემ თანაქონი დანა დაზარალებულს მიაბჯინა კისერზე, წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელ-ფეხი, გადმოათრია მანქანიდან, წაართვეს 120 ლარად ღირებული „ნოკიას» ფირმის მობილური ტელეფონი, 150 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი და 6 ათას ლარად ღირებული მანქანა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ.

გ. გ-ძემ ძიებით დაუდგენელ დროსა და გარემოებებში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი - ატომურ იარაღთა კატეგორიის, 16-კალიბრიანი სანადირო თოფი და საბრძოლო მასალა - იმავე თოფისათვის განკუთვნილი ვაზნა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

გ. გ-ძემ ასევე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში თავის ეზოში, საცხოვრებელ ბინაში სპეციალურად გამზადებულ წყლის ლითონის ჭურჭელსა და ქვაბში უკანონოდ დათესა ნარკოტიკული საშუალების შემცველი ხუთი ძირი მცენარე, რომელიც უკანონოდ მოიყვანა და ახდენდა მის კულტივირებას.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. გ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო ვ. ლ-ძეს - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 19 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ- გ-შვილმა, მსჯავრდებულ ვ. ლ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ს-ძემ და მსჯავრდებულმა გ. გ-ძემ.

პროკურორმა ზ. გ-შვილმა ითხოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენის გაუქმება, გ. გ-ძის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ მისთვის 16 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ვ. ლ-ძისათვის - საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით - 16 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, ასევე - გ. გ-ძისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის დაკისრება 5 ათასი ლარის ოდენობით.

ადვოკატმა ვ. ს-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ლ. გ-შვილის მიმართ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა, საჩივარში მითითებული მოწმეების დაკითხვა და ვ. ლ-ძის გამართლება, ხოლო მსჯავრდებულმა გ. გ-ძემ - ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით ადვოკატ ვ. ს-ძისა და მსჯავრდებულ გ. გ-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო პროკურორ ზ. გ-შვილის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გ. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით მიესაჯა 4 წლითა და 9 თვით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; მას საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 3

თვის ვადით; ვ. ლ-ძეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით მიესაჯა 4 წლითა და 9 თვით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; მას საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლისა და 9 თვის ვადით; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. გ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ ავტომატურად ქურდობის ფაქტი დადასტურებულად ჩათვლა მოწმეების - ლ. და რ. გ-შვილების ჩვენებებით; სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ლ. გ-შვილი ფსიქიკურადაა დაავადებული, აქვს ჰალუცინაციები, სწორად ვერ აფასებს თავის მოქმედებას; სასამართლომ არ გაიზიარა მოწმე ლ. გ-შვილის ჩვენება, რომ 22 ივნისს მას მსჯავრდებულები არ უნახავს; მსჯავრდებულის განმარტებით, მას არანაირი იარაღი არ ჰქონია; ბინაში ჩხრეკა ჩატარებულია კანონდარღვევით, რა დროსაც ჩაუდეს იარაღი, ამიტომ მისთვის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი უსამართლოა; ასევე უსამართლოა სსკ-ის 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი, რადგან მუხლის ამ ნაწილის სანქცია ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2-დან 5 წლამდე ვადით, გ. გ-ძე კი პირველადაა სამართალში, ცოლშვილიანია, ხასიათდება დადებითად.

მსჯავრდებულის აზრით, სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი არ არის ანაზღაურებული; მას არავისთვის არ მიუყენებია ზიანი, ამიტომ მასთან მიმართებით „დაზარალებულები» არ არსებობენ; სასამართლოს იგი უნდა გამართლებინა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო სსკ-ის 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი უნდა განესაზღვრა ჯარიმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული გ. გ-ძე ითხოვს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის - დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

მსჯავრდებული ვ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მის მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონოა, ამიტომ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ტ. ხ-შვილის დაყაჩაღების ეპიზოდში ბრალდებას საფუძვლად უდევს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებები და ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი; არ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა ვ. ლ-ძის მხრიდან მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენას; ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული ბრალდება ა. ც-შვილის ავტომატურად ქურდობის ნაწილშიც; სასამართლომ გაიზიარა ფსიქიკურად დაავადებული პირის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რომელიც სასამართლოში დაკითხვისას მან უარყო; სასამართლომ არ გაიზიარა მოწმე რ. გ-შვილის ჩვენება, რომ მისი შვილი ფსიქიკურად დაავადებულია და რომ მის ოჯახს 22 ივნისს ვ. ლ-ძე არ უნახავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ლ-ძე ითხოვს განაჩენის გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა ტ. ხ-შვილმა სასამართლო სხდომაზე დამაჯერებლად ამხილა ვ. ლ-ძე და განმარტა, რომ იგი სხვა პირთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა. დაზარალებულმა მიუთითა, რომ ორივე თავდამსხმელს დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ესაუბრებოდა და ვ. ლ-ძის ამოცნობა არ გასჭირვებია.

ტ. ხ-შვილმა ვ. ლ-ძე ამოცნო საქმის წინასწარი გამოძიებისას.

მსჯავრდებულის მმის, ნიკოლოზ გ-ძის ჩვენებებით ირკვევა, რომ პოლიციელებმა სახლი გაჩხრიკეს მისი და დამსწრეების მონაწილეობით. გ.ს ოთახში, კედელსა და ტახტს შორის აღმოჩნდა გადაჭრილი თოფი და მისი ვაზნა.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, მოწმეების - ლ. გ-შვილის, რ. გ-შვილისა და სხვათა ჩვენებებით, ქიმიური და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ გ. გ-ძემ და ვ. ლ-ძემ ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

ამასთან, მსჯავრდებულ ვ. ლ-ძეს უნდა შეუმცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. ამასვე ითხოვდა სახელმწიფო ბრალმდებელი სააპელაციო საჩივრით. სსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით ვ. ლ-ძისათვის დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით. შესაბამისად, ვ. ლ-ძეს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - გ. გ-ძისა და ვ. ლ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა: ვ. ლ-ძეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ვ. ლ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2236-აპ

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-ურის, ასევე - მსჯავრდებულ ა. ბ-ურის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 მარტის განაჩენით ზ. გ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო სასამართლოში სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; ასევე, თავისუფლების აღკვეთა სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ.

ა. ბ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე, თავისუფლების აღკვეთა სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ.

ზ. გ-ურისა და ა. ბ-ურის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

1980 წლის 24 იანვარს ზ. გ-ური წითელწყაროს რაიონის სასამართლოს განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. 1985 წლის 15 იანვარს ამავე რაიონის სასამართლომ იგი გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 241-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1988 წლის 4 აპრილს თბილისის 26 კომისიის რაიონის სასამართლომ მას საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1992 წლის 3 ივნისს ამნისტიის საფუძველზე ზ. გ-ური გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 27 სექტემბრის განაჩენით

იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდეგ ზ. გ-ურმა კვლავ განაგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა და 2006 წლის ივლისში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ა. ბ-ურს და დაუდგენელ პირს. მათ განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ მ. თ-შვილის ოჯახს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზ. გ-ური შეიარაღდა ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით, ხოლო ა. ბ-ური და მათი თანამონაწილე - დანებით, წინასწარ მოიმარჯვეს წებოვანი ლენტის, ე.წ. „სკოჩი“ და თოკი, რის შემდეგაც 2006 წლის 30 ივლისს, დაახლოებით 21.30 საათზე, მივიდნენ მ. თ-შვილის ბინასთან მისამართზე: ქ. თბილისი, ... მე-3 მ/რ-ნი, მე-2 კვარტალი, მე-10 კორპუსი, ბინა #247. მათ ბინაში მყოფ ა. მ-შვილს მოტყუებით, ვითომ იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, გააღებინეს კარი, შეიჭრნენ და უკანონოდ შეაღწიეს საცხოვრებელ ბინაში. ზ. გ-ურმა ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგანი მიმართა ბინაში მყოფი პირებისაკენ და დაემუქრა, რომ იარაღის გამოყენებით მათ სიცოცხლეს გამოასალმებდა, თუ მ. თ-შვილი, თ. თ-შვილი და მისი მეუღლე ა. მ-შვილი ფულად თანხას და ოქროს ნივთებს არ გადასცემდნენ. ა. ბ-ური და დაუდგენელი პირი დანების გამოყენებით ემუქრებოდნენ, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მათ მიაყენებდნენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო დაზიანებას. იქიდან გამომდინარე, რომ თავდამსხმელები იარაღის მსგავსი საგნითა და დანებით იმუქრებოდნენ, დაზარალებულებმა ეს მუქარა აღიქვეს მათზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხედ. ამის შემდეგ ბოროტმოქმედებმა თანაქონი თოკით, დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მ. თ-შვილსა და ა. მ-შვილს შეუკრეს ხელ-ფეხი, დააწინეს იატაკზე, პირი აუკრეს წებოვანი ლენტით და იარაღის გამოყენების მუქარით გაიტაცეს ფულადი თანხა - 4000 აშშ დოლარი და ოქროს ნივთები, სულ ღირებული 600 ლარად. ამავე დროს თავდამსხმელებმა ორსულ თ. თ-შვილს, რომელსაც ორსულობა ვიზუალურად ეტყობოდა, შეუკრეს ხელ-ფეხი და დააწინეს დივანზე, რის შემდეგაც ა. მ-შვილი, თ. თ-შვილი და მ. თ-შვილი, ხელ-ფეხშეკრულები და წებოვანი ლენტით პირახვეულები, დატოვეს ბინაში, რითიც მათ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ხოლო თვითონ შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ა. ბ-ურმა, ზ. გ-ურმა და დაუდგენელმა პირმა დაზარალებულებს საერთო ჯამში მიაყენეს 7660 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. გ-ურს საბოლოოდ მიესაჯა 22 წლით, ხოლო ა. ბ-ურს - 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყო 2006 წლის 9 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ზ. გ-ურმა და მსჯავრდებულ ა. ბ-ურის ადვოკატმა გ. მ-მემ. მათ ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; განაჩენი ზ. გ-ურის მსჯავრდების ნაწილში დარჩა უცვლელად, ხოლო ა. ბ-ურის მიმართ შეიცვალა: ა. ბ-ურს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 8 წლით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ ა. ბ-ურს განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ზ. გ-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულებმა აღწერეს სამივე თავდამსხმელი, მაგრამ მოგვიანებით გამომძიებელმა გადაასწორა ერთ-ერთის ასაკი, რადგან ზ. გ-ური 45 წლისაა და არ ჰგავს 23-25 წლის ახალგაზრდას; მიუხედავად დაზარალებულ მ. თ-შვილის განმარტებისა, რომ მას არ შეეძლო თავდამსხმელების ამოცნობა, მაინც უყოყმანოდ ამოიცნო მათში ზ. გ-ური და ა. ბ-ური; მოწმეების - ნ. თ-შვილის, ე. ა-ულისა და ლ. კ-ევას ჩვენებით, გამორიცხულია მათი მონაწილეობა აღნიშნულ დანაშაულში, რადგან ზ. გ-ური შემთხვევის დროს იყო დაბადების დღეზე, ხოლო ა. ბ-ური - თავის სახლში; მიუხედავად მოთხოვნისა, ზ. გ-ურს არ დართეს ნება, ჩაეტარებინა ალტერნატიული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ასევე არ გამოიკვლიეს ამოცნობის ვიდეოფირი; თავად ამოცნობაც ჩატარდა კანონდარღვევით, რადგან ამოსაცნობი პირები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ როგორც გარეგნობით, ისე - ჩაცმულობით; დაზარალებულების მიერ თავდამსხმელთა აღწერილობა აშკარად განსხვავდება ზ. გ-ურის აღწერილობისაგან, რაც გამორიცხავს მის მონაწილეობას ამ დანაშაულის ჩადენაში; მას ეს დანაშაული რომ ჩაედინა, თავის ბინაში აღარ გაჩერდებოდა, რადგან დაზარალებულ მ. თ-შვილის დედა - ნ. თ-შვილი იცნობდა მას, ასევე, ვერ გაბედავდა დასაყაჩაღებლად ბინაში შესვლას ნიღბის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ზ. გ-ური ითხოვს საქმის ობიექტურად განხილვას, განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

კასატორი - მსჯავრდებულ ა. ბ-ურის ადვოკატი გ. მ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მთელი რიგი საკითხებისა გადაწყდა არასწორად, ვერ დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები, რამაც გამოიწვია არასწორი განაჩენის გამოტანა; სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები წინასწარი გამომძიებისას დაშვებული კანონდარღვევების გამოსავლენად, საქმიდან არ ამოიღო კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, სათანადო

შეფასება არ მისცა დაზარალებულების განსხვავებულ ჩვენებებს, გამომძიებლის მიერ მტკიცებულებათა გაყალბებას; კანონდარღვევით ჩატარდა ორივე მსჯავრდებულის ამოცნობა; ამოცნობაში თითქოსდა მონაწილე პირებიდან რამდენიმე არ ცხოვრობს ოქმში მითითებულ მისამართზე ან თუ ცხოვრობს, ამოცნობაში მონაწილეობა არ მიუღია; სასამართლოზე არ დაიკითხნენ გ. კ-ელია, გ. ხ-შვილი, რ. ლ-ავა, გ. გ-ავა და ი. გ-შვილი, არ გამოიკვლიეს ის ვიდეომასალა, რომელზეც დაფიქსირებულია ამოცნობები; ამოსაცნობი პირები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ გარეგნობით, ფეხსაცმლითა და ტანსაცმლით; სასამართლომ სათანადო ყურადღების გარეშე დატოვა მ. თ-შვილისა და ზ. გ-ურის ნაცნობობის ფაქტი.

ა. ბ-ური თავს არ ცნობს დამნაშავედ და დეტალურად აღწერს თავის ყოველ ნაბიჯს დანაშაულის დღეს, რასაც ადასტურებენ მოწმეები - მ. ი-ოვა და ე. ი-შვილი; სასამართლომ ვერ მოიპოვა ა. ბ-ურის ალიბის გასაბათილებელი მტკიცებულებები; საქმეში დღემდე არ დევს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მსჯავრდებულების უდანაშაულობას დაადასტურებდა; ა. ბ-ურს რომც ჩადინა აღნიშნული დანაშაული, მისთვის საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის წაყენება მაინც არ შეიძლებოდა; საქმეს არ ერთვის ნივთმტკიცებები - წვრილი თოკი და „სკოჩი“; არც ერთი დაზარალებული არ უთითებს, რომ მას თავისუფლება აღუკვეთა ა. ბ-ურმა; შეიძლება არსებობდეს ამსრულებლის ექსცესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გ. მ-ძე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ა. ბ-ურის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ ზ. გ-ურმა და ა. ბ-ურმა ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე - თავისუფლების აღკვეთა სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის, მათ შორის - წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის - დაზარალებულთა თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებები, კერძოდ:

დაზარალებულმა თ. თ-შვილმა განმარტა, რომ ყაჩაღურად თავს დაესხა სამი პირი, მათ შორის, ზ. გ-ური და ა. ბ-ური. სამივე თავდამსხმელს ეცვა საპატრულო პოლიციის ფორმა და იყვნენ უნილბოდ. ბოროტმოქმედებმა შენიშნეს, რომ თ. თ-შვილი ფეხმძიმედ იყო და ამშვიდებდნენ - არაფერს დაგიშავებთო. მის ძმას და მეუღლეს ხელ-ფეხი შეუკრეს, პირი აუკრეს წებოვანი ლენტით და დააწვინეს იატაკზე. წასვლისას თ. თ-შვილსაც შეუკრეს ხელ-ფეხი, დააწვინეს ტახტზე, ტელევიზორის ხმას აუწიეს და მიიმალნენ. ზ. გ-ურს ჰქონდა შავ ტარიანი, ვერცხლისფერი იარაღი, ხოლო ა. ბ-ურს - დანა. საქმის წინასწარი გამოძიებისას წარუდგინეს 4-4 პირი, რომელთაგან ამოიცნო ზ. გ-ური და ა. ბ-ური. დაზარალებულმა კატეგორიულად მიუთითა, რომ სწორედ მათ განახორციელეს ყაჩაღური თავდასხმა.

ანალოგიური ჩვენება მისცა დაზარალებულმა მ. თ-შვილმა. მან აღნიშნა, რომ თავდასხმაში მონაწილეობდნენ ა. ბ-ური და ზ. გ-ური. ეს უკანასკნელი მანამდე ერთხელ ჰყავდა ნანახი და ხელიც ჩამოართვა.

მსჯავრდებულები ჩადენილ დანაშაულში ამხილა დაზარალებულმა ა. მ-შვილმაც.

მოწმე ნ. თ-შვილის ჩვენებით ირკვევა, რომ გაყიდა ბინა და ყველას ეუბნებოდა - ფული ბანკში მაქვს შენახულიო. სინამდვილეში, ფულს სახლში ინახავდა, კერძოდ - საძინებელ ოთახში და ამის შესახებ მხოლოდ ზ. გ-ურის დამ - ა.-მ იცოდა, რომელიც დაახლოებით ერთი თვის მანძილზე მის სახლში ცხოვრობდა.

საგულისხმოა, რომ დაზარალებულთა ჩვენებებით, თავდამსხმელებმა იცოდნენ ბინაში ფულის ადგილსამყოფელი და კითხულობდნენ ნ. თ-შვილის ოთახს.

უსაფუძვლოა ადვოკატ გ. მ-ძის საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ საქმეში არ მოიპოვება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული დასკვნის შესაბამისად, მ. თ-შვილის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე ამოღებული ხელის კვლები პიროვნების იდენტიფიკაციისათვის უვარგისია.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა. ა. ბ-ურის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული, მას დანიშნული აქვს სამართლიანი სასჯელი და ა. ბ-ურის მიმართ გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

რაც შეეხება ზ. გ-ურს, საქმის მასალებით ირკვევა, რომ იგი ბოლოს - 1993 წლის 27 სექტემბერს გასამართლა ვაკის რაიონის სასამართლომ და იმ დროს მოქმედი სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით

მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელის მოხდისაგან ზ. გ-ური გათავისუფლდა ვადამდე - 1999 წლის 1 ოქტომბერს.

საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელად ითვალისწინებდა 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მოქმედი რედაქციის სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმღე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან, ამ შემთხვევაში - 1999 წლის 1 ოქტომბრიდან. ამდენად, ზ. გ-ურის ნასამართლობა გაქარწყლდა 2005 წლის 1 ოქტომბერს და გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი. მისი ქმედება ბრალდების ამ ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჯგუფურად და ბინამი უკანონო შეღწევით). შესაბამისად, ზ. გ-ურს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. გ-ურის, ასევე, მსჯავრდებულ ა. ბ-ურის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენიდან ზ. გ-ურის მიმართ ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში ზ. გ-ურის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ზ. გ-ურის ქმედება ყაჩაღობის ბრალდების ეპიზოდში დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და ამ მუხლით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რის გამოც ზ. გ-ურს საბოლოოდ მიესაჯოს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, ა. ბ-ურის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2227-აპ

18 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ვაჩაძე,**
- მ. ცისკაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 თებერვლის განაჩენით დ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეხუთე პუნქტებით (ძვ.რედაქცია) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 184-ე მუხლის მესამე ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი, მეოთხე და მეხუთე ნაწილებით (ძვ.რედაქცია) - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 184-ე მუხლის მესამე ნაწილით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «თ» და «ზ» ქვეპუნქტებით (ძვ.რედაქცია) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი, მეოთხე და მეხუთე ნაწილებით (ძვ.რედაქცია) - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «გ», «ზ» და «თ» ქვეპუნქტებით

(ძვ.რედაქცია) - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 104-ე მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტებით (ძვ.რედაქცია) - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დ. ა-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 83 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქციის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, დ. ა-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მსჯავრდებულ დ. ა-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

დ. ა-ძე 1992 წლის 17 ოქტომბერს, დილის საათებში, ქ. გორში, ე.წ. „კომბინატის“ დასახლებაში, შეხვდა თავის ამხანაგებს - ზ. უ-შვილსა და კ. კ-ძეს. დ. ა-ძესა და ზ. უ-შვილს კ. კ-ძემ, ფულისა და ძვირფასი ნივთების გატაცების მიზნით, შესთავაზა გორის რაიონის სოფ. ... მცხოვრები თავისი ნაცნობების - ი-ურების საცხოვრებელ ბინაზე ყაჩაღური თავდასხმა, რაზედაც ისინი დათანხმდნენ. მათ ამავე დასახლებაში ღია მწვანე ფერის „ვაზ-21011“ მარკის ავტომანქანით შეხვდა მათი ამხანაგი გ. ყ-იანი, რომელსაც შესთავაზეს სოფ. ... იმავე ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა და წასვლა გადაწყვიტეს მისი ავტომანქანით. გ. ყ-იანი დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას. იმავე დღეს ქ. გორში მათ შეხვდა მათი ამხანაგი ო. მ-ძე, რომელსაც დ. ა-ძემ შესთავაზა გორის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ი-ურების საცხოვრებელ ბინაზე ყაჩაღური თავდასხმა, რაზედაც იგი დათანხმდა. ხუთივენი აღნიშნული ავტომანქანით მივიდნენ ქ. გორში, ... გზატკეცილის #24\45-ში მცხოვრებ ზ. უ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, საიდანაც ზ. უ-შვილმა და კ. კ-ძემ გამოიტანეს და ავტომანქანაში ჩააწყვეს ნიღბები და „აკს-ის“ სისტემის სამი ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი: ორი - მოკლე, უკონდახო, ხოლო მესამე - კონდახით. იმავე დღეს, შებინდებისას, დაახლოებით 20 საათზე, დ. ა-ძე და მისი თანმხლები პირები ზემოაღნიშნული ავტომანქანით წავიდნენ გორის რაიონის სოფ. ავტომანქანა გააჩერეს სოფლის განაპირას მდებარე ზ. ი-ურის საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 40-50 მეტრის დაშორებით, მანქანაში გაიკეთეს ნიღბები და, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულები, თავს დაესხნენ ზ. ი-ურის ოჯახს, ხოლო გ. ყ-იანი დარჩა ავტომანქანასთან სამეთვალყურეოდ. თავდამსხმელებს სახლში დახვდა ოჯახის ყველა წევრი. დ. ა-ძემ და მისმა თანამზრახველებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით გაიტაცეს 14 ათასი რუსული მანეთი (3 ლარი და 8 თეთრი), ზ. ი-ურის მეუღლის - ბ. ი-ურის კუთვნილი მწვანე ფერის „ვაზ-21061“ მარკის ავტომანქანა, ღირებული 21 ათას მანეთად (5500 ლარად), ერთლულიანი სანადირო თოფი, ღირებული 600 მანეთად (40 ლარად), ქალის ერთი წყვილი, 08-გრამიანი ოქროს საყურე თეთრი ცირკონის თვლებით, ღირებული 1000 მანეთად, ანუ 130 ლარად, ქალის ორი წყვილი ოქროს საყურე ოქროს პატარა ბურთულებით, ორივე ღირებული 4000 მანეთად, ანუ 50 ლარად, ოქროს ძეწკვი ოქროს ჯვრით, ღირებული 150 მანეთად, ანუ 25 ლარად, ოქროს ბეჭედი „რგოლი“, ღირებული 70 მანეთად, ანუ 50 ლარად, ოქროს საყურე ჟოლოსფერი თვლებით, ღირებული 200 მანეთად, ანუ 60 ლარად, ოქროს ბეჭედი ჯვრის გამოსახულებით, ღირებული 100 მანეთად, ანუ 30 ლარად, არაბული ვერცხლის ძეწკვი, ღირებული 1500 მანეთად ანუ 8 ლარად, ვერცხლის ძეწკვი ამოვლებული ოქროს წყალში, ღირებული 80 მანეთად ანუ 15 ლარად, მაგნიტოფონი „მაიაკი“, ღირებული 450 მანეთად, ანუ 130 ლარად, ქალის ორი ქაკეტი, ორივე ღირებული 2400 რუსულ მანეთად, ანუ 40 ლარად, ქალის ორი პერანგი - მუქი და ღია იასამნისფერი, ორივე ღირებული 6000 რუსულ მანეთად, ანუ 30 ლარად, ქალის ექვსი ბოლოკაბა, 5 - შავი ფერის, ერთი - ჭრელი, ექვსივე ღირებული 300 რუსულ მანეთად, ანუ 125 ლარად, ქალის სამი მაისური - ხაკისფერი, ჟოლოსფერი და მწვანე, სამივე ღირებული 1200 რუსულ მანეთად, ანუ 30 ლარად, ქალის სამი ჯემპრი - ერთი ოქროსფერი, მეორე - თეთრი ყვავილებით და მესამე - შინდისფერი, სამივე ღირებული 900 რუსულ მანეთად, ანუ 75 ლარად, ქალის ცისფერი ხალათი, ღირებული 100 რუსულ მანეთად, ანუ 13 ლარად, ქალის ცისფერი პენუარი, ღირებული 600 მანეთად - 35 ლარად, ქალის ტყავის ქურთუკი, ღირებული 1300 რუსულ მანეთად, ანუ 230 ლარად, მამაკაცის ტყავის ქურთუკი, ღირებული 3000 რუსულ მანეთად, ანუ 130 ლარად, ქალის შავი ფერის ტყავის მანტო, ღირებული 3000 რუსულ მანეთად, ანუ 220 ლარად, ქალის ერთი წყვილი ყავისფერი ფეხსაცმელი დაბალი ქუსლით, ღირებული 3500 მანეთად, ანუ 45 ლარად, ქალის ერთი წყვილი შავი ფეხსაცმელი, ღირებული 1200 რუსულ მანეთად, ანუ 25 ლარად, მამაკაცის ერთი წყვილი ჩექმა ელვა შესაკრავით, ღირებული 6000 რუსულ მანეთად, ანუ 55 ლარად, ქალის შავი ფერის ტყავის ჩანთა, ღირებული 500 რუსულ მანეთად, ანუ 20 ლარად, სუნამო „პუაზონი“, ღირებული 1000 რუსულ მანეთად, ანუ 10 ლარად, თვალის შავი ფერის საღებავი, ღირებული 300 რუსულ მანეთად, ანუ 10 ლარად, მამაკაცის თურქული წარმოების ოთხი პერანგი, ოთხივე ღირებული 100 რუსულ მანეთად, ანუ 48 ლარად, ქალის შავი ფერის კაბა გულზე ოქროსფერით, ღირებული 700 მანეთად, ანუ 30 ლარად, ქალის ორი ცალი ვარდისფერი ჯემპრი, ორივე ღირებული 2200 რუსულ მანეთად, ანუ 50 ლარად, ოქროს საყურე მტევნის და პატარა ყვავილის ფორმის ჟოლოსფერი თვლით, ღირებული 45 რუსულ მანეთად, ანუ 30 ლარად, ქალის მწვანე ფერის კოსტიუმი შავი წერტილებით, ღირებული 300 რუსულ მანეთად, ანუ 30 ლარად, მოყვითალო ფერის მეტალის გულსაბნევი, ღირებული 6 რუსულ მანეთად, ანუ 2 ლარად და ქალის ლურჯი ფერის პერანგი, ღირებული 8 რუსულ მანეთად, ანუ 3 ლარად. წინასწარი გამოძიების პროცესში ზ. ი-ურის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულ იქნა

გატაცებული შემდეგი დასახელების ნივთები: ქალის შავი ფერის ტყავის მანტო მწვანე თვლებით, ქალის შავი ფერის კაბა გულზე ოქროსფერი ზოლებით, ქალის იასამნისფერი პერანგი, ქალის მწვანე კოსტიუმი, ოქროსფერი ღილებით, ქალის ჯემპრი ოქროსფერი ზოლებით, გულზე ყვავილების გამოსახულებით, ქალის ვარდისფერი ჯემპრი, ქალის მწვანე ფერის ქვედაბოლო და ზედატანი შავი ფერის ხალებით, ქალის შავი ფერის ბოლოკაბა დაბლა პლისეთი, ქალის ვარდისფერი ჯემპრი ექვსი ღილით, ქალის მწვანე ფერის მაისური შავი წერტილებით, ქალის ცისფერი ღამის პენუარი, ქალის ლურჯი პერანგი, ქალის ჯემპრი სხვადასხვა ორნამენტებით და მოყვითალო ფერის მეტალის გულსაბნევი.

1992 წლის 20 დეკემბერს, დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე, დ. ა-ძე თავის მეგობრებთან - გ. კ-ელთან, კ. კ-ძესა და ძიებით დაუდგენელ სამ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, გადაჭრილი სანადირო თოფით, თვითნაკეთი რევოლვერის სისტემის იარაღით, დანებით და ხელყუმბარებით შეიარაღებულნი, მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, თავს დაესხნენ ქ. გორში, ... ქუჩის #23-ში მცხოვრებ ზ. კ-შვილის საცხოვრებელ ბინას, რა დროსაც ზ. კ-შვილს და მის რძალს - დ. ბ-შვილს შეუკრეს ხელ-ფეხი და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარითა და ასეთი ძალადობის გამოყენებით, ბინიდან გაიტაცეს: ქალის ტყავის „დუბლიონკა“, ღირებული 200 000 რუსულ მანეთად; 6 გრამი, მაღალი ხარისხის ოქროს „რგოლი“, ღირებული 150 000 რუსულ მანეთად; 5525 რუსული მანეთი; ბეჭედი „ტულპანი“ ბრილიანტის თვლით, ღირებული 100 000 რუსულ მანეთად; ვერცხლის ბეჭედი „კორუნდის“ თვლით, ღირებული 1000 რუსულ მანეთად; ოთხი ვერცხლის ბეჭედი, მათგან ორი - ლალის თვლებით, საერთო ღირებულებით 2000 რუსული მანეთი; ორი ცალი ვერცხლის „გრეხილი“ ბეჭედი, საერთო ღირებულებით 1000 რუსული მანეთი; მაგნიტოფონი „რომანტიკა“, ღირებული 100 000 რუსულ მანეთად; ფრანგული წარმოების სუნამოები „პუაზონი“ და „ისპაპანი“, ერთი დეზოდორი „ენველე“, საერთო ღირებულებით 7500 რუსული მანეთი; ინგლისური სუნამო, ღირებული 2500 რუსული მანეთად; ხალიჩა, მუქი შინდისფერი, ღირებული 650 ლარად; ორი ცალი საბურავი, ორივე ღირებული 70 ლარად; ავტომანქანა „ვაზ 2106“, ღირებული 6500 ლარად.

გატაცებული ნივთები მათ მიჰყიდეს დაუდგენელ პირებს და აღებული თანხა ერთმანეთში გაინაწილეს.

1993 წლის 9 თებერვალს დ. ა-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი. უ-შვილს, ზ. უ-შვილს, კ. კ-ძეს, ნ. კ-შვილს, მ. ნ-ძესა და ბ. დ-ძეს. იმავე დღეს, ერთმანეთში როლების განაწილების გარეშე, კ. კ-ძის ინიციატივით, გადაწყვიტეს ჩაედინათ ყაჩაღობა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დ. ა-ძე შეიარაღდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო ი. უ-შვილი, კ. კ-ძე, ზ. უ-შვილი, ბ. დ-ძე და ნ. კ-შვილი შეიარაღდნენ სამი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ერთი ცალი «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტით, ერთი გადაჭრილი თოფით და ერთი ხელყუმბარით. ისინი ჩასხდნენ მ. ნ-ძის კუთვნილ «ვაზ-2106» მარკის ავტომანქანაში და კ. კ-ძის მითითებით მოქალაქე გ. ხ-ურის ქონების ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლების მიზნით, გაემართნენ გორის რაიონის სოფ. იმავე დღეს, დაახლოებით 19 საათზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დ. ა-ძე ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, ჩავიდა სოფ. გ. ხ-ურის საცხოვრებელი სახლისგან მოშორებით, მ. ნ-ძე დატოვეს ავტომანქანაში, რომელსაც დაავალეს მოეცადა მათთვის და არ გადაადგილებულიყო. დანარჩენებმა გაიკეთეს ნიღბები, ჩაიცივეს ხელთათმანები და შეიარაღებულებმა შეაღწიეს საცხოვრებელ ბინაში, სადაც ყაჩაღურად თავს დაესხნენ გ. ხ-ურს. მოქმედებდნენ რა ერთობლივად და შეთანხმებულად, ი. უ-შვილი, დ. ა-ძე, ბ. დ-ძე, ზ. უ-შვილი და ნ. კ-შვილი, ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალებით მომარჯვებულნი, დანაწილდნენ ოთახების გასასვლელებში და ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით ხელ-ფეხი შეუკრეს გ. ხ-ურსა და მის სტუმარს - გ. მ-შვილს, რითაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ხელფეხშეკრული დააგდეს. მათ არ აძლევდნენ გადაადგილებისა და გათავისუფლების საშუალებას. დ. ა-ძესა და ყაჩაღური ჯგუფის სხვა წევრებს გ. მ-შვილი და გ. ხ-ური შებოჭილი ჰყავდათ დაახლოებით ერთი საათისა და 30 წუთის განმავლობაში. ამავე დროს ბინის პატრონს, გ. ხ-ურს იარაღის მუქარით მოსთხოვეს ფული ერთი მილიონი რუსული მანეთის ოდენობით. მიიღეს რა უარი, დ. ა-ძემ და კ. კ-ძემ ფულის გამოძალვის მიზნით, ელექტროქურის გამოყენებით დაიწყეს გ. ხ-ურის წამება, კერძოდ, გ. ხ-ური დასვეს გახურებულ ელექტროქურაზე და სცემეს. ცდილობდნენ მისთვის პირში ნაკვერჩხლის ჩადებას, რითაც მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები. აღნიშნულის შემდეგ დ. ა-ძემ და კ. კ-ძემ გ. ხ-ური გაიყვანეს მეორე ოთახში და დაიწყეს გახურებული ელექტროუთოს გამოყენებით მისი წამება. გ. ხ-ურმა წამებას ვერ გაუძლო და გადასცა მათ ოთხი ათასი მანეთი. ამავე დროს ბ. დ-ძე, ი. უ-შვილი, ზ. უ-შვილი და ნ. კ-შვილი მონაცვლობით დარაჯობდნენ შებოჭილ გ. მ-შვილს და თან ჩხრეკდნენ გ. ხ-ურის ბინას, რადგან ნაწამები გ. ხ-ური ატყუებდა მათ და უთითებდა ფულის სხვადასხვა ადგილსამყოფელს. დ. ა-ძემ გ. ხ-ურის ბინაში იპოვა ხუთი ათასი რუსული მანეთის კუპიურა. გარდა აღნიშნულისა, დ. ა-ძემ, ყაჩაღური ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, მუქარისა და ძალის გამოყენებით გ. ხ-ურს წართვა ორი ტყავის ქურთუკი, ღირებული 355 ლარად. ვინაიდან გ. ხ-ურისაგან ვერ მიიღეს მოთხოვნილი თანხა, დ. ა-ძემ და კ. კ-ძემ შებოჭილ გ. ხ-ურს უმოწყალოდ სცემეს, მოკვლის მიზნით ჩააგდეს ქვეშაგების შესანახ ტახტში, ზემოდან დააგდეს საბანი და ლეიბი,

მოუკიდეს ცეცხლი და ტახტს დააფარეს სახურავი. ყაჩაღური ჯგუფის თანამონაწილემ - ი. უ-შვილმა დ. ა-ძისაგან დამოუკიდებლად, ცეცხლწაკიდებულ ტახტს დაასხა წყალი, ჩააქრო ცეცხლი, ამოიყვანა გ. ხ-ური ტახტიდან და შებოჭილ მდგო.ეობაში დააგდო იატაკზე. თავდამსხმელებს გ. მ-შვილისა და გ. ხ-ურისათვის ხელ-ფეხი არ გაუხსნიათ, ისე მიატოვეს გ. ხ-ურის ბინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დ. ა-ძისა და კ. კ-ძის მიერ ნაწამები გ. ხ-ური იმავე დამეს მოათავსეს ქ. გორის საავადმყოფოში, სადაც მიყენებული დაზიანებების შედეგად სამი დღის შემდეგ - 1993 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დ. ა-ძის ქმედება დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია); დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე პუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე პუნქტზე (1998 წლის 18 სექტემბრის კანონით მიღებული რედაქცია); საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «გ», «ზ» და «თ» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი სსკ-ის 133-ე მუხლზე; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 238-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის მეორე ნაწილიდან (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია); საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მოქმედ რედაქციაზე.

დ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» პუნქტით (2006 წლის 31 მაისის შემდეგ მოქმედი რედაქცია), 96-ე მუხლის მეორე ნაწილის მეექვსე პუნქტით (1998 წლის 18 სექტემბრის კანონით მიღებული რედაქცია) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (მოქმედი რედაქცია) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისის შემდგომ მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 133-ე მუხლით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» პუნქტით (2006 წლის 31 მაისის შემდეგ მოქმედი რედაქცია), 96-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე პუნქტით (1998 წლის 18 სექტემბრის კანონით მიღებული რედაქცია) 96-ე მუხლის მეორე ნაწილის მეექვსე პუნქტით (1998 წლის 18 სექტემბრის კანონით მიღებული რედაქცია) - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისის შემდეგ მოქმედი რედაქცია) - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 104-ე მუხლით პირველი და მეექვსე პუნქტებით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, 133-ე მუხლით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 96-ე მუხლის მეორე ნაწილის მეექვსე პუნქტით (1998 წლის 18 სექტემბრის კანონით მიღებული რედაქცია) - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დ. ა-ძეს სასჯელად განესაზღვრა 75 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქციის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, დ. ა-ძეს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული დ. ა-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მის ბრალეულობას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულების - გ. მ-შვილის, ბ. ი-ურის, ზ. კ-შვილის, დ. ბ-შვილის ჩვენებებით,

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გორის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების - გ. კ-ელის, ზ. უ-შვილისა და ი. უ-შვილის მიმართ გამოტანილი განაჩენებით უდავოდ დასტურდება, რომ დ. ა-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების, შენახვისა და შექმნის ნაწილში სწორად არის დადგენილი და დაკვალიფიცირებული, ძველი და მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ყაჩაღობის ნაწილში ქმედების ცალკეული ეპიზოდების მიხედვით კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, ცალ-ცალკე სასჯელების დანიშვნის ნაწილში.

დ. ა-მეს მსჯავრი დაედო 1992-93 წლებში ჩადენილი ყაჩაღური ქმედებებისათვის, რის გამოც მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი, მეოთხე და მეხუთე პუნქტებით, რომლებიც სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 6-15 წლამდე. შემდგომში, სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, 152-ე მუხლის მეოთხე ნაწილი (ყაჩაღობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს ყაჩაღობა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ან ბანდიტიზმი) გათვალისწინებულ იქნა სსკ-ის 96-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, თუმცა სასჯელი დარჩა იგივე. აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება მოცემულია ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტში - ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს 8-12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ დ. ა-მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება სსკ-ის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე პუნქტიდან არასწორად გადააკვალიფიცირა 96-ე მუხლზე. განსახილველი დანაშაულის შემთხვევაში, დ. ა-მის ქმედება ამ ნაწილში უნდა გადაკვალიფიცირდეს 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე, ძველი რედაქციის მინიმუმის გათვალისწინებით.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

2007 წლის 4 ივლისის ცვლილებამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, არაერთგზისობა გულისხმობს ამავე მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. თუ არაერთგზისი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია მაკვალიფიცირებელ გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზისი დანაშაულისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ დ. ა-მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ყაჩაღობის სამივე ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ერთი მუხლით - სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით-ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით (2007 წლის 4 ივლისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია), ვინაიდან ამ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რაშიც სააპელაციო სასამართლომ დ. ა-მეს სწორად დასდო მსჯავრი და უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი, ხოლო განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ დ. ა-მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ყაჩაღობის სამივე ეპიზოდში დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით (2007 წლის 4 ივლისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ დ. ა-მის საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისის შემდგომ მოქმედი რედაქცია), 133-ე მუხლით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 104-ე მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტებით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), 133-ე მუხლით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქმედების ჩადენის დროისათვის მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიესაჯოს 49 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქციის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, დ. ა-მის საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2273-აპ

18 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ზ. ო-შვილს ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 5 თებერვალს კასპის რაიონის სოფ. ... მცხოვრებმა ზ. ო-შვილმა ამავე სოფელში მცხოვრებ გ. ხ-შვილსა და გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა ყაჩაღურად თავს დასხმოდა კასპის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ვა. კ-შვილის ოჯახს. დაახლოებით 22.00 საათზე ისინი, შეიარაღებულები გადაჭრილი თოფითა და დანებით, თავს დაესხნენ ვა. და ვე. კ-შვილებს, რომლებსაც შეუკრეს ხელები და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მიაყენეს სხეულის სხვადასხვა დაზიანება, წაიღეს ფული და ოქროს ნივთები, აგრეთვე, «მოტოროლას» და «სიმენსის» მარკის ორი მობილური ტელეფონი, რითაც დაზარალებულ ვა. კ-შვილს მიაყენეს 360 ლარის, ვე. კ-შვილს - 750 ლარის, ხოლო რ. კ-შვილს - 356 ლარის ზიანი. სულ მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1466 ლარი.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 მარტის განაჩენით ზ. ო-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. ამასთან, მსჯავრდებულ ზ. ო-შვილს დაზარალებულების - ვა., ვე. და რ. კ-შვილების სასარგებლოდ დაეკისრა 1466 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. ო-შვილმა. იგი თავისი საჩივრით ითხოვდა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 მარტის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ აღნიშნული განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება: იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებებით ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის შემცირდა

კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა, ამასთან, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემადგენლობა თავისთავად მოიცავს იმავე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული ქმედების შემადგენლობას, მსჯავრდებული ზ. ო-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. იმავე განაჩენით დაზარალებულების მიერ სამოქალაქო სარჩელის წარმოდგენლობის გამო სამოქალაქო სარჩელის საკითხი დარჩა განუხილველი, ხოლო დაზარალებულებს - ვა., ვე. და რ. კ-შვილებს განემართათ, რომ უფლება აქვთ, იდავონ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ო-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მის მიმართ გამამართლებელ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაც მას წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზ. ო-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, აგრეთვე, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადებოდა ზ. ო-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ზ. ო-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება ზ. ო-შვილის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად, რის გამოც არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამვე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რადგან, მართალია, ახალი კანონით აღნიშნული ქმედებისათვის, კერძოდ, ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის შემცირდა სასჯელის მაქსიმალური ზღვარი, მაგრამ იმავდროულად გაიზარდა სასჯელის მინიმალური ზღვარიც, ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავლენას ვერ ახდენს ზ. ო-შვილის მიმართ დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომაზე, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება არ შეიძლება დააკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), რის შედეგადაც მსჯავრდებული ზ. ო-შვილი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და იმავე კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და საბოლოოდ მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე

მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (მითითებული რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ზ. ო-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#416-აპ

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. დ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ჭ-შვილისა და მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ზ-აიას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით:

გ. ჩ-ავას მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

გ. ჩ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის მეოთხე ნაწილით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 276-ე მუხლის მესამე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 128-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ გ. ჩ-ავას სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 7500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად და გ. ჩ-ავას მის სასარგებლოდ დაეკისრა 14000 ლარის გადახდა.

დაზარალებულ ე. ფ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა მთლიანად და გ. ჩ-ავას მის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 ლარის გადახდა.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, გ. ჩ-ავას სასჯელის ვადაში ჩაეთვალა საქმის სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და მისი მოხდა დაეწყო 2007 წლის 1 თებერვლიდან - დღიდან მისი დაკავებისა.

გ. დ-ძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

გ. დ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ გ. დ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, გ. დ-ძეს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა საქმის სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და მისი მოხდა დაეწყო 2007 წლის 1 თებერვლიდან, დღიდან მისი დაკავებისა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - გ. ჩ-ავასა და გ. დ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ჩ-ავამ 2005 წლის 31 მარტს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, მიენიჭა კაპრალის წოდება და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე ქვეითი ბრიგადის 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის, მესამე მსუბუქი ქვეითი ასეულის, მეორე ოცეულის, მეორე ათეულის მეტყვამფრქვევედ. გ. ჩ-ავა კონტრაქტის მე-7 მუხლის 7,6 პარაგრაფის თანახმად, იყო რა გაფრთხილებული სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, 2006 წლის 16 ოქტომბერს სამხედრო ნაწილის მეთაურის სათანადო ნებართვისა და ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე დროულად არ გამოცხადდა სამსახურში მოკლევადიანი შვებულებიდან ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით.

2006 წლის 28 დეკემბერს გ. ჩ-ავა დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. დ-ძეს და წინასწარი შეთანხმებით, ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #13\7-ში განთავსებულ მ. გ-ძის კუთვნილ საფთაიქო მაღაზიაში, შესასვლელ კარზე არსებული ბოქლომის დაზიანების გზით შეაღწიეს ფარულად, საიდანაც გაიტაცეს შპს «სანთელის» ქონება - 1500 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები, შავ-თეთრი გამოსახულებიანი, მცირე ზომის ტელევიზორი, ღირებული - 100 ლარად, აკუმულატორის დასამუხტი, ღირებული - 50 ლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, რითაც დაზარალებულ მ. გ-ძეს მიაყენეს 1650 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე აფთაიქიდან გაიტაცეს მ. გ-ძესთან შესანახად მიტანილი, თ. ჭ-შვილის კუთვნილი, სხვადასხვა დასახელების ნივთი, ღირებული - 52 ლარად;

2006 წლის 31 დეკემბერს გ. ჩ-ავამ და გ. დ-ძემ წინასწარი შეთანხმებით, კვლავ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #32-ში განთავსებულ, ინდემწარმე ნ. კ-ძის კუთვნილ სასურსათო მაღაზიაში, სარკმელზე არსებული რკინის გისოსის დაზიანების გზით შეაღწიეს და ფარულად დაეუფლნენ ნ. კ-ძისა და მისი მეუღლის - შ. კ-ძის კუთვნილ, 500 ლარად ღირებულ სხვადასხვა დასახელების პროდუქტებს, 4 ცალ სათევზაო ანკესს, ღირებულს - 120 ლარად, ბარომეტრს, ღირებულს - 70 ლარად, ჯვარს იესო ქრისტეს გამოსახულებით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 690 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 26 იანვარს გ. ჩ-ავამ და გ. დ-ძემ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #39\19-ში მცხოვრებ მ. კ-ძის კუთვნილ დამხმარე სათავსში, სათავსის კარზე არსებული ბოქლომის დაზიანების გზით შეაღწიეს რა უკანონოდ, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ სხვადასხვა დასახელების საოჯახო ნივთებსა და პროდუქტებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. იმავე დღეს გ. ჩ-ავამ და გ. დ-ძემ, უკანონოდ შეაღწიეს რა ქალაქ ქუთაისში, ... ქუჩის #39\13-ში მცხოვრებ ჟ. ფ-შვილის კუთვნილ დამხმარე სათავსში, სათავსის კარზე არსებული ბოქლომის დაზიანების გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ სხვადასხვა დასახელების საოჯახო ნივთებსა და პროდუქტებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2007 წლის 27 იანვარს გ. ჩ-ავამ და გ. დ-ძემ, წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ, ავტოფარეხის კარზე არსებული ბოქლომის დაზიანების გზით, შეაღწიეს ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #9\26-ში მცხოვრები გ. გ-ავას კუთვნილ ავტოფარეხში, დაეუფლნენ «ვაზ-2106» მარკის ავტომანქანაში არსებულ სამსახურებრივ მრგვალ ბეჭედს, «ჯლ-ის» ფირმის ავტომანქანის აკუმულატორს, 200 ლარად ღირებულ «მიცუბის» ფირმის ავტომანქანის აუდიომაგნიტოფონს, ავტოფარეხში არსებულ 14 ლიტრი ტევადობის ალუმინის ვედროს, ღირებულს 20 ლარად, 70 მეტრ ელექტროსადენს, ღირებულს 60 ლარად, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 450 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 9 იანვარს გ. ჩ-ავა აღიჭურვა დანით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. დ-ძეს და ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე არსებულ #9 ბინის წინამდებარე ტერიტორიაზე, შენიშნეს სავალ ნაწილზე მოძრავი, შპს «თანამგზავრ-2005» ფირმის კუთვნილი, «ოპელ-ასტრას» მოდელის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ზ. ა-ავა. მძღოლს მოსთხოვეს გაჩერება, რის შემდეგაც ჩასხდნენ ავტომანქანაში და ზ. ა-ავას სთხოვეს აღმაშენებლის ქუჩაზე გაყვანა, რაზედაც ზ. ა-ავა დათანხმდა და მითითებული ქუჩის მიმართულებით წავიდა. ... ქუჩაზე მსვლელობისას, კერძოდ #21 ბინასთან, თითქოსდა გოგონების გამოყვანის მიზნით, ბოროტმოქმედებმა სთხოვეს მძღოლს ბინის სადარბაზოსთან მისვლა. #19 და #17-ა ბინის სადარბაზოებთან მისასვლელი გზის გავლით ავტომანქანა გააჩერებინეს #17 ბინის ეზოში მდებარე ავტოფარეხთან, რა დროსაც გ. ჩ-ავამ ზ. ა-ავას ხელი მოჰკიდა საყელოში და მოუდერა თანაქონი დანა, ხოლო გ. დ-ძემ გამშვები მექანიზმიდან გამოაძრო ავტომანქანის გასაღები და მწყობრიდან გამოიყვანა ავტომანქანაში დამონტაჟებული რადიოგადამცემი, რის შემდეგაც ზ. ა-ავას მოსთხოვეს ფულის გადაცემა. მძღოლმა მათ გადასცა ფული - 60 ლარის ოდენობით. თანხის სიმცირის გამო გ. დ-ძემ ჩხრეკა დაუწყო ზ. ა-ავას და ჯიბიდან ამოუღო «სიმენსის» ფირმის, 85 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი. თანხის სიმცირით განაწყენებულებმა ზ. ა-ავას დაუწყეს ცემა და დანით თავის არეში მიაყენეს დაზიანება. ცემის შემდეგ გ. დ-ძე გადმოვიდა ავტომანქანიდან და ზ. ა-ავა იძულებით გადაიყვანა ავტომანქანის უკანა სალონში, თავად გ. დ-ძე მოთავსდა მის გვერდით, ხოლო გ. ჩ-ავა დაჯდა საჭესთან, რის შემდეგაც მან ავტომანქანა წაიყვანა ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით. გზაში, ჭავჭავაძისა და ნიკვას ქუჩების გადაკვეთაზე, შეამჩნია საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რის გამოც მოძრაობა გააგრძელა ასათიანის ქუჩის მიმართულებით, გადავიდა ნინოშვილის ქუჩაზე, დაბრუნდა ჭავჭავაძის გამზირზე და გადაჭარბებული სიჩქარით მსვლელობა გააგრძელა ნიკვას ქუჩის მიმართულებით, რა დროსაც ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა,

რითაც დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 29-1 მუხლის მოთხოვნა. იგი აღნიშნულ ქუჩაზე, #18 შენობის წინამდებარე ტერიტორიაზე, ბორდიურთან ახლოს, გზის სავალ ნაწილზე, ავტომანქანით შეეჯახა ქვეითად მოსიარულე ე. ფ-ძეს, რითაც მას მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. მიუხედავად იმისა, რომ გ. ჩ-ავას შეეძლო ე. ფ-ძისათვის დახმარების გაწევა, იგი განსაცდელში მიატოვა, მოძრაობა არ შეწყვიტა და სვლა განაგრძო წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთის მიმართულებით, რის შემდეგაც ნიკვას ქუჩის #36 ბინის სადარბაზოსთან მისასვლელი გზით ავტომანქანით გავიდა სამხრეთის მხარეს არსებულ გზის სავალ ნაწილზე, სადაც მიატოვეს გატაცებული ავტომანქანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულებს - გ. ჩ-ავასა და გ. დ-ძეს განაჩენიდან ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, როგორც ზედმეტად შერაცხული. მათვე განაჩენიდან ამოერიცხათ მითითება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული დამატებითი სასჯელის - 4500 ლარის ოდენობის ჯარიმის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდაზე.

გ. ჩ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის მეოთხე ნაწილით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 276-ე მუხლის მესამე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 128-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ჩ-ავა გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მესამე ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის - 4 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ჩ-ავა გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ გ. ჩ-ავას სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად და გ. ჩ-ავას მის სასარგებლოდ დაეკისრა 14000 ლარის გადახდა.

დაზარალებულ ე. ფ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა მთლიანად და გ. ჩ-ავას მის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 ლარის გადახდა.

გ. დ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ გ. დ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. დ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. დ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; გ. დ-ძისათვის ბრალად შერაცხული ქმედებები არის უსაფუძვლო, უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ არის დადგენილი, ჩაიდინა თუ არა გ. დ-ძემ მასზე შერაცხული დანაშაულები, მის ქმედებას მიცემული აქვს არასწორი კვალიფიკაცია; განაჩენი გამოტანილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით; მიუხედავად იმისა, რომ გ. დ-ძეს საერთოდ არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულები, სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის მოცულობაც არის უკანონო - საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით მას მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, თითქმის მაქსიმუმი, რაც განაჩენის უსამართლობაზე მიუთითებს, უფრო მეტიც: საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოსცა სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, რომლის მიხედვით, თუ პირის მიერ ჩადენილია სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ არ გაიზიარა. ამდენად, განაჩენი უსამართლოა სასჯელის ნაწილშიც.

მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ზ-აია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. დ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი

არის უკანონო, დაუსაბუთებელი; გ. ჩ-ავამ თავი ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; მან თავი არ ცნო დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; გ. ჩ-ავამ განმარტა, რომ მართო მან ჩაიდინა 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება და მოქმედებდა მართო; მანვე სასამართლოს განუმარტა, რომ სწორედ მას მიჰქონდა და ინახავდა ნაქურდალ ნივთებს ბინაში და ამის შესახებ გ. დ-მემ არაფერი იცოდა; საქმეში არ მოიპოვება არანაირი ბრალდება იმის დასადასტურებლად, რომ გ. ჩ-ავას ჰყავდა თანამზრახველი და რომ ის ვინმე სხვა პირთან ერთად ახორციელებდა დანაშაულებრივ ქმედებას; ბრალდებას არ გააჩნია და სასამართლო პროცესზე არ გამოკვლეულა არანაირი მტკიცებულება, რაც ბრალდებას ამ ნაწილში დაადასტურებდა; რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლს, საქმეში არ მოიპოვება ერთი მოწმის ჩვენებაც კი, რომელიც გ. ჩ-ავას მიერ ამ დანაშაულის ჩადენას პირდაპირ დაადასტურებდა; უკანონოა სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის მოცულობა - საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით მას მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, თითქმის მაქსიმუმში, რაც განაჩენის უსამართლობაზე მიუთითებს, უფრო მეტიც: საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოსცა სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, რომლის მიხედვით, თუ პირის მიერ ჩადენილია სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ არ გაიზიარა. ამდენად, განაჩენი უსამართლოა სასჯელის ნაწილში; განაჩენი უსამართლოა ასევე დამატებითი სასჯელის ნაწილშიც. გ. ჩ-ავას არანაირი შემოსავლის წყარო და ქონება არ გააჩნია; გარდა ამისა, საქმეში არ მოიპოვება არანაირი დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა, რომ ის არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში. ამრიგად, სასამართლოს არ გაურკვევია, საერთოდ შეეძლო თუ არა მისთვის 3000 ლარის ჯარიმის დაკისრება და თუ შეეძლო, არ გაუთვალისწინებია კანონით სავალდებულო გარემოებები ჯარიმის მოცულობის დადგენისას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით: დაზარალებულების - ე. ფ-ძის, ზ. ა-ავას, ნ. კ-ძის, ი. კაპანაძის, ვ. კვეციას, გ. გ-ავას, ჟ. ფ-შვილის, მ. გ-ძის ჩვენებებით, მოწმების - ს. ჯ-ძის, ნ. ჯ-ძის, მ. უ-ებას ჩვენებებით, პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, საცხოვრებელი ბინისა და ავტომანქანის დათვალეირების ოქმებით, საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალეირებისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო, კომპლექსური ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური, ოდოროლოგიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულების - გ. ჩ-ავასა და გ. დ-ძის მიერ მათზე შერაცხული დანაშაულის ჩადენა. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გ. ჩ-ავა და გ. დ-ძე უსაფუძვლოდ არიან მსჯავრდებული სასამართლოს მიერ, რადგან ასეთი დასკვნისთვის საქმის მასალებში საფუძველი არ მოიპოვება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენში მსჯავრდებულების სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულების - გ. ჩ-ავასა და გ. დ-ძის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ ძალადობის გამოყენების მუქარას და არა ძალადობას. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით და ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულებს შეუმსუბუქდეთ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის ზომა, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 388-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ გ. დ-ძეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს და მიესაჯოს 10

წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ გ. დ-მეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 15 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ გ. ჩ-ავას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 388-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ გ. დ-მეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ გ. დ-მეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#254-აპ

23 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ურის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 აგვისტოს განაჩენით გ. გ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტებით 10 წლით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი - 3 წლით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. გ. გ-ურს საბოლოოდ განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 10 მარტიდან, და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გ. გ-ურმა სადგომში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მანვე ჯგუფურად და არაერთგზის ჩაიდინა ყაჩაღობა;

მანვე გაიტაცა პირადობის დამადასტურებელი და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი;

მანვე გაუფრთხილებლობით დააზიანა სხვისი ნივთი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მანვე, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება.

ყოველივე კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე დროის შუალედში გ. გ-ურმა უკანონოდ შეაღწია დაბა ... მდებარე, ჯ. ც-ავას ავტოფარეში და ფარულად დაეუფლა #371418 სანადირო თოფს, მის ვაზნებს და მიიმალა, რითაც ჯ. ც-ავას მიაყენა 200 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

2005 წლის 18 ივნისს გ. გ-ური დაუკავშირდა ბ. ო-შვილს და განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. იმავე დღეს, დაახლოებით 17 საათზე ისინი, სახეზე ნიღაბფარებულები მივიდნენ ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც გ. გ-ურს ჰქონდა გამოსაყენებლად უვარგისი გადაჭრილი თოფი, ხოლო ბ. ო-შვილს ასეთივე ცეცხლსასროლი იარაღი. მათ შენიშნეს ფ. ც-ძის «ოპელ-ომეგას» მარკის ავტომანქანა, რომლის გვერდით იმყოფებოდნენ ფ. ც-ძე და ი. თ-ძე. ბოროტმოქმედებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოითხოვეს ფული და ძვირფასეულობა. ისინი დაეუფლნენ მაჯის საათს, მობილურ ტელეფონს და ორ ოქროს ბეჭედს. ამასთან, ი. თ-ძეს წაართვეს ხელჩანთა, რომელშიც იდო 65 ლარი და სხვადასხვა პირადი დოკუმენტი. თავდამსხმელებმა მისაკუთრების მიზნით გაიტაცეს ავტომანქანა, რომლის საჭესთან დაჯდა გ. გ-ური. დაბა ... მიმართულებით მოძრაობისას მათ მოახდინეს ავტოავარია, კერძოდ, დაეჯახნენ «ვაზ-21011» მარკის ავტომანქანას, შემდეგ კი - სავაჭრო ჯიხურს. ავტომანქანა დაზიანდა და მის მფლობელს მიადგა 2000 ლარის ოდენობის ზიანი. ამ ფაქტს შეესწრო შსს-ს დაბა ... პოლიციის განყოფილების ინსპექტორი ა. ც-შვილი, რომელიც დახმარების აღმოსაჩენად გაჩერებულ მანქანასთან მივიდა და დაინახა გ. გ-ური და ბ. ო-შვილი, რომლებსაც კარგად იცნობდა. ამ უკანასკნელებმა ა. ც-შვილს მიუშვირეს გადაჭრილი თოფები, რა დროსაც გ. გ-ურმა სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ იარაღი იყო გაუმართავი და გასროლა არ მოხდა. ა. ც-შვილმა მოახერხა და ბ. ო-შვილს იარაღი წაართვა, ხოლო გ. გ-ურის იარაღი ჭიდილისას დავარდა ავტომანქანაში. ბოროტმოქმედებმა მოახერხეს მიმალვა.

იმავე წლის 16 აგვისტოს გ. გ-ური, ბ. ო-შვილი და დაუდგენელი პირი, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ყაჩაღურად თავს დაესხნენ დ. კ-ძეს, ლ. ხ-ძეს, ა. და ნ. მ-შვილებს, ნ. რ-შვილს და გ. მ-შვილს. გ. გ-ურს ჰქონდა გადაჭრილი თოფი, ხოლო მის თანამზრახველებს - პისტოლეტები. გ. მ-შვილი გაიქცა, რა დროსაც გ. გ-ურმა იარაღიდან გაისროლა ჰაერში და იქ მყოფებს უბრძანა, არ განმრეულიყვნენ. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა სახეზე აიფარეს ნიღბები და გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები, მათ შორის - დ. კ-ძის მობილური ტელეფონი და საფულე, რომელშიც იდო 10 ლარი და ავტომანქანის საბუთები. ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ დ. კ-ძის ავტომანქანით.

2006 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 07.³⁰ საათზე გ. გ-ური და ბ. ო-შვილი შევიდნენ მეტროს სადგურ «ახმეტელთან» მდებარე მაღაზიაში, სადაც გამყიდველს, გ. ბ-ძეს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 700 ლარი, 1500 ლარის ღირებულების სიგარეტი და მობილური ტელეფონის 215 ლარის ღირებულების საკრედიტო ბარათები, რის შემდეგ მიიმალნენ.

იმავე წლის 28 სექტემბერს, საღამოს, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გ. გ-ური ყაჩაღურად თავს დაესხა დ. ნ-ძესა და ე. მ-იას, რომლებსაც პისტოლეტის გამოყენების მუქარით გასტაცა მობილური ტელეფონები, მაჯის საათი, საფულე, ვერცხლის ბეჭედი, 70 ლარი და მიიმალა.

2007 წლის 19 იანვარს გადაჭრილი თოფითა და პისტოლეტით შეიარაღებული გ. გ-ური და დაუდგენელი პირი, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხნენ ლ. კ-აკსა და მ. პ-ურს. ამ უკანასკნელს გ. გ-ურმა შეუკრა ხელები, სხვა ნივთებთან ერთად გასტაცა საფულე, რომელშიც იდო ავტომანქანის ტექპასპორტი, მართვის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. ამის შემდეგ გ. გ-ურმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და გაადვილების მიზნით მ. პ-ური მოათავსა ავტომანქანის საბარგულში. დაუდგენელმა პირმა ლ. კ-აკს წაართვა მობილური ტელეფონი და 20 ლარი. თავდამსხმელები მ. პ-ურის ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა - ლ. კ-ძემ და ლ. ა-ურმა. ამ უკანასკნელმა მოითხოვა გ. გ-ურის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად, გ. გ-ური გათავისუფლდა სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელისაგან. მასვე გაუნახვერდა ამავე კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 24 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულის ადვოკატი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება გ. გ-ურმა ქურდობა ჩაიდინა ჯგუფურად და არაერთგზის. ამასთან, არ არსებობს რაიმე ცნობა, რაც დაადგინდა თოფის ღირებულებას. ასევე არ დგინდება, რომ ფ. ც-ძეს ავტომანქანის დაზიანებით მიადგა 1200 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი. ლოგიკას მოკლებულია ნ. მ-შვილისა და ნ. რ-შვილის ჩვენებები იმის თაობაზე, რომ გ. გ-ური ამოიცინეს მოტეხილი კბილით, რადგან მათ წინასწარი გამოძიებისას განმარტეს, რომ თავდამსხმელებს სახეზე აფარებული ჰქონდათ ნიღბები. სასამართლომ გამოიჩინა მიკერძოება, რასაც ისიც ადასტურებს, რომ გ. გ-ურის ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის შესაბამისად. 2006 წლის 15 იანვარს ჩადენილ ყაჩაღობას გ. გ-ური არ აღიარებს და ბრალდების ამ ეპიზოდში ბრალდების მხარე ეყრდობა მხოლოდ გ. ბ-ძის არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს. მსჯავრდებულის

მიერ სააკველიციო სასამართლოში მიცემული განმარტება მისი უდანაშაულობის შესახებ დასტურდება საქმის მასალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გ. გ-ურის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. გ-ური მსჯავრდებულია სადგომში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და არა ჯგუფურად და არაერთგზის ქურდობის ჩადენისათვის, როგორც ეს საჩივარშია აღნიშნული.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულებმა დ. ნ-ძემ და ე. მ-იამ განმარტეს, რომ ყაჩაღურად თავს დაესხა გ. გ-ური, რომელიც უნიღბოდ იყო და ხელთ ჰქონდა «თთ-ს» მარკის პისტოლეტი. სხვა ნივთებთან ერთად გასტაცეს საბუთებიც, კერძოდ - ავტომანქანის ტექპასპორტი და მართვის მოწმობა.

დაზარალებულ ფ. ც-მის ჩვენებით ირკვევა, რომ თავდამსხმელებს ჰქონდათ გადაჭრილი თოფები. მათ გაჩხრიკეს ი. თ-მის ჩანთა და გასტაცეს სხვადასხვა ნივთები. გატაცებულ ავტომანქანაში, რომლის დაზიანებით 1200 ლარის ოდენობის ზიანი მიაღდა, აღმოჩნდა ნიღბები და გადაჭრილი თოფები.

ანალოგიური ჩვენება მისცა დაზარალებულმა ი. თ-ძემ, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ მისი ჩანთიდან გადმოყარეს და გაიტაცეს 65 ლარი და სხვადასხვა საბუთები.

ა. ც-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ ფ. ც-მის ავტომანქანის საჭესთან იჯდა გ. გ-ური, რომელმაც მიუშვირა გადაჭრილი თოფი და სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ გასროლა არ მოხდა. გ. გ-ურმა და ბ. ო-შვილმა, რომლებსაც იცნობდა, მოახერხეს მიმალვა.

ის გარემოება, რომ გ. გ-ური და ბ. ო-შვილი იმყოფებოდნენ გატაცებულ ავტომანქანაში, დადგენილია მოწმე ზ. ა-შვილის ჩვენებითაც.

დაზარალებულ მ. კ-ურის ჩვენებებით დადგენილია, რომ მას და ლ. კ-აკს ყაჩაღურად თავს დაესხა ორი პირი, რომლებმაც სხვა ნივთებთან ერთად გასტაცეს ავტომანქანის ტექპასპორტი და პირადობის მოწმობა. საქმის წინასწარი გამოძიებისას ამოიციო ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, რომელსაც კბილი ჰქონდა მოტეხილი.

ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმის შესაბამისად, მ. კ-ურმა ამოიციო გ. გ-ური და კატეგორიულად განაცხადა, რომ სწორედ იგი იყო ერთ-ერთი თავდამსხმელი.

დაზარალებულმა გ. ბ-ძემ წინასწარი გამოძიებისას, მომხდარი ფაქტის დღესვე მიუთითა, რომ შეეძლო თავდამსხმელთა ამოცნობა. იმავე დღეს მან დამსწრეთა მონაწილეობით ამოიციო გ. გ-ური, როგორც ერთ-ერთი ბოროტმოქმედი. სასამართლო სხდომაზე მან დაადასტურა აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებათა სისწორე და მიუთითა, რომ თავდამსხმელებს სახეზე ნიღბები არ ჰქონდათ და ერთ-ერთს კბილები ჰქონდა დაზიანებული.

პალატა აღნიშნავს, რომ გ. ბ-მის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია და მათ ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

დაზარალებულ ნ. რ-შვილის განმარტებით, თავდამსხმელებმა ნიღბები მათთან მიახლოების შემდეგ გაიკეთეს. ერთ-ერთს კბილი ჰქონდა დაზიანებული და ამოიციო საქმის წინასწარი გამოძიებისას. ნ. რ-შვილის ჩვენების ობიექტურობა დასტურდება ამოცნობის ოქმითაც.

ნ. მ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ ლ. ხ-ძეს წაართვეს საფულე და ამ უკანასკნელმა სთხოვა პირადობის მოწმობის დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ტარების ბრალდების ეპიზოდისა, გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, რომლებიც მოპოვებული და გამოკვლეულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

გ. გ-ურის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით ვერ იქნა ამოღებული გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი. ბალისტიკური ექსპერტიზის 2005 წლის 9 ივლისის ერთ-ერთი დასკვნა, რაც მითითებულია გასაჩივრებულ განაჩენში, ეხება #78160 თოფს, რომელიც ჰქონდა ბ. ო-შვილს ფ. ც-ძესა და ი. თ-ძეზე ყაჩაღურად თავდასხმისას და რომლის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ტარებისათვის იგი მსჯავრდებულია. რაც შეეხება გ. გ-ურის #371418 თოფს, იგი ტექნიკურად გაუმართავია და ბრალდების ამ ეპიზოდში გ. გ-ურის ქმედება მართებულად არ დაკვალიფიცირდა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ პირის ქმედება სსკ-ის 236-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი ან აშკარად იკვეთება მისი გამოყენების კვალი, რაც გულისხმობს ტყვიის გულას ან მასრის და ა.შ. ამოღებას. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი მტკიცებულება ვერ იქნა მოპოვებული. იარაღები, რომლებზეც მიუთითებენ დანაშაულის თვითმხილველები, არ ამოღებულა (გარდა გ. გ-ურის გამოსაყენებლად უვარგისი გადაჭრილი თოფის და ბ. ო-შვილის ასეთივე ცეცხლსასროლი იარაღისა), შესაბამისად, არ გარკვეულა

მათი ვარგისიანობის საკითხი და არც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აშკარა კვალი იკვეთება. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი გ. გ-ურის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან არ არსებობს არცერთი უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მსჯავრდებულის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს გ. გ-ურის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ურის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენიდან გ. გ-ურის მიმართ ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში გ. გ-ურის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. გ-ურს საბოლოოდ განესაზღვროს 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყ ა ჩ ა ლ ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

#2193-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. ნ-შვილის, ხ. ხ-ავასა და ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. ლ-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენზე, რომლითაც გ. ვ-ძე და ზ. ფ-შვილი ცნობილ იქნენ ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის «ბ» და «ე» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), ხოლო ზ. ფ-შვილი, ასევე, სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის განაჩენით:

გ. ვ-ძე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის «ბ» (მოქმედი რედაქცია) და 179-ე მუხლის II ნაწილის «ე» (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. ფ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის «ბ» (მოქმედი რედაქცია), 179-ე მუხლის II ნაწილის «ე» (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I, II ნაწილებით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შეკრების პრინციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 14 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2005 წლის 7 აგვისტოდან.

განაჩენით გ. ვ-ძესა და ზ. ფ-შვილს მსჯავრი დაედოთ ყაჩაღობაში, ე.ი. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ჯგუფურად, იმის მიერ, ვინც ორჯერ ნასამართლევა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებისათვის.

ზ. ფ-შვილს, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა, ტარებისათვის. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის სამხედრო სასამართლოს 1997 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ზ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის I პუნქტით და 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის I პუნქტით (1961 წლის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგოდ ქმედების ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისის განაჩენით - საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის I და IV პუნქტებით, სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და სასჯელად განესაზღვრა - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის პერიოდში ზ. ფ-შვილმა კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც 2002 წლის 8 თებერვლის თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის II ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 21 ნოემბრის განაჩენით გ. ვ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის III ნაწილითა და 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (1961 წლის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგოდ ქმედების ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1998 წლის 12 ნოემბერს სამგორის რაიონის სასამართლოს მიერ - საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის II ნაწილით, 152-ე მუხლის II ნაწილის I პუნქტით, 212-ე, 236-ე და 243-ე მუხლებით და სასჯელად განესაზღვრა - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 6 აგვისტოს ზ. ფ-შვილმა და გ. ვ-ძემ განიზარხეს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ რომელიმე მოქალაქის პირად ქონებას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მათ თბილისში, მოსკოვის გამზირზე გააჩერეს «ოპელ-ომეგას» მარკის კერძო ტაქსი და მძღოლს - ხ. ძ-შვილს სთხოვეს ... ქუჩაზე გაყვანა, რაზედაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. ... ქუჩაზე მისვლისას ხ. ძ-შვილს #419 კორპუსის უკან გააჩერებინეს ავტომანქანა, რა დროსაც ზ. ფ-შვილივე ამოიღო მის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შექმნილი «ვოლტრა-პროფესიონალის» მოდელის უნომრო ატიპური პისტოლეტი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, კეფის არეში მიაბჯინა ხ. ძ-შვილს და მოთხოვეს ფული და პირადი ნივთები, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი დაემუქრნენ მოკვლით. მათი მუქარა ხ. ძ-შვილმა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხედ აღიქვა და თავდამსხმელებს გადასცა «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი და თანხა 50 ლარის ოდენობით. გ. ვ-ძე და ზ. ფ-შვილი ცდილობდნენ რა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ისინი და დააკავეს, რა დროსაც გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი, ხ. ძ-შვილის ფულადი თანხა და «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. ლ-იამ და მსჯავრდებულმა - ზ. ფ-შვილმა და გ. ვ-ძემ.

აპელანტი - თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ზ. ლ-ია მიიჩნევს, რომ აღნიშნული განაჩენი არის ლმობიერი, დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებულების პიროვნებებს და ითხოვა მსჯავრდებულებს - ზ. ფ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვროს - 20 წლით, ხოლო გ. ვ-ძეს - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აპელანტი მსჯავრდებულები - ზ. ფ-შვილი და გ. ვ-ძე საჩივარში აღნიშნავენ, რომ აღნიშნული განაჩენი არის უკანონო, მათ არანაირ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღიათ, თავდასხმის დროს იმყოფებოდნენ სხვაგან და ითხოვეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ი. ნ-შვილმა, ხ. ხ-ავამ და ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. ლ-იამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულების ადვოკატები - ი. ნ-შვილი და ხ. ხ-ავა საკასაციო საჩივრებით ითხოვენ უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას, საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად მსჯავრდებულების გამართლებასა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას.

პროკურორი ზ. ლ-ია საჩივრით ითხოვს ლმობიერების მოტივით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას, საქმის დაბრუნებას ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მისი

გამკაცრების მიზნით და ზ. ფ-შვილისათვის - 20 წლით, ხოლო გ. ვ-ძისათვის - 14 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულების ადვოკატების - ი. ნ-შვილისა და ხ. ხ-ავას საკასაციო საჩივრების მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩნის გაუქმების, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად მსჯავრდებულების გამართლებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

პალატა არ ეთანხმება გ. ვ-ძის ადვოკატის - ი. ნ-შვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქმის გ. ვ-ძის უდანაშაულობა მტკიცდება დაზარალებულ ხ. ძ-შვილის ჩვენებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ დამყაჩაღებლების აღწერილობა არ ემთხვევა გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის აღწერილობას. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა ფსიქიკური ზეწოლით აიძულეს იგი მიეცა ყალბი ჩვენება, რაც დაზარალებულმა განაცხადა სასამართლოში საქმის განხილვისას. დაზარალებულმა აღნიშნა, რომ მსჯავრდებულების მხრიდან არავითარი მუქარის წერილი არ მიუღია და გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის იგი არ დაუყაჩაღებიათ.

პალატა, ასევე არ ეთანხმება ზ. ფ-შვილის ადვოკატის - ხ. ხ-ავას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, საქმე განხილულია საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, სასამართლო სხდომაზე არ ჩატარებულა საქმის გარემოებათ ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა, სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა ცალმხრივად, წინასწარი და სასამართლო გამოძიების დასკვნები აშკარად შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

პალატა ასევე არ იზიარებს პროკურორ ზ. ლ-იას საჩივრის მოთხოვნას ლმობიერების მოტივით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმების, საქმის დაბრუნების ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მისი გამკაცრების მიზნით და ზ. ფ-შვილისათვის - 20 წლით, ხოლო გ. ვ-ძისათვის - 14 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: 2005 წლის 7 აგვისტოს პირადი ჩხრეკის ოქმებით, 2005 წლის 7 აგვისტოს ამოღების ოქმით, ნივთმტკიცებებით, ბალისტიკური ექსპერტიზის #37-144/ზ დასკვნით, მოწმეების - გ. მ-შვილის, ა. ნ-ძის, მ. კ-ავას, გ. გ-იას, კ. გ-უას, ნ. ც-ელის ჩვენებებით, დაზარალებულ ხ. ძ-შვილის ჩვენებით და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულებისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 21 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებული გ. ვ-ძე სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 1997 წლის 7 ნოემბერს, შეწყალების აქტის საფუძველზე, ხოლო თბილისის სამხედრო სასამართლოს 1997 წლის 18 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებული ზ. ფ-შვილი სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 1999 წლის 24 მაისს, ასევე შეწყალების აქტის საფუძველზე. იმ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, რომლებითაც გ. ვ-ძეს და ზ. ფ-შვილს მსჯავრი დაედოთ წარმოდგენენ მძიმე კატეგორიის დანაშაულებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით დადგენილად არის მიჩნეული, რომ გ. ვ-ძემ და ზ. ფ-შვილმა ხ. ძ-შვილზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს 2005 წლის 6 აგვისტოს. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის III და VI ნაწილების საფუძველზე: «მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლება - სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ, ხოლო გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.»

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულებს პირველი ნასამართლობები გაქარწყლებული აქვთ და შესაბამისად გ. ვ-ძის და ზ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტიდან (2000 წლის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედ 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე.

პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, გ. ვ-ძის და ზ. ფ-შვილის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლით დანიშნული სასჯელები უნდა შემცირდეს 6-6 თვით და გ. ვ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზ. ფ-შვილს - 14 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. ნ-შვილის, ხ. ხ-ავასა და ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. ლ-იას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულების გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

გ. ვ-ძისა და ზ. ფ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის «ე» ქვეპუნქტიდან (2000 წლის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს 179-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე (მოქმედი რედაქცია).

გ. ვ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზ. ფ-შვილს - 14 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა; სასჯელის შემცირება

განჩინება

#552-აპ

10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. წ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით:

ჯ. წ-ური საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

ჯ. წ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილიდან მოქმედი რედაქცია) - 11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5000 ლარი, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 25 აგვისტოს რედაქცია, 2006 წლის 28 აპრილიდან მოქმედი რედაქცია) - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარი, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას მიესაჯა 18 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 10000 ლარი. ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი, 9 თვე, 20 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით, 1 თვითა და 20 დღით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 10000 ლარი. ჯ. წ-ურს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 ოქტომბრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ჯ. წ-ურის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

1995 წლის 9 ოქტომბერს, დილის საათებში, ქ. ... მცხოვრები, ძებნილი, ჯ. წ-ური ქუჩაში შეხვდა ამავე ქალაქში მცხოვრებ ხ. კ-შვილს, რომელიც მოძრაობდა მამის - ო. კ-შვილზე გაპიროვნებული, დედოფლისწყაროს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კუთვნილი ავტომანქანა გაზ-52, სახელმწიფო #3212 გან-ით. ჯ. წ-ურმა გ. კ-შვილს შესთავაზა, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ სიღნაღის რაიონის სოფ. ... მახლობლად არსებულ სოფ. ... კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო, მრავალდარგოვან საწარმო-კომერციულ ფირმა „სამების» საწყობს და გაეტაცათ ხორბალი.

აღნიშნულზე გ. კ-შვილი დათანხმდა და მოილაპარაკეს, რომ იმ სადამოსვე შეხვედებოდნენ და თავიანთ განზრახვას სისრულეში მოიყვანდნენ. დათქმულ დროს გ. კ-შვილი მამამისზე გაპროვინებული ავტომანქანით მივიდა ჯ. წ-ურთან სახლში, რომელმაც დაიყოლია მესამე, გამოძიებით დაუდგენელი პირი, სახელად „გ.“. ისინი შეიარაღებულები იყვნენ ლულაგადაჭრილი თოფებით, პისტოლეტებითა და ხელყუმბართ. შემდეგ ეს პირები ჩავიდნენ სოფ. . . ., სადაც შეუერთდათ მეოთხე, გამოძიებით დაუდგენელი პირი და ყველანი წავიდნენ მარცვლეულის საწყობისაკენ. 23.00 საათზე ჯ. წ-ური და ვინმე „გ.“ შევიდნენ საწყობის ღამის დარაჯის - ჰ. ყ-ოვის ოთახში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით, რაც საშიში იყო სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის, ჰ. ყ-ოვსა და მის შვილს - ი. ყ-ოვს გაუკრეს ხელები, რის შემდეგაც საწყობის ტერიტორიაზე შეიყვანეს ავტომანქანა, გატეხეს ბოქლომი, რომლითაც დაკეტილი იყო საწყობის კარი და გაიტაცეს ტომრებში ჩაყრილი ხორბალი, რომელიც გ. კ-შვილმა წაიღო და ჩამოცალა . . . , ლ. ს-შვილის ბინაში. აღნიშნულის შემდეგ იგი კვლავ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, სადაც ელოდებოდნენ თანამზრახველები და ტომრებში ჩაყრილი დარჩენილი ხორბალი გაიტაცეს. სულ მათ გაიტაცეს ფირმა „სამების“ კუთვნილი, დიდი ოდენობის - 65 ტომარა, 4487 კილოგრამი ხორბალი, ღირებული 1682 ლარად და 62 თეთრად და მოქალაქეთა კუთვნილი, 65 ტომარა, თითოეული 32 ლარად და 50 თეთრად ღირებული ხორბალი. მათთვის ცნობილი არ იყო, რომ ეს ხორბალი ეკუთვნოდა ფიზიკურ პირებს.

1995 წლის 30 ნოემბერს ჯ. წ-ური დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი. ჯ-შვილს, ლ. კ-შვილს, დ. ვ-ურს და თავის თანასოფელს - ხ. წ-ურს. ლ. კ-შვილმა შესთავაზა და დაითანხმა იმავე ღამეს, ქონების დაუფლების მიზნით, თავს დასხმოდნენ თელავის რაიონის სოფ. . . . მცხოვრებ ნ., იგივე რ. დ-შვილის საცხოვრებელ ბინას. ამისათვის დ. ვ-ურმა ნიღბებისათვის თავის ჯემპრს გადააჭრა სახელოები, ასევე შინიდან გამოიტანა ლ. კ-შვილის კუთვნილი, პ#14903 ორლულიანი «ტოზ0345» მოდელის 12-კალიბრიანი გადაჭრილი ცეცხლსასროლი იარაღი და მცირეკალიბრიანი გადაჭრილი შაშხანა, რომელსაც ეს უკანასკნელი ინახავდა უკანონოდ და ატარებდა, ასევე, საოჯახო დანა. ლ. კ-შვილმა თავისი ბინიდან აიღო ყელზე მოსახვევი „კაშნე“ ნიღბისათვის. ამის შემდეგ ხუთივე ფეხით წავიდა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. არხის პირზე გავლით ნ. (რ.) დ-შვილის სახლისკენ მსვლელობის დროს შეთანხმდნენ, რომ ლ. კ-შვილი დაუძახებდა ნ. დ-შვილს. ბინასთან მისვლის შემდეგ, შეთანხმებისამებრ, ლ. კ-შვილმა დაუძახა ნ.-ს. დამახეზაზე გამოიხედა ნ. დ-შვილის შვილმა, რომელსაც ლ. კ-შვილმა მოსთხოვა სიგარეტის მიყიდვა. ბავშვის სახლში შებრუნებისთანავე, ჯ. წ-ურმა, ლ. კ-შვილმა, დ. ვ-ურმა, ი. ჯ-შვილი და ხ. წ-ურმა აიფარეს ნიღბები, მოიმარჯვეს აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღები - გადაჭრილი ორლულიანი თოფი, გადაჭრილი მცირეკალიბრიანი შაშხანა, ასევე, დანები. კართან დადგა ი. ჯ-შვილი, ხოლო ჯ. წ-ური, ლ. კ-შვილი, დ. ვ-ური და ხ. წ-ური შევიდნენ ოთახში, სადაც იყვნენ ნ. დ-შვილი და მისი მცირეწლოვანი ორი ბავშვი. შესვლისთანავე მათ მოითხოვეს ფული, იარაღი და ოქროული, რა დროსაც ლ. კ-შვილმა ნ. დ-შვილს რამდენჯერმე ჩაართვა გადაჭრილი თოფი და მიაყენა თვალბუდისა და თვალის დაჭევილობა, სისხლნაჟღერებები შუბლის, გულმკერდისა და მარჯვენა მხარის მიდამოში, რამაც გამოიწვია ნ. დ-შვილის ტვინის შერყევა და სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა. შემდეგ თავდამსხმელებმა დაიწყეს ბინის ჩხრეკა, თან სცემდნენ ნ. დ-შვილის მცირეწლოვან შვილებს - დი. და დ. დ-შვილებს. ცემის შედეგად დი. დ-შვილს მიაყენეს სხეულის განზრახ მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, ხოლო დ. დ-შვილს - სხეულის განზრახ მსუბუქი ხარისხის დაზიანება სისხლნაჟღერებებით მარცხენა ყვრიმალის მიდამოში. ნ. დ-შვილის ბინაში დაჰყვეს დაახლოებით 30 წუთს და ბინიდან გაიტაცეს 180 ლარად ღირებული, თურქული წარმოების მოკლე ქურთუკი, 50 ლარად ღირებული, მამაკაცის ე.წ. «ბათინკები», სიგარეტები: 15 ბლოკი „პრეზიდენტი“, „როდოპი“, „დოვალსი“, „ბონდი“, 10 ლარად ღირებული, „დელის“ ფირმის, რუსეთის წარმოების ბავშვის კომპიუტერი; 7 ცალი „როივერის“ ფირმის მაგნიტოფონის კასეტა, ღირებული 30 ლარად; 15 ლარად ღირებული, მცირე ზომის, ერთკასეტაანი ჯიბის მაგნიტოფონი, თავის ყურსასმენით; წითელი ფერის, 100 ლარად ღირებული ხანჯალი, რაც შემდეგ შესანახად მიიტანეს ა. მ-ურის ბინაში, ისე, რომ არ უთქვამთ მისთვის, თუ რა ნივთი იყო. ყაჩაღობის შემდეგ ისინი მიიმალნენ.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ჯ. წ-ური საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ჯ. წ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 5000 ლარი. დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი, 9 თვე, 19 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით, 1 თვითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებული ჯ. წ-ური საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, სასამართლოს საქმის განხილვისას არ დაუკითხავს ის პირები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია; სასამართლომ არასწორად მიიჩნია

პრეიუდიციული ძალის დოკუმენტად სიღნაღისა და თელავის რაიონული სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები, რადგან აღნიშნული განაჩენები გამოტანილია მისი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო ნორმების დაცვით. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად. ჯ. წ-ურის დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება და იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, დაზარალებულების - ჰ. ყ-ოვისა და ი. ყ-ოვის, ნ. ყ-შვილის, ნ. დ-შვილის, ლ. დ-შვილის, დი. და დ. დ-შვილების ჩვენებებით, მოწმეების - გ. ს-შვილის, ლ. ს-შვილის, ნ. ჯ-შვილის, ვ. მ-ოვის, ა. მ-ურის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, ნივთმტკიცების ამოღების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ჯ. წ-ურის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია.

რაც შეეხება ჯ. წ-ურის მიმართ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატა, დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, დანაშაულის მოტივის, ქმედების განხორციელების სახისა და ხერხის, მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებითა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულ ჯ-ურის მიერ დანაშაულის ჩადენიდან გასულია 13 წელი, თვლის, რომ მას დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს და მიესაჯოს 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი, 9 თვე, 19 დღე და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ჯ. წ-ურს სასჯელის ათვლა უნდა დაეწყოს 2007 წლის 11 ოქტომბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განაჩენი შეიცვალოს:

მსჯავრდებულ ჯ. წ-ურს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს და მიესაჯოს 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი, 9 თვე, 19 დღე და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ჯ. წ-ურს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს 2007 წლის 11 ოქტომბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#469-აპ

11 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზუკირი მოსმენის გარეშე განიხილა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. გ-შვილის, მსჯავრდებულ ლ. ქ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის, მსჯავრდებულების - დ.

დ-მისა და ა. გ-ნიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ს-შვილის, მსჯავრდებულ დ. დ-მის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის განაჩენით:

დ. დ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 28 წლით თავისუფლების აღკვეთა. დ. დ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 30 აგვისტოდან;

ლ. ქ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ქ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 30 აგვისტოდან;

ა. გ-ნია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. გ-ნიას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 30 აგვისტოდან.

ნივთმტკიცებები - ქუდები, ნიღბები, დანა, წყლის გამათბობელი საიზოლაციო ლენტები უნდა განადგურდეს, ხოლო საათი და დ. დ-მის ბინის ჩხრევისას ამოღებული «სამსუნგის» ფირმის ორი ტელეფონი უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

დაზარალებულების - ზ. ნ-მისა და ნ. ს-მის სარჩელები დაკმაყოფილდა. მსჯავრდებულებს სოლიდარულად დაეკისრათ ზ. ნ-მის სასარგებლოდ 617 ლარის, ხოლო ნ. ს-მის სასარგებლოდ - 1270 ლარის გადახდა.

დაზარალებულებს - გ. კ-იას, ე. კ-მეს, ნ. შ-მეს, ი. ა-მეს, რ. ვ-მეს, შ. ფ-მეს, რ. ფ-მეს, მ. ბ-იონს, ე. ც-მეს, რ. ხ-შვილს, მ. ჩ-იას, მ. თ-მეს, მ. მ-შვილს, ლ. ზ-შვილს, დ. პ-აიას, მ. ზ-შვილს, ს. ქ-მეს, ჯ. მ-მეს, ხ. მ-შვილს, თ. გ-შვილს, ნ. ყ-შვილს დარჩათ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ივლისში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, ქ. თბილისში, ... გამზირის #72-ში დროებით მცხოვრები დ. დ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა იმავე კორპუსში, ასევე დროებით მცხოვრებ ლ. ქ-მესა და გამოძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს. აღნიშნულმა პირთა ჯგუფმა მოილაპარაკა, რომ ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ თბილისიდან ბათუმის მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსში მყოფ მგზავრებს და ამ გზით გაეტაცებინათ მათი პირადი ქონება. ამ მიზნით დ. დ-მემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენ. პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ასევე დაუდგენ. კონსტრუქციის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და ინახავდა.

2006 წლის 7 ივლისს აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ურთიერთშორის გაინაწილეს როლები და შეარჩიეს მათთვის სასურველი მიკროავტობუსი. ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული დ. დ-მე და დაუდგენ. ორი პირი ქ. თბილისის რკინიგზის ცენტრალურ სადგურზე ჩასხდნენ გ. კ-იას კუთვნილ „ფორდ-ტრანზიტის» მიკროავტობუსში როგორც მგზავრები. მიკროავტობუსს, მგზავრები ქ. თბილისიდან უნდა გადაეყვანა ქ. ბათუმში. თავის მხრივ, ლ. ქ-მე თავისი კუთვნილი ავტომანქანა „ბმე»-თი, წინასწარი შეთანხმებისამებრ მოძრაობდა მიკროავტობუსის სიახლოვეს და ამასთან, ტელეფონით უკავშირდებოდა მიკროავტობუსში მყოფ თანამზრახველებს. დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე, როდესაც გ. კ-იას კუთვნილი მიკროავტობუსი მოძრაობდა ცენტრალურ ავტომაგისტრალზე კასპის რაიონის სოფელ ... , დ. დ-მემ და მისმა ორმა თანამზრახველმა ჩათვალეს, რომ შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები მათ მიერ განზრახული დანაშაულის ჩასადენად. სამივე მათგანმა მოიმარჯვა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღები და სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა მძღოლსა და მგზავრებზე, რის შემდეგაც მიკროავტობუსი გზის სიახლოვეს არსებულ ჭალაში გადაიყვანეს და ასეთივე ძალადობით გაიტაცეს გ. კ-იას კუთვნილი 480 ლარი, მაგნიტოფონის 2 ცალი დინამიკი, ღირებული 150 ლარად, მისივე კუთვნილი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; ე. კ-მის კუთვნილი ოქროს ყელსაბამი და ოქროს საყურეები, ღირებული 200 ლარად; ნ. ს-მის კუთვნილი მობილური ტელეფონი „სონი», ღირებული

60 ლარად; ი. ა-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონი „ნოკია“, ღირებული 100 ლარად, ბანკომატის ორი ბარათი, „მაკაროვის« სისტემის ტაბელური პისტოლეტი 1 მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით, 150 აშშ დოლარი; რ. ვ-ძის კუთვნილი „მაკაროვის« სისტემის ტაბელური პისტოლეტი 2 მჭიდითა და 16 საბრძოლო ვაზნით, მობილური ტელეფონი „ნოკია«, ღირებული 100 ლარად და 377 ლარი; შ. ფ-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონი „სამსუნგი«, ღირებული 180 ლარად, ოქროს ბეჭედი, სპორტული პიჟამა, ტყავის ხელჩანთა; რ. ფ-ძის კუთვნილი 80 ლარი, მობილური ტელეფონი „სონი-ერიქსონი«, ღირებული 380 ლარად; მ. ბ-იონის კუთვნილი 120 ლარი და მობილური ტელეფონი „ნოკია«, ღირებული 80 ლარად; ე. ც-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონი „სიმენსი«, ღირებული 250 ლარად, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ღირებული 50 ლარად; რ. ხ-შვილის კუთვნილი ოქროს ბეჭედი, ღირებული 150 ლარად, ფული 150 ლარი, მობილური ტელეფონი „სამსუნგი«, ღირებული 460 ლარად; მ. ჩ-იას კუთვნილი მობილური ტელეფონი „სიმენსი«, ღირებული 250 ლარად, 200 ლარი, ბრილიანტისთვლიანი საყურეები, ღირებული 300 ლარად; მ. თევდორაძის კუთვნილი 47 ლარი, მობილური ტელეფონი „ნოკია«, ღირებული 150 ლარად.

თავდასხმის შემდეგ დ. დ-ძე და მისი ორი თანამზრახველი ტელეფონით დაუკავშირდნენ ნომერ ... ტელეფონზე, შემთხვევის ადგილის სიახლოვეს მომლოდინე ლ. ქ-ძეს, რის შემდეგ ჩასხდნენ მანქანაში, რომელსაც ლ. ქ-ძე მართავდა და მიიმალნენ. გატაცებული «მაკაროვის» სისტემის 2 პისტოლეტი გადამალეს, ხოლო ფული და ფასეულობა ურთიერთშორის გაინაწილეს.

ჩადენილი ჰქონდათ რა აღნიშნული დანაშაული, დ. დ-ძე 2006 წლის 26 ივლისს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ა. გ-ნიას, ლ. ქ-ძესა და გამოძიებით დაუდგენელ ერთ ბოროტმოქმედს. ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით, არაერთგზის, ჯგუფურად სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს დ. დ-ძე, ა. გ-ნია და გამოძიებით დაუდგენ. პირი, დაახლოებით 11 საათზე მივიდნენ ქ. თბილისში, დიდუბის ტერიტორიაზე მდებარე ავტოსადგურ „ოკრიბაში« და ჩასხდნენ ქ. ბათუმში მიმავალ მიკროავტობუს „ფორდ-ტრანზიტში«, რომელსაც მართავდა მძღოლი ზ. ნ-ძე. მიკროავტობუსის ქ. თბილისიდან გამოსვლისთანავე ლ. ქ-ძე თავისი კუთვნილი ავტომანქანით, წინასწარი შეთანხმებით, მოძრაობდა მიკროავტობუსის სიახლოვეს და თანაქონი მობილური ტელეფონით ინფორმაციის მისაღებად უკავშირდებოდა მიკროავტობუსში მყოფ თანამზრახველებს.

დაახლოებით 12 საათზე, როდესაც ზ. ნ-ძის მიკროავტობუსი მოძრაობდა ცენტრალურ ავტომანქანატრალზე, მცხეთის რაიონის სოფ. ... დ. დ-ძემ, ა. გ-ნიამ და დაუდგენელმა პირმა ჩათვალეს, რომ შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები მათ მიერ განზრახული დანაშაულის ჩასადენად. დ. დ-ძემ ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულა მძღოლი ზ. ნ-ძე, დამორჩილებოდა მათ და მიკროავტობუსი მიეყვანა სოფელ წიწამურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყეში, სადაც დ. დ-ძემ, ა. გ-ნიამ და ძიებით დაუდგენელმა პირმა მიკროავტობუსში მყოფ მგზავრებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მალადობით გასტაცეს სხვადასხვა ნივთები, კერძოდ:

მ. მ-შვილს - მობილური ტელეფონი „ნოკია«, ღირებული 100 ლარად და ფული 10 ლარი; ლ. ზ-შვილს - საათი და 260 ლარი; დ. პ-იას - 20 ლარი და მობილური ტელეფონი „სიმენსი«, ღირებული 130 ლარად; მ. ზ-შვილს - მობილური ტელეფონი «სიმენსი«, ღირებული 300 ლარად; ს. ქ-ძეს - 500 აშშ დოლარი; ზ. ნ-ძეს - 323 ლარი, მობილური ტელეფონი „სამსუნგი«, ღირებული 100 აშშ დოლარად; ჯ. მ-ძეს - მობილური ტელეფონი «სიმენსი«, ღირებული 890 ლარად და ფულადი თანხა 62 ლარის ოდენობით; ხ. მ-შვილს - მობილური ტელეფონი „ნოკია«, ღირებული 150 ლარად; თ. გ-შვილს - მობილური ტელეფონი „ნოკია«, ღირებული 200 ლარად და ფულადი თანხა - 400 ლარი, რითაც დაზარალებულებს მიაყენეს 3065 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

თავდასხმის დასრულების შემდეგ დ. დ-ძე, ა. გ-ნია და ძიებით დაუდგენ. პირი, დ. დ-ძის მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ ლ. ქ-ძეს, თანაქონ და მისივე ოჯახის კუთვნილ მობილურ ტელეფონზე. იგი ავტომანქანით ელოდებოდა შემთხვევის ადგილის სიახლოვეს. აღნიშნული პირები შეხვდნენ ერთმანეთს და მიიმალნენ.

ჩადენილი ჰქონდათ რა ზემომითითებული დანაშაული, დ. დ-ძემ, ა. გ-ნიამ და ლ. ქ-ძემ 2006 წლის 30 აგვისტოს განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით, არაერთგზის, ჯგუფურად, სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით დ. დ-ძე, ა. გ-ნია და ლ. ქ-ძე დაუკავშირდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #74-ში მცხოვრებ თ. შ-იას. აღნიშნულ პირთა ჯგუფი იმავე დღეს, დილით, ნ. ნ-ძის კუთვნილი „ოპელის« მარკის ავტომანქანით, რომელსაც მართავდა ლ. ქ-ძე, გამოვიდა თბილისის ქუჩებში, რათა შეერჩიათ გატაცებისათვის ხელსაყრელი ორი ავტომანქანა. ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შეარჩიეს ნ. ყ-შვილის კუთვნილი „მერსედისის« მარკის ტაქსი, რომელსაც, როგორც მგზავრი, ჩაუჯდა ტ. შ-ია და სთხოვა დაბა წყნეთში წაყვანა. დ. დ-ძე დარჩა სხვა ავტომანქანის შესარჩევად. ლ. ქ-ძე, ა. გ-ნია და ნ. ნ-ძე კი შეთანხმებისამებრ ნ. ნ-ძის ავტომანქანით წინ წავიდნენ დაბა წყნეთში ცეცხლსასროლი იარაღების მოსამარჯვებლად და ნ. ყ-შვილზე ყაჩაღური თავდასხმის განსახორციელებლად. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი გახდა რა გამოძიებულებისათვის, იმავე დღეს, ნ. ყ-შვილის დაბა წყნეთში მიყვანისას, დააკავეს ლ. ქ-ძე, ტ. შ-ია, ა. გ-ნია და ნ. ნ-ძე, რითაც

აღკვეთილ იქნა მათ მიერ მომზადებული დანაშაული - ნ. ყ-შილზე ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დ. დ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე გაუნახევრდა და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ლ. ქ-ძეს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

ლ. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე გაუნახევრდა და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 375-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე გაუნახევრდა და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ა. გ-ნია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 18,179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა განაჩენი დაზარალებულების - ზ. ნ-ძისა და ნ. ს-ძის სამოქალაქო სარჩელების დაკმაყოფილების ნაწილში.

დაზარალებულებს - ზ. ნ-ძეს, ნ. ს-ძეს, გ. კ-იას, ე. კ-ძეს, ნ. შ-ძეს, ი. ა-ძეს, რ. ვ-ძეს, შ. ფ-ძეს, რ. ფ-ძეს, მ. ბ-იონს, ე. ც-ძეს, რ. ხ-შილს, მ. ჩ-იას, მ. თ-ძეს, მ. მ-შილს, ლ. ზ-შილს, დ. პ-იას, მ. ზ-შილს, ს. ქ-ძეს, ჯ. მ-ძეს, ხ. მ-შილს, თ. გ-შილს, ნ. ყ-შილს დარჩათ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის უფლება.

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. გ-შილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი ლ. ქ-ძის ბრალდების ნაწილში არ არის დასაბუთებული და არ შეიცავს სწორ კვალიფიკაციას.

მსჯავრდებულ ლ. ქ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ-შილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ლ. ქ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ლ. ქ-ძის მიერ დანაშაულის ჩადენას; განაჩენი უსამართლოა, რადგან დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება ლ. ქ-ძის მიერ ვითომ ჩადენილ ქმედებას და მის პიროვნებას.

მსჯავრდებულების - დ. დ-ძისა და ა. გ-ნიას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ს-შილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულების - დ. დ-ძისა და ა. გ-ნიას მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, იგი გამოტანილია კანონის მოთხოვნათა იგნორირებით, საქმის ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის გარეშე; სასამართლოს დასკვნები არ ემყარება საქმეში არსებულ და სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და თავიდან ბოლომდე აგებულია გამოძიებისა და სასამართლოს უსუსურ ვარაუდებზე.

მსჯავრდებული დ. დ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო, მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაულები.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით: დაზარალებულების - ზ. ნ-ძის, ჯ. მ-ძის, ს. ქ-ძის, რ. ვ-ძის, ი. ა-ძის, ნ. ს-ძის, რ. ხ-შილის ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულების - დ. დ-ძის, ლ. ქ-ძისა და ა. გ-ნიას მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 237-ე

მუხლის მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულების სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენით მსჯავრდებულებს - მ. დ-ძესა და ა. გ-ნიას მსჯავრი დაედოთ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში. მ. დ-ძისა და ა. გ-ნიას მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით საფუძვლად დაედო დაზარალებულების - რ. ვ-ძისა და ი. ა-ძის მიერ მიცემული ჩვენებები იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს ხელში ეკავათ ცეცხლსასროლი იარაღი, რ. ვ-ძე და ი. ა-ძე არიან პოლიციის თანამშრომლები და კარგად იცნობენ ცეცხლსასროლ იარაღს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულების - რ. ვ-ძისა და ი. ა-ძის ჩვენებები ზემომითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულებები აღნიშნული ბრალდების ეპიზოდის დასადასტურებლად. საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, შემთხვევის ადგილიდან არ არის ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები და აშკარად არც მისი გამოყენების კვალი იკვეთება (შემთხვევის ადგილიდან არ არის ამოღებული გასროლილი ტყვიის გულა, მასრა და ა.შ.), რაც ცეცხლსასროლი იარაღების ვარგისიანობაზე მიუთითებდა.

ამდენად, მსჯავრდებულებს - მ. დ-ძესა და ა. გ-ნიას უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით შერაცხული მსჯავრი.

განაჩენით ლ. ქ-ძეს მსჯავრი დაედო პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცებაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება მსჯავრდებულ ლ. ქ-ძის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენა; მხოლოდ ის გარემოება, რომ ლ. ქ-ძეს სატელეფონო კავშირი ჰქონდა მიკროავტობუსში მყოფ თანამზრახველებთან, არ შეიძლება მისი აღნიშნული მუხლით მსჯავრდების საფუძველი გახდეს.

ამდენად, მსჯავრდებულ ლ. ქ-ძეს უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით შერაცხული მსჯავრი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. მსჯავრდებულ ლ. ქ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულების - დ. დ-ძისა და ა. გ-ნიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ს-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულებს - დ. დ-ძესა და ა. გ-ნიას მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მათ მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მსჯავრდებულ დ. დ-ძეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 22 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ა. გ-ნიას საქართველოს სსკ-ის 18,179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ლ. ქ-ძეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მსჯავრდებულ ლ. ქ-ძეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 375-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა; ყაჩაღობა

განჩინება

#455-აპ

12 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - დ. ა-ძისა და გ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - შ. მ-შვილის, ი. მ-ძისა და ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენით:

1. დ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 11 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. დ. ა-ძეს მიესაჯა 25 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 16000 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 3 წელი და 6 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 29 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 16000 ლარის ოდენობით;

2. გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 11 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 3 მარტიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 მარტის განაჩენით დ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ», «გ» და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

2006 წლის 28 აგვისტოს ნასვამი დ. ა-ძე დაუკავშირდა დაუდგენელ პირს და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იმავე ღამით, დაახლოებით 04 საათზე დ. ა-ძე მივიდა დუშეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ მ. ს-შვილის სახლთან, უკანონოდ შეაღწია შიგნით, ხმაურზე გამოღვიძებულ მ. ს-შვილს ხელი ააფარა პირზე და ძალადობის მუქარით მოსთხოვა ფული. როდესაც დაზარალებულმა უთხრა, რომ მხოლოდ 2 ლარი ჰქონდა, დ. ა-ძე გაღიზიანდა, მ. ს-შვილს დაუწყო ცემა და კვლავ სთხოვდა ფულს. ამ დროს ბოროტმოქმედს ეზოდან დაუმახა მისმა თანამზრახველმა - ნულარ სცემ, არ მოკვდესო. ცემის გამო დაზარალებულმა დაკარგა გონება, ხოლო დ. ა-ძემ საფულედან ამოიღო 2 ლარი, სამზარეულოში იპოვა 200 ლარი, რასაც დაეუფლა და მიიმალა.

2007 წლის 2 მარტს დ. ა-ძე დაუკავშირდა გ. მ-შვილს და განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ მცხეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ი. ხ-შვილს. იმავე ღამით, დაახლოებით 23.³⁰ საათზე, გ. მ-შვილმა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა დ. ა-ძემ უკანონოდ შეაღწიეს ი. ხ-შვილის სახლში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით დაუფლნენ დაზარალებულის მობილურ ტელეფონს, დასაკეც დანას და 40 ლარს. ამის შემდეგ თავდამსხმელები ი. ხ-შვილს კვლავ აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და მოკვლის მუქარით ითხოვდნენ ფულს. შემინებულმა ი. ხ-შვილმა საშველად უხმო მეზობლებს და გაიქცა ეზოში, მაგრამ იგი წააქციეს და კვლავ დაუწყეს ცემა. ამ დროს შემთხვევის ადგილთან მოგროვდნენ მეზობლები და ბოროტმოქმედები გაიქცნენ.

გარდა ამისა, დ. ა-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და ატარებდა «AMUდAY შშ 007» მარკის 9მმ კალიბრის ცეცხლსასროლ იარაღსა და მის ვაზნას. იგი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა «-5» მოდელის ხელყუმბარას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. მ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გამართლება და დ. ა-ძის ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა დ. ა-ძის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 178-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განაჩენით გ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დ. ა-ძის ადვოკატის სასაჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: დ. ა-ძე გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით - 11 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით. დ. ა-ძეს მიესაჯა 20 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 12500 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 3 წელი და 6 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 24 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 12500 ლარის ოდენობით; გ. მ-შვილს შეუმსუბუქდა სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ დ. ა-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულ დ. ა-ძის ქმედება, რასაც საფუძვლად დაედო არარსებული და არასარწმუნო მტკიცებულებები, აღნიშნულმა კი არსებითად იმოქმედა სასჯელის ზომაზე; დ. ა-ძემ თავიდანვე აღიარა ჩადენილი დანაშაული, თუმცა განმარტა, რომ დანაშაული ჩაიდინა მარტომ, მას თან არ ხლებია სხვა პირი და არც მ. ს-შვილის 200 ლარი გაუტაცია; საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევითაა მითითებული განაჩენში მოწმე ყ. ჭ-შვილის ჩვენება; მან პირველი ინსტანციის სასამართლოში განაცხადა, რომ წინასწარ გამოძიებაში საერთოდ არ დაკითხულა და არც ხელმოწერებია მისი; ამიტომ გამოძიების მიერ შეიქმნა და საქმეში ჩაიდო ყალბი მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი; მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მაინც მიუთითა აღნიშნული მოწმის ჩვენება, როგორც ბრალდების დამადასტურებელი, რაც საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

ადვოკატ შ. მ-შვილის განმარტებით, სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის ობიექტური, სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შესახებ; შეფასება არ მიეცა და განაჩენში საერთოდ არ დაფიქსირდა სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე თ. ყ-შვილის ჩვენება, რომლითაც დასტურდება დ. ა-ძის ჩვენება; ამდენად, ბრალდება მ. ს-შვილის მარცვის ნაწილში აგებულია მთლიანად დაზარალებულის ჩვენებაზე, საქმის მასალებში კი არის დეტალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მ. ს-შვილი აზვიადებს და შეგნებულად ამძიმებს ბრალდებას; დაზარალებული თავიდან კატეგორიულად განმარტავდა, რომ იგი დ. ა-ძემ გააუპატიურა, თუმცა ჩატარებული ექსპერტიზების შედეგად აღნიშნული ვერ დადასტურდა.

რაც შეეხება ბრალდების მეორე ეპიზოდს, დაზარალებული ი. ხ-შვილი ერთი და იგივე დეტალს სხვადასხვაგვარად და არადამაჯერებლად გადმოსცემდა, რაც რეალურად მომხდარის აღქმის საშუალებას ნამდვილად არ იძლეოდა; დ. ა-ძემ გულწრფელად აღიარა, რომ მან მართლაც წაიღო ი. ხ-შვილისაგან მობილური ტელეფონი და დანა იმ თანხის ს-ცვლოდ, რომელიც დაზარალებულს მისთვის ჰქონდა მისაცემი, მაგრამ ყაჩაღობას ადგილი არ ჰქონია; საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტური შეფასებით ამ ეპიზოდში დ. ა-ძის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო მარცვით, ვინაიდან თვით დაზარალებულ ი. ხ-შვილის ჩვენებითაც არ დასტურდება ყაჩაღობის ჩადენა, მით უფრო, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. ა-ძეს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება; აღნიშნულიდან გაუგებარია, რომელი გარემოებით დგინდება, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასა და მუქარას და რაში გამოიხატებოდა აღნიშნული; განაჩენში მითითებული მოწმეების - გ. თ-შვილისა და ბ. ბ-შვილის ჩვენებებით ნამდვილად არ დასტურდება დ. ა-ძის მიერ ყაჩაღობის ჩადენა; მოწმეებს - ბ. მ-შვილსა და გ. ო-შვილს არ უთქვამთ, რომ მ. ს-შვილის ნაამბობიდან გამომდინარე, დ. ა-ძეს ახლდა სხვა პირიც და მათი ჩვენებები განაჩენში არასწორად აისახა; არ არის გამორიცხული, რომ ექსპერტიზის დასკვნაში დაფიქსირებული დაზიანებები - ნაკაწრი ტუჩსა და წარბზე - ი. ხ-შვილმა მიიღო ეზოში წაქცევის დროს, საავადმყოფოს კი იმიტომ მიმართა ღამის 3 საათზე, რომ ხელოვნურად ცდილობდა, შეექმნა მტკიცებულებები დ. ა-ძისათვის მძიმე ბრალდების წარდგენისათვის, მისი ინტერესი კი აშკარად მათ შორის ფულის გამო წარმოქმნილი უთანხმოება იყო.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატ შ. მ-შვილის აზრით, სასამართლო ზედმეტად მკაცრი იყო დ. ა-ძისათვის სასჯელის დანიშნისას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანას, დ. ა-ძისათვის მარცვის მაკვალიფიცირებელი ნიშნების ამორიცხვას, ყაჩაღობის ნაწილში კი მისი ქმედების მარცვაზე გადაკვალიფიცირებას; საბოლოოდ დ. ა-ძის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 178-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველები, ადვოკატები - ი. მ-ძე და ნ. ჯ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი, უკანონო და უსამართლოა; მისი

დადგენისას არ იქნა დაცული საქართველოს სსკ-ის 498-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები; გ. ძ-შვილი არ ითვალისწინებდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობას, რადგან იცოდა, რომ დ. ა-ძე ი. ხ-შვილის ცოლის ძმისშვილი იყო და მიდიოდა თავისი ანაზღაურების მისაღებად. ამასთან, გ. თ-შვილის, ბ. ბ-შვილისა და გ. ზ-ძის ჩვენებებით დ. ა-ძე ხშირად აკითხავდა მამიდას და ბინაში უკანონო შეღწევა არ მომხდარა. ასევე არათანმიმდევრულია ი. ხ-შვილის ჩვენებები, რაზეც მეტყველებს ის გარემოებები, რომ დაზარალებულს არ უხსენებია თანხა - 115 ლარი, რომელიც დ. ა-ძისათვის უნდა მიეცა შესრულებული სამუშაოსათვის, მანვე ვერ დააკონკრეტა, სცემდა თუ არა გ. ძ-შვილი; რამდენიმე პირის ყოფნა შემთხვევის ადგილას არ იწვევს იმის აუცილებლობას, რომ ყველა პასუხისგებაში მიეცეს; ამასთან, არ გამორიცხავს სხვადასხვა კვალიფიკაციას; საინტერესოა, რაში გამოიხატა ყაჩაღობა; გაუგებარია, შიშველი ხელებით სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ან ძალადობის მუქარა მსჯავრდებულებს როგორ უნდა გამოეხატათ; გ. ძ-შვილის მხრიდან მსგავსი ქმედების განხორციელება არც ერთი უტყუარი მტკიცებულებით არ დასტურდება; გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა 18 წლის ახალგაზრდის წარსული, ის, რომ არ ყოფილა ნასამართლევი, ოჯახის წევრები გამოირჩევიან კეთილსინდისიერებით და დაუდგინა პროვინცია და ჩადენილი ქმედების ხასიათთან შეუსაბამო სასჯელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატები - ი. მ-ძე და ნ. ჯ-ძე ითხოვენ გ. ძ-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, კერძოდ:

დაზარალებულ მ. ს-შვილის ჩვენებებით დადგენილია, რომ დ. ა-ძემ ხელი ააფარა პირზე, სცემდა და ითხოვდა ფულს. ამ დროს ეზოდან დაიმახეს - ნუ სცემ, არ მოკვდეს, გათიშეო. დ. ა-ძემ დაზარალებულს ორჯერ უთხრა: «მარტო კი არ ვარ, იგი, რა ბიჭები მყავსო». მ. ს-შვილმა მიუთითა, რომ დ. ა-ძემ სასტიკად სცემა, დაკარგა გონება და მომხდარის შემდეგ ვერ იპოვა შენახული 200 ლარი.

მოწმეების - ბ. ო-შვილისა და ნ. ფ-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ ნაცემი მ. ს-შვილი ნახეს თავის სახლში. დაზარალებულმა მათ უამბო, რომ დ. ა-ძემ მოსთხოვა ფული და უარის მიღების გამო სცემა. ამასთან, თავდამსხმელს სხვა პირიც ახლდა, რომელიც მ. ს-შვილმა ვერ იცნო.

საქმის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებები მოწმეთა თანხმობით გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე და ბ. ო-შვილმა და ნ. ფ-შვილმა დაადასტურეს მათი ობიექტურობა. ამდენად, უსაფუძვლოა ადვოკატ შ. მ-შვილის საჩივრის მოტივი, თითქოს განაჩენში არასწორად აისახა მოწმეთა ჩვენებები.

ბუნებრივია ის გარემოება, რომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას ი. ხ-შვილს არ უხსენებია დ. ა-ძისათვის გადასაცემი 115 ლარის შესახებ, რადგან დაზარალებულის არაერთი ჩვენებით, ორივე ბოროტმოქმედი ემუქრებოდა მოკვლით, სცემდნენ და ეუბნებოდნენ: «შენი სიდედრი რომ გარდაიცვალა, ქელებიდან აღებული ფული გექნება და მოგვეციო». ი. ხ-შვილმა ასევე აღნიშნა, რომ კარის გაღების შემდეგ სახლში მის დაუკითხავად შეცვივდნენ გ. ძ-შვილი და დ. ა-ძე. ამ უკანასკნელს ჰქონდა შავი პისტოლეტი და უთხრა, რომ თანხა სჭირდებოდა «ზონაში ჩასატანად».

პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია, მათ ობიექტურობაზე მეტყველებს სხვა პირთა განმარტებებიც, კერძოდ, მოწმეების - გ. თ-შვილის და ბ. ბ-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ ი. ხ-შვილი ყვირილით ითხოვდა შველას. ამ უკანასკნელის სახლთან მისვლისას დაინახეს, რომ გაიქცა ორი პირი. ნაცემმა დაზარალებულმა უამბო, რომ დ. ა-ძე და მისი თანხლები ითხოვდნენ ი. ხ-შვილის სიდედრის დაკრძალვის შედეგად მიღებულ თანხას. მოწმე გ. ზ-ძემ მიუთითა, რომ, როგორც შეიტყო, ი. ხ-შვილს ყაჩაღურად თავს დაესხა დ. ა-ძე და უგნობი პირი. ამასთან, დ. ა-ძე დაზარალებულს იშვიათად აკითხავდა.

გარდა აღნიშნულისა, მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბინის ჩხრეკის, პროვინციისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, ასევე - ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით.

რაც შეეხება მოწმე თ. ყ-შვილს, იგი სასამართლოში დაიკითხა და აღნიშნა, რომ 2006 წლის 28 აგვისტოს, სადამოს დაბრუნდა სახლში, სადაც ქეიფობდა დაახლოებით ხუთი პირი, მათ შორის - დ. ა-ძე. თ. ყ-შვილი სუფრასთან მყოფთ არ შეუერთდა და დაიძინა. შესაბამისად, არ იცის, რომელ საათამდე გაგრძელდა ქეიფი. მომდევნო დღეებში შეიტყო, რომ იმ ღამით დ. ა-ძე სახლში შეუვარდა მ. ს-შვილს, სცემა მას და წაართვა ფული.

მოწმის ეს ჩვენება მარცვისათვის წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში დ. ა-ძის უდანაშაულობაზე არ მეტყველებს და, შესაბამისად, არც გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებულობაზე ახდენს გავლენას.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენით დ. ა-ძეს სსკ-ის 178-ე მუხლით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლით - 5000 ლარის ოდენობით, ხოლო 236-

ე მუხლით - 2500 ლარის ოდენობით, შესაბამისად, დ. ა-მეს დამატებით სასჯელად საბოლოოდ უნდა განესაზღვროს ჯარიმა 11000 ლარის ოდენობით, ნაცვლად განაჩენში მითითებული 12500 ლარისა.

მსჯავრდებულთა ქმედებები ძარცვისა და ყაჩაღობის ბრალდების ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «გ» და «დ» ქვეპუნქტებით და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენშია აღნიშნული, რადგან ამ მუხლების ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. ა-ძისა და გ. ძ-შვილისათვის დანიშნული სასჯელები არ არის მეტისმეტად მკაცრი და, შესაბამისად, აშკარად უსამართლო. ამასთან, გ. ძ-შვილს გასაჩივრებული განაჩენით შეუმსუბუქდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი და მისი კიდევ უფრო მეტად შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - დ. ა-ძისა და გ. ძ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - შ. მ-შვილის, ი. მ-ძისა და ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განაჩენიდან დ. ა-ძისა და გ. ძ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი;

მსჯავრდებულ დ. ა-მეს დამატებით სასჯელად საბოლოოდ განესაზღვროს ჯარიმა 11000 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#737-აპ

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით ა. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ჯგუფურად; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება.

ამავე განაჩენით ფ. კ-შვილი დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ჯგუფურად.

ა. კ-შვილისა და ფ. კ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. კ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და მისთვის განკუთვნილი, 9 მმ კალიბრიანი ვაზნა, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2007 წლის 23 ივნისს ძმებმა - ა. და ფ. კ-შვილებმა განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის

სისრულეში მოსაყვანად ისინი მივიდნენ თბილისში, ... მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ, გ. შ-შვილის კუთვნილ სასურსათო მაღაზიასთან და გ. შ-შვილს მოსთხოვეს საკვები პროდუქტები, რაზეც უარი მიიღეს. ამის შემდეგ გ. შ-შვილი შევიდა მაღაზიაში, მას შეჰყვა ა. კ-შვილი, რომელსაც ხელში ეჭირა „მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ფ. კ-შვილი გარეთ დარჩა და მაღაზიის კარი მიხურა. ა. კ-შვილმა გ. შ-შვილს დაუმიზნა იარაღი და მუქარით მოსთხოვა ფული, ხოლო რამდენიმე წამში ამ იარაღიდან გაისროლა მისი მიმართულებით და მიაყენა ჭრილობა მარჯვენა მხრის არეში. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ექსპერტ-კრიმინალისტიკმა ამოიღეს ზემოაღნიშნული იარაღიდან გასროლილი ერთი მასრა და ერთი ტყვია. ექსპერტიზის #6\1-26\ბ დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული მასრა არის „მაკაროვისა» და „სტეკინის» კონსტრუქციის ავტომატური პისტოლეტებისათვის გათვალისწინებული, 9 მმ კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილი; იგი ვარგისია იდენტიფიკაციისათვის და გასროლილია 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტიდან. გასროლის შემდეგ მაღაზიაში შევარდა ფ. კ-შვილი, რომელმაც გ. შ-შვილს დაუწყო ცემა. მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით აიძულეს დაზარალებული, მათთვის გადაეცა 500 ლარი. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო კ-შვილების დედა ნ. კ-შვილი, რომელიც შეეცადა ძმების დაწყენარებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ აგრძელებდნენ გ. შ-შვილის ცემას, რომელმაც მოახერხა, გასცლოდა მაღაზიას, ხოლო ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის ფ. კ-შვილს მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ა. კ-შვილს სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობით - 22 წლით თავისუფლების აღკვეთა; მათვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრათ ჯარიმა: ა. კ-შვილს - 11500 ლარის, ხოლო ფ. კ-შვილს - 4500 ლარის ოდენობით. ა. კ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 ივლისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 23 იანვრიდან 2007 წლის 26 იანვრამდე - 4 დღე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. კ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ვ-ძემ. მან ითხოვა მსჯავრდებულ ა. კ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების მოხსნა, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით - სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ა. კ-შვილის ადვოკატი ნ. ა-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის არც ერთი შუამდგომლობა და არ გაიზიარა მისი არც ერთი პოზიცია, ასევე - მსჯავრდებულ ა. კ-შვილის ჩვენება; სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ დაზარალებულის აბსურდული და რეალობისგან განსხვავებული ჩვენება; ა. კ-შვილმა ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ და განმარტა, რომ მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია; მან იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ფაქტი აღიარა მხოლოდ იმიტომ, რომ პროკურატური ჰპირდებოდა სპროცესო შეთანხმების გაფორმებას, თუმცა შემდეგ მოატყუეს.

ადვოკატის აზრით, დაზარალებულ გ. შ-შვილის მიერ მიცემული სამივე ჩვენება, ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალების თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან; გაუგებარია მოწმეების - ნ. ლ-მის, გ. ლ-ავასა და ა. ტ-შვილის ჩვენებების ა. კ-შვილის საწინააღმდეგოდ გამოყენება, რადგან არც ერთი მათგანი შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა და ისინი აღწერენ მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდგომ მოვლენებს; ისინი ირიბადაც არ მიუთითებენ იმაზე, რომ ყაჩაღობა ჩაიდინა ა. კ-შვილმა, ამიტომ მათი ჩვენებების მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენება არ შეიძლებოდა; რაც შეეხება მოწმე ლ. თ-შვილს, იგი პოლიციის გამომძიებელია და დაიკითხა გამოძიების პროცესში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით, ხოლო მოწმე ნ. კ-შვილს, რომელიც მსჯავრდებულების დედაა, არ განუმარტეს ჩვენების მიცემის წესი, მეტიც, მას იძულებით ჩამოართვეს ჩვენება, რის შესახებაც ნ. კ-შვილმა პროცესზე განაცხადა და მიუთითა, თუ რა სახის იძულება და მოტყუება გამოიყენა პოლიციამ; მიუხედავად ამისა, სასამართლომ ნ. კ-შვილის დაკითხვის ოქმი მსჯავრდებულების საწინააღმდეგოდ გამოიყენა.

მსჯავრდებული ა. კ-შვილი არ უარყოფს, რომ გ. შ-შვილი დაიჭრა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, მაგრამ ის, რომ ა. კ-შვილმა გაისროლა, საფუძველსაა მოკლებული; ბრალდება იარაღის ნაწილში დადასტურებულად ვერ ჩაითვლება, რადგან არ არსებობს იარაღი, საიდანაც გასროლა მოხდა და, ამასთან, ექსპერტიზების დასკვნებში არსად არ არის აღნიშნული, რომ ა. კ-შვილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად მიიღო გ. შ-შვილმა ჯანმრთელობის დაზიანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ნ. ა-იას აზრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენი უკანონო და არაობიექტურია, რის გამოც ითხოვს მის გაუქმებასა და ა. კ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებული გ. შ-შვილი თავის ყველა ჩვენებაში მიუთითებს თავდასხმისას ფულის მოთხოვნისა და თავდასხმის ჯგუფურად ჩადენის ფაქტს. მან სასამართლოში სრულად დაადასტურა წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებების ობიექტურობა. ის გარემოება, რომ დაზარალებული ზუსტად ვერ ასახელებს გატაცებული თანხის ოდენობას და ვერ აზუსტებს, თუ რამდენჯერ ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან ა. კ-შვილმა, მისი ჩვენებების არაობიექტურობაზე არ მეტყველებს.

დაზარალებულის მეუღლემ - ნ. ლ-მემ სასამართლოს განუმარტა, რომ მომხდარის შესახებ უამბეს მეზობლებმა. მათგან შეიტყო, რომ მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა ა. კ-შვილმა, ხოლო ბოროტმოქმედის თანმხლებმა სცემა და გაიტაცეს ფული.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მტკიცებულებად გამოიყენა ნ. კ-შვილის საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკითხვის ოქმი, თუმცა, როგორც ირკვევა, ორივე ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა ამ პირის მხოლოდ სასამართლოში მიცემულ ჩვენებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს ა. კ-შვილის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და სამართლიანიც, რადგან ა. კ-შვილისათვის დანიშნული ძირითადი სასჯელი შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს და არ არის მეტისმეტად მკაცრი.

ამასთან, საკასაციო პალატაში წარმოდგენილი მოწმობით ირკვევა, რომ ა. კ-შვილი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც ნათლად მეტყველებს მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. კ-შვილი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის - ჯარიმის მოხდისაგან.

საკასაციო პალატა არ მსჯელობს ფ. კ-შვილის მიმართ გასაჩივრებული განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მის დაუსწრებლადაა გამოტანილი, ფ. კ-შვილი დააკავეს საქმის უზენაეს სასამართლოში შემოსვლის შემდეგ და მის სააპელაციო საჩივარზე შესაბამის სასამართლოს არ უმსჯელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მარტის განაჩენიდან ა. კ-შვილის მიმართ ამოირიცხოს მითითება დამატებით სასჯელად ჯარიმის - 11 500 ლარის დანიშვნის შესახებ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყ ა ჩ ა ლ ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

#688-აპ

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ლ. კ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-იას, მსჯავრდებულ ი. ს-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ტ-ავას, დაზარალებულების - ე. თ-იასა და ო. ა-იანის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენით:

ი. ს-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 5 აპრილიდან.

ლ. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 5 აპრილიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების: ი. ს-ავასა და ლ. კ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. ს-ავამ და ლ. კ-მემ წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ მოქალაქე ნ. ა-იანის საცხოვრებელ სახლს და დაუფლებოდნენ მის მფლობელობაში არსებულ მოძრავ ნივთებს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და 2007 წლის 5 აპრილს, 2 საათზე, ერთად მივიდნენ ქალაქ ფოთში, ... ქუჩის #71-ში მდებარე ნ. ა-იანის საცხოვრებელ სახლში, სადაც უკანონოდ შეაღწიეს, ოჯახის წევრებს შეუკრეს ხელები და გადაჭრილი თოფისა და პისტოლეტის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით გაიტაცეს ნ. ა-იანის კუთვნილი ოქროს სამკაულები: ერთი ოქროს მედალიონი, ღირებული 140 ლარად; ერთი საქორწინო ბეჭედი, ღირებული 180 ლარად; ერთი ოქროს ბეჭედი ალექსანდრიტის თვლით, ღირებული 80 ლარად; ერთი ოქროს ბეჭედი რომბის ფორმის, ღირებული 140 ლარად; ერთი ოქროსთვლიანი ბეჭედი, ღირებული 50 ლარად; ერთი ვერცხლის გრეხილი ძეწვევი, ღირებული 30 ლარად; ერთი ცალი ვერცხლის ბეჭედი, ღირებული 10 ლარად; ერთი წყვილი ოქროს საყურე, ღირებული 30 ლარად; 2 ოქროს ძეწვევი, ღირებული 120 ლარად; ასევე ბიჟუტერია - ყავისფერი ყველსაბამი, თეთრი თვლებით გაწყობილი, ღირებული 20 ლარად. ი. ს-ავა და ლ. კ-მე ყაჩაღური თავდასხმით, მართლსაწინააღმდეგოდ სულ დაეუფლნენ დაახლოებით 800 ლარის ღირებულების ნივთებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2007 წლის 5 აპრილს, დღის 6.40 საათზე ქალაქ ფოთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩაატარეს ჩხრეკა ქალაქ ფოთში, ... ქ. #40-ში მდებარე, ლ. კ-მის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მისი საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში მდგარი მაგიდიდან ამოიღეს ნ. ა-იანის საცხოვრებელი სახლიდან ყაჩაღური გზით გატაცებული ვერცხლის გრეხილი ძეწვევი. ლ. კ-მის საძინებელ ოთახში მდგარი საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოიღეს, ასევე, გადაჭრილი ორლულიანი თოფი, ე.წ. „აბრეზი“.

2007 წლის 5 აპრილს, 6.50 საათზე, ფოთის სამმართველოს მუშაკებმა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ჩაატარეს ჩხრეკა ქალაქ ფოთში, ... ქ. #44-ში მდებარე, ი. ს-ავას საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მისი საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში მდგარი საწოლიდან ამოიღეს შავი ფერის პისტოლეტი ერთი მჭიდითა და სამი ვაზნით, წარწერით «VOLთლAN MO დ 99 ც აღ 9 მმ PA». ი. ს-ავას კუთვნილი ლურჯი ფერის ჯინსის შარვლის მარცხენა წინა ჯიბიდან ასევე ამოიღეს ყელსაბამი მოყავისფრო-მოთეთრო ფერის თვლებით, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვისებურად არის გადაბმული.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ლ. კ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ფ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ლ. კ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არ არის დასაბუთებული, არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან; საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები კანონის დადგენილი წესის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული, რასაც სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა; სასამართლო ლ. კ-მის ბრალდების მტკიცებულებად უთითებს წინასწარი გამოძიების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების არსებითი დარღვევით მოპოვებულ მასალებს, რაც ნაწილობრივ სასამართლო გამოძიებითაც არ დადასტურდა და არ შეიძლებოდა მათი მტკიცებულებად გამოყენება ლ. კ-მის ბრალდების დასადასტურებლად; ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენს საფუძვლად დაუდო მხოლოდ წინასწარი გამოძიების მასალები, რაც სასამართლო გამოძიებით არ დადასტურებულა. საქართველოს სსსკ-ის მე-20 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. დაზარალებულებმა - ნ. ა-იანმა, ე. თ-იამ და ო. ა-იანმა ფოთის საქალაქო სასამართლოში ლ. კ-მესა და ი. ს-ავაზე პირდაპირ განაცხადეს, რომ ისინი მათზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში არ მონაწილეობდნენ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ასეთი აღნაგობის პირები მათ სახლში არ ყოფილან საყაჩაღოდ, ამიტომ მიიჩნიეს ისინი უდანაშაულოდ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაზარალებულმა ე. თ-იამ მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, ამავე დროს სასამართლოს კიდევ ერთხელ მისცა ჩვენება მათ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის გარემოებებზე და დაადასტურა ლ. კ-მისა და ი. ს-ავას უდანაშაულობა. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ დაპატიმრებული პირები არ იყვნენ ისინი, რომლებმაც მათზე ყაჩაღური თავდასხმა მოახდინეს. მან კიდევ ერთხელ მისცა ჩვენება სააპელაციო სასამართლოს, რომ ბოროტმოქმედები საერთოდ არ შესულან იმ ოთახში, სადაც «ტრილიაქზე» ფულთან ერთად ეწყო ე.წ. «გრეხილი» ბეჭეტი, ბიუტერია და ისინი მათ არ წაუღიათ.

დაზარალებულთა ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოღების დროს, ასევე ლ. კ-მისა და ი. ს-ავას საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკებისა და ამოღების დროს დაშვებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები, დამსწრეთა და ოჯახის წევრების ჩვენებები აშკარად მიუთითებენ, რომ პოლიციის მუშაკები ხელოვნურად ქმნიდნენ მტკიცებულებებს, ახდენდნენ მათ ფალსიფიკაციას და გაყალბებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა ერთობლიობისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განაჩენში მიუთითებს, რომ თითქოს, დაზარალებულები - ნ. ა-იანი, ე. თ-ია და ო. ა-იანი კატეგორიულად ვერ მიუთითებენ მათ ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე პირების ვინაობაზე და თვლის, რომ დაზარალებულები კეთილსინდისიერად ცდებიან.

მსჯავრდებულ ი. ს-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ტ-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ლ. კ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; განაჩენით ი. ს-ავას ბრალის დამადასტურებელ უმთავრეს მტკიცებულებად მიჩნეულია მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმი, თუმცა, სასამართლომ სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვა სსსკ-ის იმ მუხლების მოთხოვნათა არსებითი, უხეში დარღვევები, რომლებითაც მოწესრიგებულია ზემოაღნიშნული საგამომიებო მოქმედების საფუძველი და ჩატარების წესი. ი. ს-ავას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების მომენტისათვის გამომიებას არ გააჩნდა არათუ მტკიცებულებები, არამედ - რაიმე სახის ირიბი მტკიცებულებაც კი, რაც გამომიებელს კანონიერ საფუძველს მისცემდა ამ საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა, ჩხრეკაში მონაწილე პოლიციის მუშაკებმა სასამართლოს უჩვენეს, რომ ჩხრეკა ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რითაც თვალსაჩინოდ დასტურდება ჩატარებული ჩხრეკის უკანონობა, გამომიებლის საქართველოს კონსტიტუციისა და სსსკ-ის ნორმათა სავალდებულო მოთხოვნების იგნორირება, რაც ყურადღების მიღმა დატოვა სასამართლომაც.

უგულვებელყოფილ და იგნორირებულია საქართველოს სსსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი დამსწრის მოწვევის უფლება: მიუხედავად სახლის მეპატრონის - ჯ. ს-ავას კატეგორიული და არაერთგზის მოთხოვნისა, ჩხრეკის ჩატარების პროცესში არ მოიწვიეს დამსწრეები, მით უმეტეს ჩხრეკის ოქმში გამომიებელს არ აღუნიშნავს იმის თაობაზე, რომ ს-ავებმა უარი განაცხადა დამსწრის მოწვევაზე.

ასევე უგულვებელყოფილია კანონის ზემოთითხებული მუხლის შესაბამისი ნაწილის აუცილებელი მოთხოვნა შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა ჩხრეკაში მონაწილე პირთა ხელმოწერების საჭიროების შესახებ.

მოსამართლემ ი. ს-ავას ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია საგნის ამოცნობის ოქმი, თუმცა, აღნიშნული საგამომიებო მოქმედებთაც ეჭვმუქვალად დასტურდება, რომ ი. ს-ავას ბრალდების საქმეზე გამომიება წარიმართა სსსკ-ის მოთხოვნათა სისტემატური უხეში დარღვევებით: კერძოდ, გაუგებარია, თუ რა ვითარებაში წარედგინა ამომცნობს საგანი, როგორ გაიხსნა ლუქი, რადგანაც არ არსებობს შესაბამისი ოქმი შეფუთული ნივთმტკიცების გახსნის თაობაზე, რითაც დაირღვა 121-ე მუხლის მე-4¹ ნაწილის მოთხოვნა.

დაზარალებულმა ა-იანებმა სასამართლოს უჩვენეს, რომ თავდამსხმელები იყვნენ სუსტი აგებულებისა და საშუალო სიმაღლისანი, სინამდვილეში ი. ს-ავა არის ძალიან დაბალი, ლ. კ-მე კი - ძალიან მაღალი. დაზარალებულების ჩვენებით, თავდამსხმელებს შორის სიმაღლეში იყო ოდნავი სხვაობა. სასამართლოში დაზარალებულებმა დამაჯერებლად და კატეგორიულად უარყვეს მათზე თავდამსხმელებსა და განსასჯელებს შორის რაიმე გარეგნული მსგავსებაც კი. სააპელაციო სასამართლოში დაზარალებულმა ე. თ-იამ იგივე კატეგორიულად დაადასტურა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დაზარალებულები კეთილსინდისიერად ცდებიან.

თვით მსჯავრდებულმა ი. ს-ავამ როგორც წინასწარ გამომიებაში, ასევე სასამართლოში კატეგორიულად უარყო მისი რაიმე სახით მონაწილეობა ა-იანების ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში, ასევე უარყო წაყენებული ბრალდება ლ. კ-მემაც.

ამდენად, ცხადია, ი. ს-ავას მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი დაფუძნებულია არა ერთმანეთთან შეთანხმებულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, არამედ - ვარაუდებზე.

დაზარალებულები - ე. თ-ია და ო. ა-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და უდანაშაულო პირების გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; მსჯავრდებულებს: ლ. კ-მესა და ი. ს-ავას არ ჩაუდენიათ მათ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა; არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ, თითქოს, დაზარალებულები კეთილსინდისიერად ცდებიან.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების: ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ფ-იამ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს და იშუამდგომლა განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულმა ე. თ-იამ ითხოვა განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების: ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. შ-ძემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან დადგინილი განაჩენი მიიჩნია კანონიერად და იშუამდგომლა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულების: ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას მსჯავრდების საქმის განხილვისას არ შესრულდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, ხოლო აღნიშნულმა სასამართლომ გამოტანილ განაჩენში ჯეროვნად არ იმსჯელა ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საჭიროებდა კანონით დადგენილი წესით გამოკვლევას და რომელთა სწორად დადგენას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, კერძოდ:

მსჯავრდებულების: ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას ბრალდებას საფუძვლად უდევს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებულ თითის კვალზე ჩატარებული დაქტილოსკოპიური ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვით, თითის კვალი იდენტურია. ჩხრეკის ოქმების მიხედვით, ი. ს-ავასა და ლ. კ-ძის სახლებიდან ამოღებულ ნივთებზე ჩატარებული ამოცნობები, რომლის დროსაც დაზარალებულებმა - ე. თ-იამ და ნ. ა-იანმა ამოიცნეს მათი სახლიდან ყაჩაღური გზით წაღებული ნივთები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოებმა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ოქმები ისე დაუდეს საფუძვლად მსჯავრდებულების - ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას მსჯავრდებას, რომ აღნიშნული ოქმების გამოკვლევისას მხარეთა მონაწილეობით არ გაარკვეეს საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე და განაჩენში, შესაბამისად, არ მისცეს სამართლებრივი შეფასება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის კარიდან მარცხნივ, პირველი ფანჯრის გარეთა მხრიდან, ჩარჩოს გვერდითა ზედაპირიდან ამოღებულ იქნა ერთი ხელის კვალი, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე საძინებელ ოთახში, ე.წ. «ტრილიაჟის» სარკის კიდიით ზედაპირიდან, ასევე ამოღებულ იქნა ერთი ხელის კვალი. საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე კარიდან გვერდით, მარცხნივ, ფანჯრის მინის გარეთა ზედაპირიდან, ამოღებულ იქნა ერთი ხელის კვალი. საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, მოსასვენებელი ოთახის იატაკიდან ამოღებულ იქნა ოთხი თეთრი პლასტმასის ზონარი. ამ ოქმის მიხედვით, არ ჩანს, ამოღებული ნივთები დაილუქა თუ არა. ოქმში არ არსებობს არანაირი ჩანაწერი დალუქვის თაობაზე. მხოლოდ დაქტილოსკოპიური ექსპერტის დასკვნით ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელის კვლები, შსს სპეციალური პაკეტით დალუქული არის შესული. პაკეტის მთლიანობა არ არის დარღვეული, პაკეტს უკანა მხარეს დაკრული აქვს სამი ბეჭედი #36/II „დასალუქად“. ბეჭედზე იკითხება ხელმოწერები: «ლ. მ-ია, ე. კ-დია». საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ასევე ამოღებულია ოთხი თეთრი პლასტმასის ზონარი. გამომძიებელმა ე. კ-დიამ 2007 წლის 5 აპრილის დადგენილებით ნ. ა-იანის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული სამი ხელის კვალი სამ ცალ ფუძე-შრეზე და 4 თეთრი პლასტმასის ზონარი ცნო ნივთიერ მტკიცებულებად. თუმცა, სასამართლოს არ გაურკვევია შემდეგი საკითხი: თუ ხელის კვლები დაილუქა შემთხვევის ადგილზე მითითებული ერთი პაკეტით და ერთი ლუქით, სად, როდის, რომელი პაკეტით არის დალუქული ამოღებული პლასტმასის ოთხი ზონარი.

2007 წლის 5 აპრილს ი. ს-ავას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის მიხედვით, ჩხრეკის შედეგად ი. ს-ავას საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში მდგარი საწოლიდან ამოღებულ იქნა შავი ფერის ცეცხლსასროლი პისტოლეტი ერთი მჭიდითა და სამი ვაზნით, ხოლო მისი კუთვნილი, ლურჯი ფერის ჯინსის შარვლის მარცხენა, წინა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ყელსაბამი მოყავისფრო-მოთეთრო ფერის თვლებით, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვისებურად არის გადაბმული. ამავე ოქმის თანახმად, ამოღებული ნივთები აღწერის შემდეგ შეიფუთა და დაილუქა. ქ. ფოთის საქალაქო სამმართველოს #36/II ბეჭდის ლუქით. ამდენად, როგორც ოქმიდან ჩანს, ამოღებული საგნები დაილუქა მხოლოდ ერთ ფუთაში ერთი ლუქით. 2007 წლის 6 აპრილის ბალისტიკური ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილია გამოსაკვლევი საგანი შეფუთული და დალუქული #36/II ბეჭდით პაკეტებისათვის. დალუქვა დარღვეული არ არის. ხელს აწერს გამომძიებელი ე. მ-ური. გახსნისას პაკეტში აღმოჩნდა ერთი ერთეული პისტოლეტი, მჭიდითა და სამი ვაზნით. ამავე თარიღის საგნის

ამოსაცნობად წარდგენის ოქმის მიხედვით, დაზარალებულ ე. თ-იას ამოსაცნობად წარედგინა, ი. ს-ავას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის მიხედვით, ი. ს-ავას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ყელსაბამი მოყავისფრო-მოთეთრო ფერის თვლებით, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვისებურად არის გადაბმული. საქმის მასალების მიხედვით, სასამართლოს არ გაურკვევია, თუ როგორ მოხდა ერთი ლუქით დალუქული პაკეტიდან შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთების ცალ-ცალკე გაგზავნა, კერძოდ, იარაღის გაგზავნა ბალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად და დაზარალებულ ნ. ა-ინისათვის ყელსაბამის წარდგენა ამოსაცნობად; საქმეში არ არის აღნიშნული ფუთის გახსნის, დათვალიერებისა და ცალ-ცალკე ფუთაში კანონის შესაბამისად დალუქვის ოქმი.

2007 წლის 5 აპრილს მ. კ-ძის საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში მდგარი მაგიდიდან ამოღებულ იქნა მარგალიტის მძივი, ვერცხლისფერი გრებილი ძეწვევი, საეკლესიო სამაჯური, რომელზეც გამოსახულია წმინდანები; ლ. კ-ძის საძინებელ ოთახში მდგარი საწოლის ლეიბის ქვეშიდან ამოღებულ იქნა გადაჭრილი თოფი, ე.წ. «აბრეზი», «სიმენის» ფირმის მობილური ტელეფონი. ამავე ოქმის თანახმად, ამოღებული ნივთები აღწერის შემდეგ შეიფუთა და დაილუქა ფოთის საქალაქო სამმართველოს #36/II ბეჭდის ლუქით. ამდენად, ამოღებული საგნები დაილუქა მხოლოდ ერთ ფუთაში ერთი ლუქით. 2007 წლის 6 აპრილის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილია გამოსაკვლევი საგანი შეფუთული და დალუქული #36/II ბეჭდით პაკეტებისათვის. დალუქვა დარღვეული არ არის. ხელს აწერს გამომძიებელი ე. ძ-ური. ამავე თარიღის საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმის მიხედვით, დაზარალებულ ე. თ-იას ამოსაცნობად წარედგინა, მ. კ-ძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის მიხედვით, მ. კ-ძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ყელსაბამი მოყავისფრო-მოთეთრო ფერის თვლებით, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვისებურად არის გადაბმული. საქმის მასალების მიხედვით, სასამართლოს არ გაურკვევია, თუ როგორ მოხდა ერთი ლუქით დალუქული პაკეტიდან შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთების ცალ-ცალკე გაგზავნა ექსპერტიზის ჩასატარებლად; ცეცხლსასროლი იარაღისა და ყელსაბამის წარდგენა ამოსაცნობად; საქმეში არ არის აღნიშნული ფუთის გახსნის, დათვალიერებისა და ცალ-ცალკე ფუთაში კანონის შესაბამისად დალუქვის ოქმი.

აღნიშნული საკითხების გარკვევასა და, აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებების დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსჯავრდებულების - ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დასადგენად, რაც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს არ შეუძლებოდათ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და რამაც არსებითი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით.

ამრიგად, მსჯავრდებულების - ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას ბრალდების საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო დარღვევა, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენი მსჯავრდებულების - ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას საქმეზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა გაირკვეს ყველა ზემოთ მითითებული საკითხი, ჩატარდეს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური სასამართლო გამოძიება საპროცესო კანონით განსაზღვრული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით და ამ გზით უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, გადაწყდეს მსჯავრდებულების: ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენი მსჯავრდებულების - ლ. კ-ძისა და ი. ს-ავას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#922-აპ

21 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ი. ტყემელაშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის განაჩენით ნ. ხ-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. დანიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ნ. ხ-ძეს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისთვის, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში: ნ. ხ-ძე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს. ისინი შეთანხმდნენ, ყაჩაღური თავდასხმის გზით მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ სხვისი მოძრავი ნივთი - მობილური ტელეფონი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 20 ოქტომბერს ნ. ხ-ძე გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად მივიდა თბილისში, მუშტაედის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კომპიუტერულ ოფისში, სადაც თანმხლებ პირებთან ერთად გაიცნო ღ. მ-ძე და ლ. ს-ძე. ნ. ხ-ძემ რ. მ-ძესა და ლ. ს-ძეს დარეკვის მიზნით მოსთხოვა მობილური ტელეფონი, მაგრამ ისინი შეშინდნენ და უარი განუცხადეს. ვინაიდან ნ. ხ-ძემ შეამჩნია, რომ რ. მ-ძეს ჯიბეში ჰქონდა ტელეფონი, სთხოვა ხალხისგან მოფარებულ ადგილას გადასცემოდა, რის შემდეგაც ნ. ხ-ძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა რ. მ-ძეს დაჟინებით მოსთხოვეს მობილური ტელეფონის მათთვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნ. ხ-ძე რ. მ-ძეს დაემუქრა შარვლის საქამრეში მოთავსებული იარაღის გამოყენებით, რაც მან დაანახვა იქ მყოფ პირებს. აღნიშნულის შემდეგ რ. მ-ძეს შეეშინდა და ხ-ძეს გადასცა კუთვნილი, 208 ლარად ღირებული «სიმენსის» ფირმის «ჩ-65» მოდელის მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც თავდამსხმელები მიიმალნენ. ეს ტელეფონი ნ. ხ-ძემ იმავე დღეს თავისივე პირადობის დამადასტურებელი მოწმობით 80 ლარად გაასხვისა მოქალაქე გ-ძეზე, რომელიც ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობდა მობილური ტელეფონებით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ხ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანასა და სასჯელის სახით მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მინიმუმის განსაზღვრას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ნ. ხ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ხ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს განაჩენით მისთვის დანიშნული სასჯელის შემცირებას კანონით გათვალისწინებულ მინიმუმამდე იმ შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომლებიც მას გააჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ხ-ძის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ მსჯავრდებულმა ნ. ხ-ძემ ყაჩაღობა ჩაიდინა ჯგუფურად. უწინარესად, უნდა აღინიშნოს შემდეგი: მართალია, საბრალდებო დასკვნასა და გასაჩივრებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ ნ. ხ-ძემ ყაჩაღობა ჩაიდინა ჯგუფურად, სხვა პირებთან ერთად, მაგრამ მათში არაფერია მითითებული, თუ ნ. ხ-ძის თანმხლებმა სხვა პირებმა რა მოქმედებები შეასრულეს მასთან ერთად ყაჩაღობის ჩასადენად, რაც

საფუძველს შექმნიდა დასკვნისათვის, რომ ნამდვილად ჯგუფური ყაჩაღობა განხორციელდა. უფრო მეტიც, საქმეში არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ დაზარალებულის მიმართ ნ. ხ-ძის გარდა სხვა პირებიც მიმართავდნენ რაიმე ძალადობას ან ძალადობის მუქარას მისი ქონების დასაუფლებლად.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში არ მოიპოვება დასაბუთებული საფუძველი დასკვნისათვის, რომ ნ. ხ-ძემ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ნ. ხ-ძის მსჯავრდებისას არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი - გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. ხ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყაჩაღობის, ე.ი. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმის ჩადენისათვის.

საკასაციო პალატის აზრით, აღნიშნული დანაშაულისათვის ნ. ხ-ძეს, შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, ვინაიდან მან დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანების დროს, რის გამოც ნ. ხ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ნ. ხ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეოთხედით - 1 წლითა და 6 თვით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განჩინება

#361-აპ

10 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენით ტ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის, იმავე მუხლის მე-5 ნაწილის «ე» ქვეპუნქტისა და მე-7 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ტ. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

განაჩენით ტ. ხ-შვილს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით, აგრეთვე, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში: ტ. ხ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს, რომელსაც შესთავაზა, ყაჩაღური თავდასხმა მოეხდინათ სოფელ ... მდებარე ღვინის ქარხანაში დარაჯად მომუშავე, ამავე სოფელში მცხოვრებ გ. ხ-შვილზე, ღვინის ქარხნის კუთვნილი, მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მიიღო მისი თანხმობა და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი შეიარაღდნენ დანითა და ჯოხებით, რის შემდეგაც, 2006 წლის 11 ნოემბერს, ღამით, დაახლოებით 1:00 საათზე, მივიდნენ გურჯაანის რაიონის სოფელ ... მდებარე ღვინის ქარხანაში. მათ უკანონოდ შეაღწიეს ქარხნის სადარაჯო ოთახში და ყაჩაღური გზით თავს დაესხნენ გ. ხ-შვილს, რომელსაც, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ყელზე დაადეს დანა და მოსთხოვეს სეიფიდან სანადირო თოფების გამოტანა, თან დაუწყეს ხელებით, ფეხებითა და ჯოხებით ცემა, რითაც დაზარალებულს ანგარებითა და ჯგუფურად, სხვა დანაშაულის - ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები. ამის შემდეგ, გაუწიათ რა წინააღმდეგობა გ. ხ-შვილმა, შემინებულმა იმ გარემოებით, რომ ეს ფაქტი სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გამხდარიყო ცნობილი, ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ნ. გ-ანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და ტ. ხ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი ძირითადი მოტივებით: განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან წინასწარი გამოძიება და გურჯაანის რაიონული სასამართლო დაეყრდნენ დაუშვებელ მტკიცებულებებს, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ არის სწორად დადგენილი, რის გამოც ტ. ხ-შვილი მსჯავრდებულია უსაფუძვლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენით ტ. ხ-შვილს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-5 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი სხვა ნაწილში - როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში - მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ტ. ხ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, იგი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას მისი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან იგი არ შეესაბამება საქმეში არსებულ მასალებს. საქმეში არსებული პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ტ. ხ-შვილმა დაზარალებულ გ. ხ-შვილის მიმართ ნამდვილად ჩაიდინა ყაჩაღობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მაკვალიფიცირებელ გარემოებებში. აღნიშნული დასტურდება როგორც დაზარალებულის ჩვენებებით, ასევე მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო ექსპერტების დასკვნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ნივთმტკიცებებით, რომლებიც, წარმოადგენს რა საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს ტ. ხ-შვილის მიმართ. რაც შეეხება კასატორის მოსაზრებებს მის მიმართ საქმის წარმოებისას დაშვებული არსებითი საპროცესო დარღვევების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დარღვევების არსებობა, რომლებსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე კანონიერი განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, საქმის მასალებით არ დგინდება.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებისას დაუშვა უზუსტობანი, კერძოდ: სამართლებრივად არასწორია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნაწილში ტ. ხ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ანგარება, როგორც მოტივი, მიეკუთვნება ყაჩაღობის შემადგენლობას და იგი ვერ განიხილება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობის ნიშნად. ეს უკანასკნელი ჩადენილ იქნა როგორც ყაჩაღობის გაადვილების საშუალება, შესაბამისად, მისი ჩადენის გადაწყვეტილებას ანგარება, როგორც მოტივი, საფუძვლად ვერ ექნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტ. ხ-შვილს უნდა მოეხსნას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ანგარებით ჩადენის ბრალდება.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით არ არის უტყუარად დადასტურებული, რომ ტ. ხ-შვილმა ყაჩაღობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩაიდინა ჯგუფურად - სხვა პირთან ერთად, რადგან აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში არსებობს მხოლოდ დაზარალებულ გ.

ხ-შვილის ჩვენება, რაც ვერ იქნება მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად იმისათვის, რომ ტ. ხ-შვილს მსჯავრი დაედოს მის მიერ განაჩენით შერაცხული ქმედებების ჯგუფურად ჩადენაში, ამიტომ ტ. ხ-შვილს უნდა მოეხსნას ბრალდება ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჯგუფურად ჩადენის თაობაზე.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ტ. ხ-შვილს მსჯავრი უნდა დაედოს ყაჩაღობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, აგრეთვე, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, ჩადენილი სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით.

ამასთან ერთად, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების საფუძველზე, რომელთა შესახებ მითითებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებში (ტ. ხ-შვილი პირველად არის სამართალში, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ოთხი არასრულწლოვანი შვილი), თითოეული დანაშაულისათვის მას უნდა დაენიშნოს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომა, რომლებიც ერთობლივად, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით, ადეკვატურ ღონისძიებას წარმოადგენს მსჯავრდებულის გამოსასწორებლად. აღნიშნულის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით უსაფუძვლოდ შერაცხული ბრალდება. მასვე მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით უსაფუძვლოდ შერაცხული ბრალდება და მისი ქმედება ამ ნაწილში დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, რომლისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო აღნიშნული სასჯელი, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეიკრიბოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნულ სასჯელთან - 6 წლით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1462-აბ

10 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ბ-სკის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. მ-შვილისა და მსჯავრდებულ ე. ე-ევის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განაჩენით:

ე. ე-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და

განესაზღვრა 7 წელი და 9 თვე, 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 4 წელი და 6 თვე, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 8 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 14 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა მის მიმართ წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 3 წელი და 6 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ევს მიესაჯა 17 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ევს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 20 აპრილიდან.

ა. ბ-სკი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. ბ-სკის სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 20 აპრილიდან.

მ. ქ-ული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 აპრილიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ბ-სკი, დახსნაწარი შეთანხმებით, თავის მეგობარ ე. ე-ევთან ერთად 2008 წლის 19 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 20 საათისათვის, იმყოფებოდა ქ. რუსთავში, ... გამზ. #19-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ფულის წართმევის მიზნით, ისინი უკნიდან სწრაფად მიუახლოვდნენ ქ. რუსთავში მცხოვრებ რ. ბ-იას, რომელსაც ძალადობის გამოყენებით გასტაცეს ხელჩანთა, ღირებული 70 ლარად, რომელშიც მოთავსებული იყო რ. ბ-იას პირადი ნივთები: 2 სათვალე, ღირებული 50 ლარად, რამდენიმე ცალი სხვადასხვა დანიშნულების გასაღები და საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ღირებული 35 ლარად, სხვადასხვა დასახელების პარფიუმერია, ღირებული 100 ლარად, აუდიოდიკები, ღირებული 28 ლარად, საფულე, ღირებული 10 ლარად, რომელშიც მოთავსებული იყო ფულადი თანხა - 15 ლარი, ხელთათმანები, ღირებული 100 ლარად, ინგლისური ენის ლექსიკონი, ღირებული 15 ლარად, სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი, ღირებული 15 ლარად, რითაც დაზარალებულ რ. ბ-იას მიაღდა 438 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ა. ბ-სკიმ 2008 წლის 19 თებერვალს, რ. ბ-იას მარცხის დროს, ე. ე-ევთან ერთად სხეულის დაზიანება მიაყენა დაზარალებულს. მათ გამოიყენეს ფიზიკური ძალადობა, რის შედეგადაც რ. ბ-იამ მიიღო სხეულის დაზიანება, კერძოდ, მარჯვენა მხარის ძვლის ქირურგიული ყელის მოტეხილობა. ა. ბ-სკი და ე. ე-ევი შემთხვევის ადგილიდან მიიმაღლნენ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს და დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან.

2008 წლის 20 აპრილს, დაახლოებით 4:00 საათზე, ქ. რუსთავში ა. ბ-სკიმ, მ. ქ-ულთან და არასრულწლოვან ე. ე-ევთან ერთად, განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ა. ბ-სკი წინასწარი შეთანხმებით, მ. ქ-ულთან და ე. ე-ევთან ერთად, ჯგუფურად, სახეზე ნიღაბფარებული, თავს დაესხა ქ. რუსთავში, ... დასახლებაში მცხოვრებ კ. წ-ელს, დაბადებულს 1935 წლის 14 თებერვალს. თანაქონი ხელკეტით მათ დაზარალებულს მიაყენეს სხეულის დაზიანება თავის არეში, წებოვანი ლენტით გაუკოჭეს ხელ-ფეხი, იმავე ლენტით აუკრეს თვალები, პირი და ითხოვდნენ ფულადი თანხის გადაცემას, რის შემდეგაც დაიწყეს სახლის ჩხრეკა. მათ გაიტაცეს «ჯენერალის» ფირმის ფერადი ტელევიზორი თავისი პულტით, ღირებული 165 ლარად, სხვადასხვა სახის ბიუტერია, დაზარალებულს ყურებიდან ჩამოხსნეს ოქროს საყურე გიშრის თვლით, ღირებული 100 ლარად, რის შემდეგაც ბოროტმოქმედნი შემთხვევის ადგილიდან მიიმაღლნენ.

ა. ბ-სკიმ ასევე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, კერძოდ, 2008 წლის 20 აპრილს საქართველოს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ქ. რუსთავში, ... ქ. #29-12-ში დროებით მცხოვრებ ა. ბ-სკის ბინაში, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, ჩაატარეს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა 101 ცალი სხვადასხვა სახის

იარაღის ვაზნა. 2008 წლის 22 აპრილის სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი 101 ცალი ვაზნიდან 31 ვარგისია გამოყენებისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას, ისინი დამზადებულია ქარხნული წესით, არის 5,6-კალიბრიანი და გათვალისწინებულია ამავე კალიბრიანი პისტოლეტების, რევოლვერებისა და შაშხანებისათვის.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ბ-სკისა და ე. ე-ევს ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება და ისინი ამ ნაწილში გამართლდნენ.

ე. ე-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 7 წელი და 9 თვე, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 4 წელი და 6 თვე, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა მის მიმართ წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 3 წელი და 6 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ევს მიესაჯა 17 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ევს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ბ-სკი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ქ-ული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. ბ-სკის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ა. ბ-სკის დამნაშავედ ცნობას მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილში - გამართლებას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო; ა. ბ-სკის არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები; საქმეში არ მოიპოვება ამ ნაწილში მსჯავრდების დამადასტურებელი მტკიცებულებები; განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს.

მსჯავრდებული ე. ე-ევი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის ან განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: დამნაშავედ ცნობას მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილში - გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულებს - ე. ე-ევსა და ა. ბ-სკის არ ჩაუდენიათ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებითა და 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, კერძოდ:

დაზარალებულ რ. ბ-იას ჩვენებით, 2008 წლის 19 თებერვალს მას თავს დაესხა ორი პირი, რომელთაგან ერთი იყო მაღალი და გამხდარი, ხოლო მეორე - მასზე დაბალი. ისინი მას დაეჯახნენ უკნიდან, წაქციეს და გასტაცეს ხელჩანთა. წაქცივის შედეგად მას მოსტყდა ბეჭი. რ. ბ-იამ სასამართლოში დაკითხვისას ამოიცნო ა. ბ-სკი, როგორც მასზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე.

საქმეში არსებული ჩხრეკის ოქმის თანახმად, ა. ბ-სკისა და ე. ე-ევს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა «ჯენერალის» ფორმის ტელევიზორი, ბიუუტერია, სხვადასხვა ფერის 5

ხელჩანთა, სათვალე, საფულე, ასევე - ვაზნები. საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა ა. ბ-სკის მონაწილეობით, რომლის სისწორესაც იგი ადასტურებს ხელმოწერით.

საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმების თანახმად, ა. ბ-სკისა და ე. ე-ევის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოღებული ხელჩანთებიდან, საფულეებიდან და სათვალეებიდან დაზარალებულმა რ. ბ-იამ ამოიღო ერთი ხელჩანთა, სათვალეები და საფულე.

საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ რ. ბ-ის სხეულის დაზიანება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით.

განაჩენით ა. ბ-სკისა და ე. ე-ევის მიმართ შერაცხული ბრალდებები დადასტურებულია ასევე მსჯავრდებულების ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულ კ. წ-ლის, მოწმეების - ზ. ბ-შვილის, ვ. დ-კოს, ზ. ი-ძის ჩვენებებით, მსჯავრდებულ მ. ქ-ულის აღიარებითი ჩვენებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ამდენად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდა მსჯავრდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ მ. ქ-ულს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ მ. ქ-ულის მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულები - ა. ბ-სკი და ე. ე-ევი უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ა. ბ-სკის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 16 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ ე. ე-ევის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით უნდა მიესაჯოს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ევის მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ევის საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ა. ბ-სკი გათავისუფლდეს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ა. ბ-სკის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 16 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ე. ე-ევი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ე. ე-ევის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ევის მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ევის საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა; ამნისტია

განჩინება

#1441-აპ

19 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშარელი,**
- პ. სილაგაძე**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატების - კ. კ-ძისა და ი. პ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განაჩენით რ. გ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში შეღწევით; ასევე - დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 25 თებერვალს, დაახლოებით 2 საათზე, რ. გ-ევმა ძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რ. გ-ევი დაუდგენელ ორ პირთან ერთად თავს დაესხა რუსთავში, ... ქ. #16-ში მდებარე, ინდემწარმე ვ. ა-შვილის კუთვნილ, ფლოსტების საამქროში დარაჯად მომუშავე ო. ჯ-ევს. ისინი დანის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის გამოყენების მუქარით ითხოვდნენ ფულს. შემდგომში მათ გაიტაცეს 10 წყვილი, 14 ლარის საერთო ღირებულების ფლოსტი და 35 ლარად ღირებული, ინდემწარმე ვ. ა-შვილის სახელით დამზადებული ბეჭედი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მთლიანად ზარალის ღირებულებამ შეადგინა 49 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. გ-ევს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით, ხოლო 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით; საბოლოოდ რ. გ-ევს განესაზღვრა 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 25 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა - კ. კ-ძემ და ი. პ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და რ. გ-ევის გამართლება ან განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა მხოლოდ ნივთმტკიცებათა განკარგვის ნაწილში.

ადვოკატები - კ. კ-ძე და ი. პ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულების ხელმოწერები არ არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე, თუმცა ოქმში აღნიშნულია, რომ დათვალიერებაში ისინიც მონაწილეობდნენ; კანონის დარღვევით ჩატარდა დათვალიერების დროს საგნების ამოღებაც, ამიტომ ზემოაღნიშნული ოქმი დაუშვებელი მტკიცებულებაა; ასევე, დაუშვებელი მტკიცებულებებია ამოღებული, საგნები - წებოვანი ლენტი, ე.წ. „სკოჩი» და ქსოვილის ნაჭრები (აღსანიშნავია, რომ „სკოჩზე» აღმოჩენილი, საიდენტიფიკაციოდ ვარგისი ანაბეჭდები რ. გ-ევისა არ აღმოჩნდა), რ. გ-ევის პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმები, რადგან არც ერთ მათგანში არ არის განმარტებული დამსწრის უფლებები; აქედან გამომდინარე, ამ ჩხრეკებისას ამოღებული საგნებიც დაუშვებელი მტკიცებულებებია.

კასატორთა განმარტებით, თავად მსჯავრდებული მუშაობდა ადრე ამ საამქროში, სადაც ხელფასის ნაცვლად ხშირად პროდუქციას აძლევდნენ; ამიტომ გაუგებარია, როგორ ამტკიცებს გამოძიება, რომ რ. გ-ევის სახლიდან ამოღებული ფლოსტები დანაშაულებრივი გზითაა ნაშოვნნი; რაც შეეხება ბეჭედს, იგი გამოძიებამ ბინის ჩხრეკისას ჩაუდო მსჯავრდებულს; დაზარალებულს პირველ დაკითხვაში არ უთქვამს, თუ რა ნივთები დაკარგა; სამაგიეროდ, ბინის ჩხრეკის შემდეგ დეტალურად აღწერა დაკარგული ნივთები. დაზარალებულებმა სასამართლოში არსებითად შეცვალეს თავიანთი ჩვენებები და განაცხადეს,

რომ რ. გ-ევს დანა არ ჰქონია და საწარმოდანაც არაფერი დაუკარგავთ; მხოლოდ პროკურორის მხრიდან მათზე ზეწოლის შემდეგ გაახსენდათ „სიმართლე“.

გამომიბამ უხეშად დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები, რადგან არ შეუძლონებია საქმისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი გარემოება იმის უტყუარად დასადგენად, ნამდვილად რ. გ-ევმა ჩაიდინა თუ არა აღნიშნული ქმედება; თავად რ. გ-ევს დაერღვა თარჯიმნით სარგებლობის უფლება; მას არ გამოცხადებია არც ერთი ექსპერტიზის დანიშვნა და არც ერთი დასკვნა; მიუხედავად ამისა, მან აღიარა დანაშაული, მაგრამ სასჯელის დანიშვნის დროს არც ეს გაითვალისწინეს; პალატამ არასწორად მიიჩნია დაზარალებულის განცხადება პრეტენზიის არქონაზე მსჯავრდებულთან შერიგებად.

ამრიგად, საქმეში არ არსებობს საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა ერთობლიობა; ბრალდებას აქვს მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდი და ეჭვი, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და სსსკ-ის მე-10 მუხლების თანახმად, მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატები - კ. კ-ძე და ი. პ-შვილი ითხოვენ განაჩენის გაუქმებას, რ. გ-ევს გამართლებას; მის განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან სსსკ-ის 363-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დაზარალებულთან შერიგების საფუძველით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება მათი ეს მოთხოვნა - სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს, თითქოს რ. გ-ევს პირადი და ბინის ჩხრეკა ჩატარდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, ბინის ჩხრეკა ჩატარდა სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე, რადგან არსებობდა მტკიცებულებათა დაზიანება-გადამალვის რეალური საფრთხე. ამასთან, საფრთხის აღმოფხვრისთანავე სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობენ ეჭვიმტანილი და ბრალდებული, რომლის დაუსწრებლადაც ამ შემთხვევაში ჩატარდა საგამომიებო მოქმედება. ამავე საფუძველით ჩატარდა ეჭვიმტანილის პირადი ჩხრეკაც და ამ ოქმშიც ნათლადაა მითითებული, რომ საგამომიებო მოქმედება ჩატარდა დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე. ოქმს ხელს აწერს ადვოკატი, როგორც დაკავებულის დამცველი და არა როგორც დამსწრე. აღსანიშნავია, რომ პირს, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა, ეჭვიმტანილსა და მის დამცველს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ რ. გ-ევს არ გააცნეს ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებები და ექსპერტიზის დასკვნები. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასამართლო-სამედიცინო და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებებს გაეცნო რ. გ-ევი დამცველისა და თარჯიმნის მონაწილეობით. იგი ასევე გაეცნო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, ხოლო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა გადაიგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც არსებითად იხილებოდა საქმე.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება რ. გ-ევს მამხილებელი მტკიცებულებები, გარდა თავად მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებისა, რაც საპროცესო შეთანხმების გაფორმების დაპირებამ გამოიწვია.

პირველი ინსტანციის სასამართლოში რ. გ-ევმა განმარტა, რომ თავდასხმისას არავინ ახლდა და დანა არ ჰქონია. მანვე იქვე აღნიშნა, რომ დანა გამოიყენა დაზარალებულის ხელებიდან წებოვანი ლენტის მოსახსნელად. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სწორედ მას შემდეგ, რაც ადვოკატმა კ. კ-ძემ განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმებაზე უარი ითქვა, რ. გ-ევმა აღიარა, რომ ბრალად შერაცხული ქმედება ჩაიდინა სხვა პირებთან ერთად.

დაზარალებული ო. ჯ-ევი მომხდარი ფაქტის დღესვე დაკითხვისას მიუთითებს, რომ სამი თავდამსხმელიდან ხმით ამოიგნო თავისი ყოფილი თანამშრომელი რ. გ-ევი, რაშიც არ ცდებოდა. ო. ჯ-ევმა სასამართლოშიც დაადასტურა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი რ. გ-ევი იყო.

დაზარალებულმა ვ. ა-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ პოლიციელებმა მისი თანდასწრებით დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი. დაკარგული იყო ინდენტიფიკაციის ბეჭედიც, რომელსაც იყენებდა საქონლის ზედნადების გაცემისას.

საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნული ბეჭედი ამოღებულია რ. გ-ევს ბინის ჩხრეკისას, ბინის მეპატრონის თანდასწრებით და ამ უკანასკნელს შენიშვნა არ გამოუთქვამს.

უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, თითქოს არ დადგენილა რ. გ-ევს ქმედების მოტივი და მიზანი. ო. ჯ-ევი თავის ყველა ჩვენებაში გარკვევით მიუთითებს, რომ თავდამსხმელებმა ოთახები გაჩხრიკეს და ეკითხებოდნენ - უფროსი ფულს სად ინახავსო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს რ. გ-ევს მიერ მისთვის

ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა მხოლოდ ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტის ნაწილში.

ამასთან, რ. გ-ევის ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ფეხსაცმლის ყალიბიც, რომელიც, საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, არ ეკუთვნის დაზარალებულს. ვ. ა-შვილს ჩაბარდა მისი ნივთები - ორი წყვილი ფლოსტი და ინდემწარმის ბეჭედი. შესაბამისად, არ არის გადაწყვეტილი ნივთმტკიცებად ცნობილი ფეხსაცმლის ყალიბის საკითხი და იგი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

რ. გ-ევის მიმართ პრეტენზიის არქონა არ ნიშნავს მასთან დაზარალებულის შერიგებას და ამის შესახებ სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა.

რ. გ-ევის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმასაც, რომ მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია და მიიჩნევს, რომ მისთვის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული ძირითადი სასჯელი უნდა შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, რ. გ-ევის უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, რაც, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს ცნობით, არ არის გადახდილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. გ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატების - კ. კ-ძისა და ი. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: რ. გ-ევის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 9 თვით შეუმცირდეს 3 თვით და განესაზღვროს 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რ. გ-ევის გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით და განესაზღვროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ფეხსაცმლის ყალიბი დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და რ. გ-ევის საბოლოოდ მიესაჯოს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 500 ლარის ოდენობით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა; დანაშაულის შეუტყობინებლობა

განჩინება

#141-აპ

22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. წ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც გ. თ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აგვისტოს განაჩენით გ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 28 იანვრიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა 2007 წლის 22 აგვისტოს დადებული საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ კ. ჯ-შვილს შორის.

კ. ჯ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლითა და 186-ე მუხლის I ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 ლარი.

მ. ნ-ური, ბ. თ-შვილი და ვ. გ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ», იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრათ: მ. ნ-ურსა და ბ. თ-შვილს - 8-8 წლით, ხოლო ვ. გ-შვილს - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ», იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრიციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. პ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის I და 376-ე მუხლის I ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების პრიციპით, სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2007 წლის 28 იანვრიდან.

გ. უ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრიციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 24 იანვრიდან.

ზ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალია პირობით - 2 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა - 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. თ-შვილი მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დახმარება ყაჩაღობაში, ე.ი. ხელის შეწყობა თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, საცავში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით. მანვე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის იანვარში მ. ნ-ური, ბ. თ-შვილი, გ. თ-შვილი, ვ. ქ-ძე და ვ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რა დროსაც მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #19-ში მდებარე მაღაზია

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. ნ-ურმა მაღაზია ... დაცვის თანამშრომელ გ. თ-შვილისაგან მოიპოვა ზემოაღნიშნული მაღაზიის შესასვლელი კარის გასაღები, მ. ნ-ური შეიარაღდა დანით, ვ. ქ-ძე - „ნაგანის» სისტემის რევოლვერით, ვ. გ-შვილმა კი მოიპოვა სეიფის გასასხნელი ხელსაწყო.

2007 წლის 7 იანვარს, დაახლოებით 04.00 საათზე, თანამზრახველები შეიკრიბნენ მაღაზია „ბენეტონის» მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ვ. გ-შვილი გამოცხადდა თავისი „ფორდ-ესკორტის» მარკის დაუდგენელი ავტომანქანით, რის შემდეგაც წინასწარ მომარჯვებული გასაღებით მაღაზია ... შესასვლელი კარის გაღებით, მ. ნ-ურმა და ვ. ქ-ძემ უკანონოდ შეაღწიეს შიგ. მაღაზიაში შესვლისას ერთ-ერთ ოთახში ბოროტმოქმედებმა შენიშნეს დარაჯი - ზ. გ-შვილი, რომელსაც დანისა და იარაღის დემონსტრირებითა და სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობის მუქარით, წებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით» შეუკრეს ხელ-ფეხი, გატეხეს მაღაზიის უკანა მხარეს არსებული, გასასვლელი კარის ბოქლომი და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ მაღაზია ... არსებულ სეიფს, რომელშიც მოთავსებული იყო დიდი ოდენობით ფულადი თანხა - 211340 ლარი და 25000 ლარის ღირებულების ძვირფასეულობა. აღნიშნული სეიფი მათ მოათავსეს ვ. გ-შვილის ავტომანქანაში და სადარაჯოზე მყოფ ბ. თ-შვილთან ერთად მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითაც დაზარალებულ ვ. ს-ოვს მიაყენეს დიდი ოდენობით - 236340 ლარის მატერიალური ზიანი.

ბოროტმოქმედებმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული გაინაწილეს ერთმანეთში, ხოლო ძვირფასეულობა, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, გადასცეს კ. ჯ-შვილს, გ. პ-შვილსა და სხვა პირებს.

ამასთან, გ. თ-შვილმა გამოიყენა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა თოთხმეტი ცალი, 1908 წლის ნომრის 7,62 მმ კალიბრის ვაზნა, რომლებიც განკუთვნილია სავაზნეშედიანი, თვითდამმუხტავი, ავტომატური შაშხანებისა და კარაბინებისათვის, სადაზგო, სატანკო და საავიაციო ტყვიამფრქვევებისათვის, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ადვოკატმა დ. წ-იამ. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვდა კვალიფიკაციის შეცვლის კუთხით ცვლილების შეტანას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 აგვისტოს გამამტყუნებელ განაჩენში, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. თ-შვილის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით სასჯელად ჯარიმის - 1500 ლარის დანიშვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

გ. პ-შვილს „ამნისტიის» შესახებ» კანონის მე-2 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაუნახევრდა სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, მას სასჯელად დაენიშნა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. წ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის შეცვლა მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და გამართლება, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლით - 2000 ლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. წ-იას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებით, ჩხრეკის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, გ. თ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია. პალატას ასევე მიაჩნია, რომ გ. თ-შვილის მიმართ აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა არის სამართლიანი და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

რაც შეეხება გ. თ-შვილის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: გ. თ-შვილის მსჯავრდება დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით ძირითადად ემყარება თავად გ. თ-შვილის აღიარებით ჩვენებას, რომლის თანახმადაც მან ბ. თ-შვილისაგან მიიღო 6000 ლარი და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებულ ფარული მიყურადება-ჩაწერის ოქმებს, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ გ. თ-შვილს პრობლემები შეექმნა სამუშაო ადგილზე და გადაწყვიტა სამუშაოდან წასვლა. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: «სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად», ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად «ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ». პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებანი უტყუარად ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ გ. თ-შვილმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

ამასთან, პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: მსჯავრდებულმა მ. ნ-ურმა თავის ჩვენებაში განმარტა, რომ მას მაღაზია ... გასაღები გადასცა ბ. თ-შვილმა და არა გ. თ-შვილმა. თავის მხრივ, ბ. თ-შვილმა განმარტა, რომ მ. ნ-ურს გასაღები მან გადასცა და არა გ. თ-შვილმა. თავად გ. თ-შვილმა სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენების დროს განაცხადა, რომ ბ. თ-შვილმა მას გადასცა 6000 ლარი მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მაღაზიის გასაღები დამყაჩაღებლებისთვის ბ. თ-შვილის გადაცემული იყო. გ. თ-შვილმა

ასევე განმარტა, რომ თანხა ალბათ იმიტომ მისცეს, რომ დანაშაულის შესახებ არაფერი ეთქვა, თუმცა ფულიც რომ არ მიეცათ, მაინც არაფერს იტყოდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად (ძალაში შევიდა 2007 წლის 18 იანვრიდან) მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, გ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებიდან და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 376-ე მუხლზე და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. 2007 წლის 29 ნოემბრის «ამნისტიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გ. თ-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და გ. თ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პალატამ საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის თანახმად საქმე სრული მოცულობით შეამოწმა მსჯავრდებულების - მ. ნ-ურის, ბ. თ-შვილის, ვ. ქ-ძის, ვ. გ-შვილის, გ. პ-შვილის, გ. უ-შვილის და ზ. მ-შვილის მიმართ და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მისი შეცვლის სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. წ-იას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

გ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებიდან და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს 376-ე მუხლზე და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2007 წლის 29 ნოემბრის «ამნისტიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გ. თ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. თ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყ ა ჩ ა ლ ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

#362-აპ

25 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. კ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ხ-კის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის განაჩენით ლ. კ-ძე, ნასამართლევი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ჯგუფურად და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით ლ. კ-ძეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით, მაგრამ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: 2006 წლის 4 ნოემბერს, დაახლოებით 15.³⁰ საათზე, თბილისში, ... ქ. #41-ში მდებარე ჩინური რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ლ. კ-ძე დაუდგენელ ორ პირთან ერთად, ჯგუფურად, ყაჩაღურად თავს დაესხა ბ. ჩ-შვილს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, კერძოდ, დანის გამოყენების იმიტაციით, თუმცა დანა ჯიბიდან არ ამოუღია, გასტაცა 450 ლარად ღირებულის, „სიმენსის« ფირმის, RX-75 მარკის მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2006 წლის 6 ნოემბერს, ქ. თბილისში, ... ქ. #41-ის ეზოში, დაზარალებულ ე. ჩ-შვილის მითითებით, პოლიციის მუშაკებმა დააკავეს ლ. კ-ძე.

აღნიშნული ქმედებისათვის ლ. კ-ძეს განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 3 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 6 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - გ. დ-შვილმა და დ. ხ-კმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება, ლ. კ-ძის გამართლება და პატიმრობიდან განთავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 მაისის განაჩენი შეიცვალა: ლ. კ-ძეს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორები საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენის გამოტანის დროს დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7, მე-18, მე-19, 58-ე, 132-ე, 285-ე, 496-ე, 503-ე და 508-ე მუხლები, ასევე - მატერიალური კანონი; ლ. კ-ძე დაკავებისას იყო არასრულწლოვანი; აფხაზეთიდან დევნილია; სწავლობდა სადამოს დასწრებულზე, ხოლო დღისით მუშაობდა კერძო კომპანიაში; დაკავებული იყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით; პრობაციის სამსახურში ცხადდებოდა კეთილსინდისიერად; ყველა ზემოაღნიშნული ორგანიზაცია და მეზობლები ახსიათებენ დადებითად; მას დაზარალებულ ბ. ჩ-შვილის ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების საფუძველზე განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომ ლ. კ-ძემ ჩაიდინა დანაშაული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი დ. ხ-კი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ლ. კ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ ლ. კ-ძეს დანაშაული არ ჩაუდენია და მისი მამხილებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება, კერძოდ:

დაზარალებულ ბ. ჩ-შვილის არაერთი ჩვენებით დადგენილია, რომ 2006 წლის 4 ნოემბერს ლ. კ-ძემ დარეკვის მოტივით მობილური ტელეფონი სთხოვა, რაც გადასცა. ამ დროს იქვე კიდევ ორი პირი მივიდა. მსჯავრდებულმა ტელეფონის აპარატში თავისი სიმ ბარათი ჩადო და ციხეში მყოფს ესაუბრა. მცირე ხანში ისევ დარეკეს, თქვეს - ხმა არ ისმისო და საბურთალოს ბაზართან გადაინაცვლეს. სადარბაზოში ისევ საუბრობდნენ მობილური ტელეფონით, რის შემდეგ ბ. ჩ-შვილს უთხრეს: «ტელეფონი ორი დღით გვჭირდება, შემდეგ მოგემბნით და დაგიბრუნებთო». დაზარალებულმა უარი უთხრა და ტელეფონის დაბრუნება მოითხოვა. ლ. კ-ძემ ჯიბეში ხელი ჩაიყო და უთხრა: «მანც და მანც დანა უნდა ამოვიღო, ისედაც წავიღებ შენს ტელეფონსო». დანის ხსენება ბ. ჩ-შვილმა მუქარად აღიქვა, შეეშინდა, რადგან ბავშვი ახლდა და გაქცევასაც ვერ შეძლებდა. 6 ნოემბერს ბ. ჩ-შვილი იმყოფებოდა შსს-ს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს შენობასთან და შენიშნა ის პირი, რომელმაც მუქარით გასტაცა მობილური ტელეფონი. ამ უკანასკნელს ეცვა ის ტანსაცმელი, რაც დანაშაულის ჩადენისას. დაზარალებულის მითითებით პოლიციელებმა დააკავეს ლ. კ-ძე.

ანალოგიური ჩვენება მისცა მოწმე გ. მ-შვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბ. ჩ-შვილი უცნობ სამ პირთან ერთად სადარბაზოში შევიდა, იქიდან გამოსულმა კი უთხრა, რომ წართვეს ტელეფონი.

შსს-ს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლის - ზ. ა-ის ჩვენებით ირკვევა, რომ ლ. კ-მე დააკავეს დაზარალებულის კატეგორიული მითითების საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი ლ. კ-მის მიერ ჯგუფურად და არაერთგზის სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტი, რაც სწორადაა დაკვალიფიცირებული.

ამასთან დადგენილია, რომ ლ. კ-მე ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის დააკავეს 2004 წლის 25 თებერვალს. იმავე წლის 27 თებერვალს მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა და გათავისუფლდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში - 2 წელი, 11 თვე და 28 დღე.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. კ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ხ-კის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს: ლ. კ-მისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს - 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 11 თვისა და 28 დღის ვადით და ლ. კ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, 11 თვითა და 28 დღით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#674-აპ

26 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მენიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ფ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. თ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენზე მ. ფ-იასა და გ. გ-იანის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენით მ. ფ-ია და გ. გ-იანი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად და ბინაში უკანონო შედწევით ჩაიდინეს ყაჩაღობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისში, ... ქ. #50-ში მდებარე ... საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ მცხოვრები გ. გ-იანისათვის ცნობილი გახდა, რომ ხსენებულ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ცოლ-ქმარი - ს. შ-მე და თ. მ-მე აპირებდნენ სამუშაოდ საზღვარგარეთ გამგზავრებას და, სავარაუდოდ, ბინაში უნდა ჰქონოდათ გარკვეული თანხა. ამის შესახებ გ. გ-იანმა უამბო თავის მეგობარ მ. ფ-იას და დაუდგენელ პირს, რის შემდეგაც მათ განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდნენ ს. შ-მისა და თ. მ-მის ქონებას.

2007 წლის 20 ივნისს, დაახლოებით 9 საათზე, აღნიშნული პირები მივიდნენ ს. შ-მისა და თ. მ-მის საცხოვრებელ ბინასთან, ვითომდა აღწერის მიზნით, მოტყუებით გააღებინეს კარი ს. შ-მეს, რის შემდეგაც უკანონოდ შეაღწიეს ბინაში. ბინაში შესვლისას მ. ფ-იამ ს. შ-მეს ყელზე მიადო დანა და მოსთხოვა, მიეცა მისთვის საზღვარგარეთ გასამგზავრებელი ფული და ძვირფასეულობა, წინააღმდეგ

შემთხვევაში მას და მის მეუღლეს დაემუქრა მოკვლით. ს. შ-მემ მათ გაუწია ფიზიკური წინააღმდეგობა, რის შემდეგაც გ. გ-იანმა და დაუდგენელმა პირმა დანების მუქარით იგი აიძულეს, მათ დამორჩილებოდა. ბოროტმოქმედებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით ბინიდან გაიტაცეს თ. მ-ძის ოქროს საქორწინო ბეჭედი, ღირებული 350 ლარად, ს. შ-ძის „ნოკიას« ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 150 ლარად, 100 ლარად ღირებული, თ. მ-ძის „სამსუნგის« ფირმის მობილური ტელეფონი, ს. შ-ძის საქორწინო ოქროს ბეჭედი, ღირებული 270 ლარად, მისივე ტყავის ქურთუკი, ღირებული 180 ლარად, თ. მ-ძის ოქროს კულონი „თხის რქის« ზოდიას ნიშნით, ღირებული 40 ლარად, 30 ლარად ღირებული უცხოური წარმოების ფოტოაპარატი, ფული 60 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც გააფრთხილეს დაზარალებულები, რომ ათი წუთის განმავლობაში ბინიდან არ გასულიყვნენ და არ განეცხადებინათ პოლიციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდნენ, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნული ქმედებით მათ დაზარალებულებს სულ მიაყენეს 1180 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

იმავე დღეს, დაზარალებულ ს. შ-ძის მითითებით, თბილისში, ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს გ. გ-იანი და მ. ფ-ია, ხოლო დაუდგენელმა მესამე პირმა შეძლო მიმალვა.

აღიშნული ქმედებისათვის მ. ფ-იას მიესაჯა 11 წლითა და 4 თვით, ხოლო გ. გ-იანს - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 20 ივნისიდან. მათვე დამატებით სასჯელად განესაზღვრათ ჯარიმა - მ. ფ-იას - 5 ათასი ლარის, გ. გ-იანს კი - 6 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ფ-იას ადვოკატმა ლ. თ-მემ და ითხოვა მ. ფ-იასათვის სასჯელის ზომად მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ მ. ფ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. თ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მ. ფ-ია არის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ავადმყოფი და სიმთვრალის დროს ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ; ამის გამო, მართალია, იგი არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ სასამართლომ სასჯელის დანიშნისას უნდა გაითვალისწინოს მისი შეზღუდული შერაცხადობა; მ. ფ-იას ჰყავს მოხუცი, ავადმყოფი დედა, რომლის მარჩენალიც თვითონაა; ის პირველადაა სამართალში და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ ქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორს მიაჩნია, რომ მ. ფ-იასათვის დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია და ითხოვს მის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის დაზარალებულების - ს. შ-ძისა და თ. მ-ძის და თავად მსჯავრდებულთა ჩვენებებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბრალდებო დასკვნითა და გასაჩივრებული განაჩენით, ასევე საქმეში არსებული მასალებით თავდასხმისას ადგილი არ ჰქონია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, მ. ფ-ია და გ. გ-იანი ხასიათდებიან დადებითად, ამ უკანასკნელს ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, მ. ფ-ია 1981 წლიდან იმყოფება აღრიცხვაზე ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში, პირველი ინსტანციის სასამართლოში ორივე განსასჯელმა აღიარა მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა. ამასთან დადგენილია, რომ გ. გ-იანი ნასამართლევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გ. გ-იანისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მაქსიმუმის, ხოლო მ. ფ-იასათვის 11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა აშკარად უსამართლოა, რადგან არ შეესაბამება მსჯავრდებულთა პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, მეტისმეტად მკაცრია და მათ უნდა შეუმსუბუქდეთ ძირითადი სასჯელები.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. ფ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. თ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: მ. ფ-იას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით ძირითად სასჯელად საბოლოოდ განესაზღვროს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გ. გ-იანს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით ძირითად სასჯელად საბოლოოდ განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მ. ფ-იასა და გ. გ-იანისათვის დამატებითი სასჯელების დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.